# ევროპის უნივერსიტეტი

# ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

შედეგების ანალიზი

2021-2022 აკადემიური წელი

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## სარჩევი


თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები .......... 4

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები.......... 6

თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება.......... 7

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება .......... 7

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ .......... 7

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ .......... 8

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.......... 11

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით .......... 12

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით .......... 18

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება .......... 18

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით .......... 18

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით .......... 32

3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ .......... 36

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. .......... 37

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება.......... 45

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდოლოგია .......... 45

3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.......... 47

3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით .......... 52

3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ .......... 54

3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.......... 58

3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ........ 61

3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ........ 64

**თავი 4. კვლევა ........ 67**

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება ........ 67

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით ........ 68

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ........ 71

4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება........ 73

**თავი 5. მართვის პროცესები........ 75**

**თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება........ 78**

**თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები........ 220**

## თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრავს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი №6). პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები" (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით), რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით);
- პერსონალის შერჩევის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით;);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №89 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით);
- კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით);
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით);
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №309 ბრძანებით);

- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 მარტის №105 ბრძანებით);
- კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით;);
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით);
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 11 მარტის №3/2 ბრძანებით).

## თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად მიღებულ შეფასებას;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად განხორციელებულ შეფასებას;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

გ) მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება.




## თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

გ) სასწავლო პროცესის შეფასება

### 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.** 2021-2022 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსრტაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა

მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღწერილია მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებული აქტივობები, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2021-2022 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სადაც 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი და შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი: განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ანგარიში ასევე არ მომზადებულა ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში, იგეგმება მისი გაუქმება და შესაბამისად, აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება). შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშებში, რომელიც ანგარიშგებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

**3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ.** 2021-2022 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესი (ისევე როგორც ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული ყველა გამოკითხვის პროცესი) რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას.

ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძვლეზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორრმაცია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2021-2022 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანთლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამის სასწავლო გეგმა“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი:

### სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი






## მედიცინის ფაკულტეტი




## სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი



**შენიშვნა:** დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები არ არის წარმოდგენილი ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში, იგეგმება მისი გაუქმება და შესაბამისად, აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება.

გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის. რეაგირების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ლოგიკური ცვლილებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.3. ახალდშემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან, სხვა გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესი რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით) შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების თუ ხრისიხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ან ახლადშემუშავებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითოეული განახლებული პროგრამის ან ახლადშემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს მოქმედ პროგრამაში ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის დამტკიცების მიზნით. 2021-2022 აკადემიურ წელს პროგრამების განვითარების მიზნით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლაბლო პროგრამაში. არ მომხდარა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. ზემოაღნიშნული დასკვნა 2021-2022 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა მოქმედ

საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების შემთხვევაში.

**3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით.** საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

**ა) სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების** მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით) მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის მონაცემების შესწავლა, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირებას და გამორიცხავს ძლიერი ან/და სუსტი ჯგუფის ფაქტორებს ან სხვა ფაქტორებით გამოწვეულ შემთხვევით შედეგებს. აკადემიური მოსწრების მონაცემები შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ასევე ანალიზის შედეგების საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენის მიზნით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები. აკადემიური მოსწრების ანალიზი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაკვირვებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები და რეაგირებების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში. რათქმაუნდა დაფიქსირდა დადებითი შედეგებიც (სამიზნე ნიშნულების შესრულება), რომლის მიხედვითაც დაკვირვების საფუძველზე არ იკვეთება რეაგირების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევები თუნდაც ერთი წლის მონაცემების შესწავლის საფუძვლეზე, რაც ასევე პროგრამის ხელმძღვანელების დაკვირვების, ანალიზისა და მიზეზების შესწავლის საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება სამი წლის მონაცემებზე, რადგან კვლავ მაქსიმალურად დასაბუთებული იყოს დასკვნები და რეაგირების საჭიროებები. დაკვირვების შედეგად იკვეთება არავალიდური მონაცემების

არსებობის შემთხვევებიც, კერძოდ, ჯგუფში არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების (10-ზე ნაკლები სტუდენტის) არსებობა, ანდა მნიშვნელოვნად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევებში, იგივე შინაარსის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით წინა წლების მონაცემების არარსებობა, ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სამწლიანი მონაცემების არარსებობა, ამ შემთხვევებშიც რათქმაუნდა მნიშვნელოვანია დაკვირვების გაგრძელება და მოანცემების შემდგომი ანალიზი, ვალიდური დასკვნების გაკეთებისა და ცვლილებების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შეჯამება და განხორციელებული რეაგირებები შემდეგნაირად გამოიყურება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

| საგანმანათლებლო პროგრამა | რეაგრებისთვის დინამიკაში დაკვირვების საჭიროება | | არავალიდური შედეგების შემთხვევები | | პროგრამის საფუძლიანად განახლება/ახლად შემუშავება | | ანალიზის საფ. განხორციელებული რეაგირებები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | | სემესტრი | |
| | I | II | I | II | I | II | I | II |
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | | | √ | √ | | | √ | |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასწავლებლის მომზადების (60 ECTS) პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | | |
| საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | |
| სამართლის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | √ | √ | | √ |
| ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | √ | √ | √ | √ | | | | √ |

დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

**შენიშვნა:** სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი არ განხორციელებულა ახლადშემუშავებულ და ახლადაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი, შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და არ არსებობდა მონაცემები ანალიზისთვის: განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აკადემიური მოსწრების ანალიზი ასევე არ განხორციელებულა ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და შესაბამისად, მონაცემები არავალიდურია რეაგირებების საჭიროების დასადგენად.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (პროგრამის დანართი 4 - სწავლის შედეგების შეფასება) და შედეგების ვალიდურობის მიზნით (ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ პროგრამების განახლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება რიგ შემთხვევებში 2022-2023 ან შემდგომი

აკადემიური წლებიდან. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დანართების მიხედვით 2021-2022 აკადემიურ წელს აღნიშნული პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილი იყო და განხორციელდა ხუთ საგანმანათლებლო პროგრამაზე: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. შედეგების შეფასების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, რაც მოითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამების ანდა კონკრეტული სასწავლო კურსების ცვლილებას, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელების დასკვნის საფუძველზე პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც მოხდა 2021-2022 აკადემიურ წელს, ყველა შემთხვევაში მიიღწევა. ზოგადად, უნივერსიტეტის მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არსებობს აღნიშნული შეფასებების საფუძველზე რეაგირებისა და ცვლილებების განხორციელების ფაქტები, კერძოდ, 2020-2021 აკადემიურ წელს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების პროცესში მონაწილე სასწავლო კურსების (2 სასწავლო კურსის) განმახორციელებელი პერსონალის მისამართით შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული შეფასების მეთოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა უკეთ მოხდეს სასწავლო კურსებით დადგენილი შედეგების მიღწევის შემოწმება. რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში (დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ).

**ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების** ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება

მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პრგორამის ხაელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანაგრიშგებისა და შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ან დამსაქმებელთა დიდი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მან/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ვერ მიიღო სფეროსთვის მნიშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოუწია პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის მიღმა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2021-2022 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არაპირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე “როგორ შეაფასებდით ევროპის უნივერსიტეტის კურსდამათვარებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს”, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი. როგორც შედეგებიდან ჩანს შედარებით დაბალი შეფასება დაფიქსირდა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასება ორივე პროგრამის შემთხვევაში განხორციელდა მხოლოდ ერთი და ერთი და იგივე რესპონდენტის მიერ, კომენტარის სახით გამოთქმულ მოსაზრებებში კი რესპონდენტის მხირდან არ გამოკვეთილა ცოდნასა და უნარებთან დაკავშირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, რაზეც მოხდებოდა შესაბამისი რეაგირება, კომენტარი უკავშირდებოდა პიროვნული თვისებების შეფასებას:

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი




## მედიცინის ფაკულტეტი




**შენიშვნა:** შეფასება არ განხორციელებულა იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ახლადშემუშვებულია, ახლადაკრედიტებულია ისე, რომ 2021-2022 აკადემიურ წელს პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად არ არსებობს მათი დამსაქმებელი, ანდა პროგრამას არ ჰყავს ადგილობრივი კურსდამთავრებული, ამდენად, არ არის ხელმისაწვდომი მათი ადგილობრივი დამსაქმებელი, ანდა გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ისეთმა პოტენციურმა დამსაქმებელმა, სადაც არ მუშაობს ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და შესაბამისად, შეუძლებელი იყო შეფასების განხორციელება (განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო

პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა,დამსაქმებლების არ არსებობის შემთხვევაში, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლსურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმატიკისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება, გამოკითხვის შედეგებით, შედეგების ანალიზისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშებით (დეტალებისთვის იხ. დანართი #3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

**3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით.** საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით) თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი #20 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

### 3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

**3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით.** უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის

შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით). დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საკითხს, მათ შორის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა. ფორმა განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა და მტკიცებულებებთან ერთად წარუდგინოს აქტივობების შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ანგარიშის სახით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს, ამასთანავე ადასტუებს ქულათა მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიური პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით. აქვე აღსანიშნავია, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.
3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2021-2022 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები).

2021-2022 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2022 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი შეადგენდა 663-ს (180 აკადემიური და 483 მოწვეული პერსონალი): სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 80 აკადემიური და 147 მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 83 აკადემიური და 300 მოწვეული პერსონალი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 17 აკადემიური და 36 მოწვეული პერსონალი:




2022 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტთან აფილირებულია 58 (32%) აკადემიური პერსონალი: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 31 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 24 აფილირებული აკადემიური პერსონალი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 3 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

2021-2022 აკადემიურ წელს, 180 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 86 (48%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჯამში 37 (46%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 18 აფილირებული აკადემიური პერსონალი (აფილირებული პერსონალის 58%) და 19 არააფილირებული აკადემიური პერსონალი (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 39%), მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 44 (53%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 19 აფილირებული აკადემიური პერსონალი (აფილირებული პერსონალის 79%) და 25 არააფილირებული აკადემიური პერსონალი (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 42%), ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 5 (29%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 1 აფილირებული აკადემიური პერსონალი (აფილირებული პერსონალის 33%) და 4 არააფილირებული აკადემიური პერსონალი (არააფილირებული პერსონალის 29%):

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY




2021-2022 აკადემიური წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები:

| სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | მედიცინის ფაკულტეტი | სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| სტატიები იმფაქთ-ფაქტორიან ჟურნალებში | 4 | 26 | 1 | 31 |
| სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ჟურნალებში | 20 | 22 | 1 | 43 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 44 | 63 | 1 | 108 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) | 2 | 14 | 1 | 17 |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა) | 1 | 40 | 6 | 47 |
| ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე) | 5 | 1 | 0 | 6 |
| დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა | 2 | 1 | 2 | 5 |
| დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი) | 3 | 4 | 0 | 7 |
| გამოგონება/პატენტი | 0 | 2 | 0 | 2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება | 4 | 1 | 0 | 5 |
| მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება | 17 | 5 | 2 | 24 |
| პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა | 0 | 1 | 0 | 1 |
| პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა | 0 | 2 | 0 | 2 |
| Google Scholar-ის ჟურნალის რედაქტორობა | 7 | 6 | 0 | 13 |
| Google Scholar-ის ჟურნალის რეცენზენტობა | 0 | 3 | 0 | 3 |
| საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 11 | 18 | 0 | 29 |
| ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 1 | 1 | 0 | 2 |
| სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება | 7 | 1 | 0 | 8 |
| ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება | 7 | 0 | 0 | 7 |
| საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა | 1 | 0 | 0 | 1 |
| ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა | 4 | 16 | 0 | 20 |

2021-2022 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა:




ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2021-2022 აკადემიურ წელს შეადგინა 47 000 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ თავისმხრივ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენის მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 19 - 23 ნოემბრის პერიოდში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 33 აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. შეკითხვები მიზნად ისახავდა იმ თემების გამოვლენას, რომლებზეც პერსონალი ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის რა მიმართულებით საჭიროებდნენ გადამზადებას/ მომზადებას და რა სახის ხელშეწყობის მიღებას ისურვებდნენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისგან. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ვორქშოპების / ტრენინგების / საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაიგეგმა, კერძოდ, დაიგეგმა შემდეგი ვორქშოპების / ტრენინგების ჩატარება: კვლევის მეთოდები, კვლევის გეგმის დიზაინი, საგრანტო თანხების მართვა, კოლაბორაციული/თანამშრომლობითი კვლევა, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება კვლევებში და კვლევის შედეგების ასახვის პროცესში, გამოცდილების გაზიარება/გამოცდილ მკვლევრებთან შეხვედრა, Python, R, Stata. გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაიგეგმა ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შემდეგი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება: სამეცნიერო ჩანაწერების შენახვა/მონაცემთა მართვა, საგრანტო პროექტების წერა, ჟურნალების შერჩევის ტექნიკა, საგრანტო პროექტებზე ინფორმაციის გაზიარება, სამეცნიერო ლიტერატურასა და ბაზებზე ინფორმაციის გაზიარება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ 2021-2022 აკადემიურ წელს შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სხვადასხვა ტიპის აქტივობა უნივერსიტეტის

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით:

1. 2021 წლის 15 დეკემბერს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგია და ინოვაცია“. კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად და სამეცნიერო კომიტეტის წევრებად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები განათლების დარგში. კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 6 ქვეყანას: საქართველო, ესპანეთი, კოსტა-რიკა, ირლანდია, ისლანდია, საბერძნეთი. 80 მოხსენებიდან შეირჩა 44 მომხსენებელი. დეტალური ინფორმაცია (კონფერენციის პროგრამა, ფოტო გალერეა, ა.შ.) იხილეთ კონფერენციის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://iceti6.wixsite.com/iceti2021/keynote-speakers.
2. 2021 წლის აგვისტო - 2022 წლის ივნისის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიურ/მოწვეულ/სამეცნიერო პერსონალთან შემდეგი ინფორმაცია გაზიარდა:
    - შვეიცარიის მთავრობის სადოქტორო, პოსტ-სადოქტორო და კვლევითი სტიპენდიები 2022-2023:

      http://www.sbfi.admin.ch/sbfi/en/home/education/scholarships-and-grants/swiss-government-excellence-scholarships.html
    - Call for Book Chapters (Springer) "CALL Teacher Education and Professional Development: Voices from Under-represented Contexts"
    - ბელგიის საზღვარგარეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის კონკურსი (2023): http://www.kaowarsom.be/en
    - ბელგიის საზღვარგარეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის ყოველწლიური კონფერენცია 2021: http://www.kaowarsom.be/en
    - SRNSFG - 2021 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი: https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atskhadebs-sagamomtsemlo-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-shesakheb-sagranto-konkurss
    - 26th International Information Technology Conference IT 2022: http://www.it.ac.me/eng/index.php
    - EURAXESS Georgia National Portal Inauguration - 2021 წლის 23 სექტემბერი: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdULzb5DzLD25hwHek-yO1b1F_ccXeiBhEmGRlCw0DZvXqlMg/viewform
    - DAAD-ის სტიპენდიები 2022-2023: https://www.daad-georgia.org/en/

- DAAD სტუდენტური ჯგუფების მოგზაურობა გერმანიაში: https://www.daad-georgia.org/en/find-funding/scholarship-database/?origin=71&status=1&type=a&q=Studienreise+&subjectgroup&onlydaad=1&language=de&pg=1&detail_to_show=10000016&show_tab=applicationprocess
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის (ISTC) ინსტიტუციური კვლევითი პროექტების კონკურსი 2022: http://www.istc.int/en/about
- ვირტუალური სიმპოზიუმი "Open and Inclusive Access to Research": http://openandinclusiveresearch.org/
- 2022 Study of the United States Institute (SUSI) for Scholars: https://ge.usembassy.gov/education-culture/susischolars/
- ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe) - საინფორმაციო შეხვედრები
- EURAXESS საქართველოს საინფორმაციო შეხვედრები
- 2022-2023 Obama Foundation Scholars Program: https://worldprojects.columbia.edu/about-obama-foundation-scholars-program
- The Maurice R. Greenberg World Fellows Program - Yale University: https://worldfellows.yale.edu/the-program/program-details/
- ESI Postdoctoral Training 2022-2023: https://euinstitute.net/postdoc/
- გლობალური საქველმოქმედო ფონდის Wellcome-ის კვლევითი გრანტები 2022: https://wellcome.org/grant-funding/schemes/career-development-awards
- FOSTER - Research Training - ონლაინ კურსები და სატრენინგო მასალები მკვლევრებისთვის: https://www.fosteropenscience.eu/courses
- Fernand Braudel Senior Fellowships 2022: https://www.eui.eu/apply?id=fernand-braudel-senior-fellowships
- Expert Career Training Workshops 2021: https://engage.eu/ridaysasean2021/schedule/#career-development-for-international-scientific-collaboration-mobility
- ეროვნული სამეცნიერო ფორუმი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
- უმაღლესი განათლების მე-13 საერთაშორისო კონგრესი - „Congreso Internacional Universidad 2022"
- STO-ს საინფორმაციო შეხვედრა: https://bit.ly/3sAjuAh

- კონფერენციები უცხო ენის პედაგოგებისთვის და ენის მკვლევრებისთვის - 2022 წელი
- Symposium "Future Directions in Modern Languages" https://modernlanguages.sas.ac.uk/events/event/25353
- Free online symposium on The Ethics and Practice of L+ Classroom Research https://fler.rikkyo.ac.jp/news/2021/jc0e3e00000007x8.html
- Modern Languages and Inclusivity: Sharing Ideas and Practices https://modernlanguages.sas.ac.uk/events/event/25364
- 8th International Hybrid Conference on Second Language Studies (ICSLS-2022) https://eurokd.com/conferencepage/cpc/5
- International Conference for Learner Corpus Research (LCR 2022) http://www.maldura.unipd.it/lcr-2022/index.html
- The 1st International Symposium on Grammatical Variation and the Construction of Meaning: https://eventos.ull.es/71453/detail/i-simposio-internacional-sobre-variacion-gramatical-y-construccion-del-significado.html
- ვებინარი "How to select the best funding channel for your project" https://tools.enspire.science/live-webinar-registration-page/
- SRNSFG 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atskhadebs-fundamenturi-kvlevebisatvis-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-2022-tslis-konkurss
- UNESCO-ს "მონაწილეობის პროგრამა" www.unesco.ge.
- SRNSFG 2022 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-metsnierebis-popularizatsiisatvis-miznobrivi-sagranto-konkurss
- Horizon Europe-ის საგრანტო კვლევითი პროექტები 2022 https://ec.europa.eu/info/funding-tenders/opportunities/
- SRNSFG 2022 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი: https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-saqartvelos-okupirebuli-teritoriebis-shemstsavleli-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss

- 2022 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-sametsniero-popularuli-shemetsnebiti-filmebis-sheqmnis-mkhardacheris-konkurss
- 2022 The United Nations International Law Fellowship Programme https://legal.un.org/poa/ilfp/index.html
- UNESCO Chairs და UNITWIN Networks - კათედრების დაარსება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში https://en.unesco.org/unitwin-unesco-chairs-programme
- საერთაშორისო კონფერენცია - EFFECTIVE DEVELOPMENT CO-OPERATION 2022 https://www2.wider.unu.edu/crm/call-for-papers-global-partnership-for-effective-development-cooperation
- Call for posters: Share your research at the Microbiology & Infectious Diseases Summit 2022: http://www.selectscience.net/go/?itemID=79&itemTypeID=4&linkID=ctabutton&mailID=18330&email=science.center@eu.edu.ge&URL=https%3A%2F%2Fwww.surveymonkey.co.uk%2Fr%2F58RPJWS
- MSCA-PF Call 2022 - მარი სკლოდოვსკა-კიურის სასტიპენდიო პროგრამა 2022 https://marie-sklodowska-curie-actions.ec.europa.eu/actions/postdoctoral-fellowships
- ლეგალური მიგრაციის სფეროში ბელგიის სამეფოსთან თანამშრომლობის შესახებ
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიება ბათუმში - „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“
- ესტონეთის მთავრობის სტიპენდიები მკვლევრებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის 2022-2023: https://www.harno.ee/en/scholarships-and-grants/scholarships-studying-and-working-estonia/scholarships-international#researchersandacademic
- Jean Monnet Fellowships 2022-2023: https://www.eui.eu/apply?id=jean-monnet-fellowships
- IPRA Foundation Peace Research Grants Program 2022: https://iprafoundation.org/
- სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული სტიპენდიები მკვლევრებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის 2022-2023: https://www.minedu.sk/national-scholarship-programme/
- UNESCO - Silk Roads Youth Research Grants 2022 https://en.unesco.org/silkroad/youthgrant
- Coimbra Group Scholarship Programme for Young Researchers 2022 https://www.coimbra-group.eu/sp-europe-2022/

- საქართველოს მეცნიერთა მობილობის პროგრამა - საინფორმაციო შეხვედრა - DAAD
- Rustaveli-DAAD სასტიპენდიო პროგრამის 2022 წლის საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/2022-tslis-konkursebi/fondi-atskhadebs-shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniero-fondisa-da-germaniis-akademiuri-gatsvlis-samsakhuris-ertoblivi-Rustaveli-DAAD-is-sastipendio-programis-2022-tslis-sagranto-konkurss-
- SRNSFG 2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-akhalgazrda-metsnierta-kvlevebis-grantit-dafinansebis-konkurss
- MSCA-PF Call 2022 - საინფორმაციო ვებინარები და შეხვედრები აპლიკანტებისთვის https://ec.europa.eu/research/mariecurieactions/about-msca
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია 2022
- იაპონიის მთავრობის 2023 წლის სტიპენდიები - მკვლევარის პროგრამა https://www.studyinjapan.go.jp/en/smap_stopj-applications_research.html
- 2022 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/220525035627shota-rustavelis-erovnuli-sametsniero-fondisa-da-italiis-kvlevebis-erovnuli-sabchos-CNR-ertoblivi-konkursi
- EULAR EU Grant Development Voucher (rheumatology Europe) https://www.eular.org/index.cfm
- Thrasher Research Fund - Early Career Awards 2022 https://www.thrasherresearch.org/early-career-award?#eligibility3
- Ca' Foscari University of Venice - MSCA Fellowships 2022 https://unive.it/pag/40618/
- SRNSFG 2022 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-sakhelmtsifo-sametsniero-sagranto-konkurss-metsniereba-itskeba-skolidan--kvlevebi-mostsavleta-monatsileobit-
- SAGE-ის ვებინარები მკვლევრებისთვის "How to get published" https://sagepub.zoom.us/webinar/register/WN_UrND-RWzTKavWSJQHzUvVg
- NIDCR Small Research Grants for Oral Health Data Analysis and Statistical Methodology https://grants.nih.gov/grants/guide/pa-files/PAR-22-160.html#_Section_IV._Application_1

- SRNSFG ფონდის და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2022 წლის საგრანტო კონკურსი: https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-shota-rustavelis-saqartvelos-erovnuli-sametsniero-fondisa-da-oqsfordis-universitetis-saqartvelos-shemstsavleli-metsnierebebis-ertoblivi-kvleviti-programis-2022-tslis-sagranto-konkurss

3. 2021 წლის 27 ოქტომბრის - 5 ნოემბრის პერიოდში, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე "თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის ეთიკა", რომელსაც კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიბა მასუდი უძღვებოდა. ტრენინგის ხაგრძლივობა - 10 საათი. სამუშაო ენა - ინგლისური.

4. 2021 წლის 6, 7, 8 დეკემბერს უნივერსიტეტში არსებული "კვლევის დაფინანსების წესის" და "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების" წესის გასაცნობად განხორციელდა სამუშაო შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

5. 2022 წლის იანვარში განხორციელდა ონლაინ შეხვედრები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, რომლის მსვლელობისას მოხდა "სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“ და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების განახლებული ანგარიშის ფორმის მათთვის გაცნობა. გარდა აღნიშნული ფორმისა, ცენტრის მიერ ასევე შემუშავდა ფორმის შევსების გზამკვლევი, რომელიც ასევე გაზიარდა პერსონალთან გასაცნობად.

6. 2022 წლის 18 თებერვალს ჩატარდა სემინარი თემაზე "ინფორმაციის მართვა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, გიგა ხოსიტაშვილი. სემინარის ხანგრძლივოდა შეადგენდა 3 საათს.

7. 2022 წლის 23 თებერვალს - 3 მარტს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი "საგრანტო განაცხადის მომზადება და ფონდების მოძიება", რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის კოორდინატორი და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი სალომე კანდელაკი. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.

8. 2022 წლის 29 აპრილს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე "როგორ შევარჩიოთ სამეცნიერო ჟურნალი", სადაც განხილული იყო სამეცნიერო ჟურნალების შერჩევის მეთოდები, ე.წ. "predatory journals"-ების ამოცნობის ინსტრუმენტები და მეთოდები.

9. 2022 წლის 18 მაისს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ორგანიზებით

ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდნენ „საქპატენტის“ ტუტორები მერაბ კუცია („საქპატენტის“ გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი) და ირაკლი კასრაძე („საქპატენტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი). ტრენინგის ხანგრძლივობა - 4 საათი.

10. 2022 წლის 16 ივნისს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის პრევენციის რეგულაციების შესახებ, უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის გამომვლენი პროგრამის: https://www.turnitin.com/ გამოყენების შესახებ და სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშის წარდგენის შესახებ.

11. 2022 წლის 23 ივნისი - 1 ივლისის პერიოდში ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „კოლაბორაციული კვლევა", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მკვლევარი, ეკა კოხრეიძე. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.

12. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის: https://www.turnitin.com/ გამოყენების საკითხებზე.

მნიშნელოვანია ასევე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები. აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მიერ 2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარდა შემდეგი შეხვედრები / ღონისძიებები:

1. 2022 წლის 12 აპრილი - 26 აპრილის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მეირ გამოცხადდა პოსტერების კონკურსი თემაზე „პლაგიატის პრევენცია“. კონკურსში მონაწილეობა 10 სტუდენტმა მიიღო, გამოვლინდა 3 გამარჯვებული.

2. 2022 წლის 10 ივნისს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვან სტუდენტებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია“, რომლის მსველობისას სტუდენტებთან გაზიარდა ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის

შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ (სამუშაო ენა - ინგლისური).

3. 2022 წლის 24 მაისს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (სამუშაო ენა - ქართული) თემაზე „სამეცნიერო სტატიის წერა“.
4. 2022 წლის 27 მაისს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (სამუშაო ენა - ინგლისური) თემაზე „სამეცნიერო სტატიის წერა“.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღინისძიებების შესახებ.

**3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით.** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პერსონალის შეფასების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები, ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აფასებენ სასწვლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს (ზემოაღწერილი პროცედურის შესაბამისად) და პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს. პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში

შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლო აქტივობებს, თითოეულ აქტივობას განესაზღვრება შესაბამისი ქულა, აქტივობის მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებელია პერსონალის მიერ ისეთი აქტივობის მითითებაც, რომელიც არ არის განსაზღვრული ანგარიშის ფორმით. ასეთი აქტივობის ქულა განისაზღვრება კომისიური წესით. ანგარიშებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან გამოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის ინიცირებით და რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ კი ხდება პერსონალისგან მიღებული ანგარიშების გაანალიზება და საბოლოო შედეგების განსაზღვრა. ხდება შეფასების შედეგების გათვალისწინება პერსონალის წლიური რეიტინგის დადგენაში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და აკადემიური საქმიანობა შეფასდა 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგები მეტწილად დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პერსონალის შეფასება და რეიტინგების დადგენა 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დეკანების მიერ წარმოდგენილია 2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები (მაგ. კომუნიკაცია ლექტორებთან, კომუნიკაცია სტუდენტებთან, სააუდიტორო საქმიანობის შეფასება - ლექციაზე დასწრება და ა.შ.), ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (აკადემიური პერსონალი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი; მოწვეული პერსონალი: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 5 აკადემიური პერსონალი და 4 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯოლდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი; სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 2 აკადემიური და 1 მოწვეული პერსონალი. სულ დაჯილდოვდა ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 9 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.




2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 8 600 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინდა 3 500 ლარი: აკადემიური პერსონალი - 2 500 ლარი და მოწვეული პერსონალი - 1 000 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხა კი განისაზღვრა 5 100 ლარით: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი.




**შენიშვნა:** როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია.. რეიტინგში მაღალი შეფასების მქონე პერსონალის რაოდენობასთან შედარებით ნაკლები და ამასთანავე, წესით განსაზღვრულისგან ნაკლები რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება განაპირობა სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა.

2021-2022 აკადემიური წლის შეფასების შედეგები ევროპის უნივერსიტეტის მიერ განთავდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/ge/annual-ranking-faculty-law-humanities-and-social-sciences, მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/ge/annual-rating-faculty-medicine. ინფორმაციის საჯაროობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეფასების შედეგები.

**3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ.** 2020-2021 აკადემიური წლიდან ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს დაემატა სტუდენტთა გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასების მიზნით. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია შეფასედეს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელთან მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების შესრულება, ნაშრომის სილაბუსის, მიზნების, სწავლის შედეგების, ნაშრომის შეფასების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ნაშრომის შესრულების დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების პროცესში, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში დახმარება, ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალების მოძიების გზების შესახებ მიმართულებების მიცემა, სამეცნიერო ელქტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისა და მათი საშუალებით მასალების მოძიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესრულებული სამუშაოს შესახებ რეგულარული უკუკავშირის მიწოდება, ხელმძღვანელისგან მიღებული კონსულტაციების, განმარტებების, მიმართულებების, დავალებების, შესრულებულ დავალებებზე მიღებული შენიშვნების, განმარტებების, უკუკავშირის მნიშვნელობა ნაშრომის შესრულებისა და დახვეწის პროცესში, ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების, წყაროს მითითების, პლაგიატის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. სტუდენტი ამასთანავე აფასებს ხელმძღვანელთან მუშაობით ზოგად კმაყოფილებას და აქვს შესაძლებლობა გამოთქვას დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას:

https://www.surveymonkey.com/. 2021-2022 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში აღნიშნულ შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისად შეფასდნენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები. მოხდა მიღებული შეფასების შედეგების გაანალიზება და ფაკულტეტის დეკანისთვის გაზიარება.




შეფასების შედეგები დადებითია, თუმცა გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელდა გარკვეული რეაგირებები, რომლის შესახებ ინფორმაციაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა დეკანის მიერ რეაგირების ანგარიშის სახით (დეტალებისთვის იხ. დანართი #6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში).

**3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით.** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასების პროცესი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს

ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა 2021-2022 აკადემიურ წელს, აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შეფასებებზე დაყრდნობით განხორცილედა რამდენიმე განმეორებითი შეფასებაც. კერძოდ, შეფასება განხორციელდა სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული შეფასებების საფუძველზე. სულ განხორციელდა 73 სააუდიტორო მუშაობის შეფასება. განხორციელებული შეფასებებიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა განეკუთვნებოდა წინა შეფასების საფუძველზე განმეორებით დასწრების საჭიროების მიზეზით განხორციელებულ შეფასებას, ორ შემთხვევაში შეფასება განხორციელდა სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში ევროპის უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების მიზეზით. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი დასწრების შედეგები დადებითია, გაიცა სრულად პოზიტიური უკუკავშირი პერსონალთან, გათვალისწინებული იყო წინა შეფასებების პროცესში გაცემული ყველა უკუკავშირი და რჩევა. 2021-2022 აკადემიური წლის შეფასებების შედეგად იყო შემთხვევები როცა დასწრების საფუძველზე გამოიკვეთა განმეორებით დასწრების საჭიროება რამდენიმე პერსონალთან: მედიცინის ფაკულტეტზე 7 შემთხვევა და სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 2 შემთხვევა. სააუდიტორო მუშაობის შეფასებების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით, დასწრების მიზეზებისა და დამდგარი შედეგების გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე საუდიტორო მუშაობის შეფასება 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

საუდიტორო მუშაობის შეფასებებისა და რეაგირებების პროცესში აქტიურადაა ჩართული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის, გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის. 2021-2022 აკადემიური წლის შეფასებების საფუძველზე განხორციელდა პერსონალისთვის ტრენინგ-მოდულების „სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში", „შეფასების თანამადროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში" შეთავაზება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ, პერსონალმა ხშირ შემთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით (დეტალებისთვის იხ. დანართი #7 - საუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები).

ზოგადად ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლების, შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. პერსონალისთვის აღნიშნული ტრენინგ-მოდულების რეგულარული შეთავაზება მიმდინარეობს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა კვლევებისა თუ შეფასებების საფუძველზე, ისე თავად ცენტრის მიერ ჩატარებული

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისად.. 2021-2022 აკადემიურ წელს აღნიშნული ცენტრის მიერ ჩატარდა 6 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდული, კერძოდ:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.
2. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება.
3. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.
4. დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს, პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული ელ-პლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.

5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდული ორიენტირებულია პლაგიატის ამომცნობი პროგრამის: https://www.turnitin.com/ ეფექტიან გამოყენებაზე სწავლებისა და შეფასების პროცესში.
6. სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში - ტრენინგ-მოდული ითვალისწინებს ისეთი სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების ერთობლიობის გაცნობას, რომელიც გამოიყენება როგორც დისტანციური, ასევე პირისპირ სწავლების დროს, როგორიც არის მაგალითად „flipped classroom", „outside-in blanding learning", "self-directed blanding learning" და სხვა.

ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართულებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. როგორც უკვე აღინიშნა, შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების შეფასებისა და ამასთანავე პერსონალის საჭიროებების კვლევის მიზნით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ატარებს პერსონალის ყოველწლიურ გამოკითხვას. კვლევა ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის შეფასების, განვლილი ტრენინგების შეფასებისა და მათ შესახებ რეკომენდაციის, ასევე ტრენინგ-მოდულების ახალი თემატიკის შემოთავაზების საშუალებას იძლევა. გამოკითხვა ჩატარდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 199-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მათგან 136 (68%) ესწრებოდა ცენტრის მიერ გასულ აკადემიურ წელს ჩატარებულ ტრენინგ-მოდულებს, შესაბამისად, მათი შეფასება განსაკუთრებით ღირებული იყო არსებული ტრენინგ-მოდულების მოდიფიცირებისა თუ კვლავ შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის შედეგების მიხედვით პერსონალი დადებითად აფასებს შეთავაზებული ზემოაღნიშნული 6 ტრენინგ-მოდულის საჭიროებას:



შესაბამისად, ტრენინგ-ცენტრი კვლავ გააგრძელებს დასახელებული ტრენინგ-მოდულების რეგულარულ შეთავაზებას ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ ტრენინგინ-მოდული სახელწოდებით სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში 2020-2021 აკადემიურ წელს შემუშავდა სწორედ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ხოლო ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ტრენინგ-მოდული სახელოწდებით შეფასების თანამედროვე მეთოდები, მედიცინის ფაკულტეტის შესაბამის პერსონალს მიეწოდება მოდიფიცირებული ფორმატით სააუდიტორო სივრცეში, სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკულ კომპონენტზე.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა პერსონალისთვის საინტერესო ახალი თემატიკა: საგანმანათლებლო ინტერნეტ რესურსი, ელ-ბიბლიოთეკა. შესაბამისად, არსებულ ტრენინგ-მოდულს „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას“, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დაემატა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ თემა, სადაც, ყურდღება მახვილდება ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების საკითხებზე. შესაბამისად, 2021-2022 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მნიშვნელოვნად განახლდა ტრენინგ-მოდული სახელწოდებით „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას“, შესაბამისად მოდიფიცირდა სახელწოდებაც „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას (სამეცნიერო ბაზები, ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება)“. ტრენინგ-მოდულის პერსონალისთვის შეთავაზება აქტიურად მიმდინარეობდა 2021-2022 აკადემიურ წელს.

2021-2022 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 190 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ჩატრებული ტრენინგების შესახებ). ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2021-2022 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში გადამზადდა სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკუტეტის 63 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტის - 59 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის - 68 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი შესაძლებელია მეორდებოდეს, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

2021-2022 აკადემიური წლის განმავლობაში ტრენინგ-მოდულების მიხედვით პერსონალის გადამზადება ევროპის უნივერსიტეტში მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება:




| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 14 |
| შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 16 |
| სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში | 29 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 73 |
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში | 30 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას (სამეცნიერო ბაზები, ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება) | 28 |

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტებისა და ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განაწილება ტრენინგ-მოდულების მიხედვით:




| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 4 |
| სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში | 29 |
| აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში | 30 |

მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|

| | |
|---|---|
| სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა | 10 |
| შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 9 |
| სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 40 |

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




| ტრენინგის დასახელება | დამსწრე პერსონალის რაოდენობა |
|---|---|
| შეფასების თანამედროვე მეთოდები (OSCE/OSPE) | 7 |
| სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში | 33 |
| დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას (სამეცნიერო ბაზები, ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება) | 28 |

### 3.3. სასწავლო პროცესის შეფასება

სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით:

**3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია.** უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის

მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით). მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პეროსონალი, მეთოდოლოგიით დადგენილი ნიშნულების მიხედვით), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), ამასთანავე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის რაოდენობისა და მათ მიერ ჩასატარებელი შესაძლო საათების რაოდენობის გათვალისწინებით).

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შეძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორიცაა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა) მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, გარე მობილობით მისაღები სტუდენტებისთვის ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, რათა მოხდეს უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით). პროცედურა ითვალსწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნული შემთხვევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ევროპის უნივერსიტეტში განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდლოგიით განსაზღული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (3500 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდლოგიის მიხედვით. ხოლო 2021-2022 აკადემიური წლის მიმდინარეობსას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობების გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის კონტროლს (დეტალებისთვის იხ. დანართი #21 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები).

**3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა.** სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. გამოკითხვის პროცესები, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/.

ზემოაღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც.

2021-2022 აკადემიურ წელს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გამოკითხულ სტუდენტთა საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება, უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება საერთო ჯამში შეფასდა დადებითად:

**სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი**

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას", სამართლის განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგოების

ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.92 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 23% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 46% - 4 ქულით, ხოლო 25% - 3 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 31.00% | 46.00% | 23.00% | 3.92 ქულა |

## მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.29 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 13% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 29% - 4 ქულით, 40% - 3 ქულით, 10% - 2 ქულით, ხოლო 8% - 1 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 8.00% | 10.00% | 40.00% | 29.00% | 13.00% | 3.29 ქულა |

**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

სტუდენტთა კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული სტუდენტების ნაწილმა.

2021-2022 აკადემიურ წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება პერსოანლის განვითარების ხელშეწყობის მხრივ და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოკითხული პერსონალის კმაყოფილება:

### სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე“, გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.82 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 88% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 6% - 4 ქულით, ხოლო დანარჩენი 6% - 3 ქულით. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას", რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.20 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 81% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 13% - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა 6% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე | 0.00% | 0.00% | 6.00% | 6.00% | 88.00% | 0.00% | 4.82 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 13.00% | 0.00% | 00.00% | 00.00% | 81.00% | 6.00% | 4.20 ქულა |

## მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ ზრუნავს თუ არა უნივერსიტეტი პერსონალის აკადემიურ განვითარებაზე", გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალის შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.39 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 78% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 11% - 4 ქულით, ხოლო 5% - 1 ქულით. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის მაქსიმალური 5 ქულა (უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 8%-მა არ გასცა პასუხი აღნიშნულ შეკითხვას, თუმცა დანარჩენი 92%-ის მიერ, ვინც უპასუხა დასმულ შეკითხვას, შეფასება მაქსიმალრი 5 ქულაა):




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე | 5.00% | 0.00% | 0.00% | 11.00% | 78.00% | 6.00% | 4.39 ქულა |

| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | მიჭირს პასუხის გაცემა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 0.00% | 0.00% | 92.00% | 8.00% | 5.00 ქულა |

**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე

პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

პერსონალის კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი ამ შემთხვევაშიც აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული პერსონალის ნაწილმა.

გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს, საგამოცდო ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და ა.შ.) ეგზავნება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასების მიზნით. აღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გამოკითხვების შედეგად 2021-2022 აკადემიურ წელს გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაზიარებაც მოხდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სტრუქტურული ერთეულების მიერ საპასუხოდ განხორციელებულია არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რეაგირება, რომელთა შესახებ ანგარიშიც გაზიარებული და დადებითად შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (დეტალებისთვის იხ. დანართი #9 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

**3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით.** 2021-2022 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის (google meet) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. შევედრებზე მოწვეული იყო შეხვედრაში მონაწილეობის მსურველი ყველა სტუდენტი.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ, მოკლედ ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ, განემარტათ თუ  რა ტიპის ინფორმაციას  შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში  მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგადი შეფასება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარების მიზანს იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა და რა ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხრიდან წინა პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოსაზრებების საპასუხოდ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები. შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა გარკვეული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგების გათვალისწინებისა და რეაგირებების შესახებ დეტალური უკუკავშირის გაგზავნა სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდნეტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი #10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

**3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშული პროცესებით კმაყოფილება, ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების, მათ შორის ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდებისა (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) ორგანიზება და მიმდინარეობა შეფასდა ორივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, ოსპისა და ოსკის გამოცდების შემთხვევაში კი საგამოცდო პროცესები შეფასდა ასევე გამომცდელების მიერაც. საგამოცდო პროცესების ორგანიზება და მიმდინარეობა ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული სტუდენტების მიერ: შეკითხვაზე „საერთო ჯამში გამოცდები იყო კარგად ორგანიზებული", გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა დადებითად პასუხობს, კერძოდ, აღნიშნული შეკითხვის შეფასება ორივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შუალედური და დაკსვნითი გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.9 ქულა. შეფასების შედეგები ფაკულტეტების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - საშუალოდ 3.85 ქულა, მედიცინის ფაკულტეტი - საშუალოდ 3.97 ქულა. შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდების მიხედვით თითოეულ ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:

## სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი




## მედიცინის ფაკულტეტი




მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო პროცესები, კერძოდ კი ოსპისა და ოსკის გამოცდების ორგანიზებითა და მიმდინარეობით კმაყოფილება შეფასდა გამომცდელების მიერაც. შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე საგამოცდო პროცესების შეფასება 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგებად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები შინაარსის მიხედვით ეგზავნება საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტს და ოსკის გამოცდების შემთხვევაში სიმულაციურ ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი, ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის თანამშრომლები სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. 2021-2022 აკადემიური წლის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური წლის მიმდინარეობისას, როგორც საგამოცდო ცენტრის, ისე ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის მიერ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად გრძელდება მუშაობა ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან. უკვე განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიში ფაკულტეტის დეკანის, საგამოცდო ცენტრისა და სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების მიზნით. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში არ გამოკვეთილა რეაგირების საჭიროებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საკითხების შეფასებას. 2021-2022 აკადემიურ წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის შემხთხვევები, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო განაცხადებით მიმართვის შემთხვევები, არის სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით აპელაციის შემთხვევების რაოდენობა და აპელაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება 2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებულ შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის: 2021-2022 აკადემიურ წელს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების ჯამში 27 შემთხვევა დაფიქსირდა საგამოცდო ცენტრის მიერ. სააპელაციო კომისიამ დააკმაყოფილა გასაჩივრების 11 შემთხვევა, აქედან 3 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა შეფასებისას დაშვებული ტექნიკური ტიპის შეცდომები, ხოლო 8 შემთხვევაში სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად:



შენიშვნა: საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშისა და კომისიის წარმოდგენილი ოქმების მიხედვით აპელაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევები უკავშირდება შემდეგ გარემოებას: შეფასებები გადამოწმდა კომისიური წესით, თუმცა კომისიამ არ ჩათვალა აპელაციის დაკმაყოფილება და შეფასების გაზრდა მიზანშეწონილად, რადგან ნაშრომი არ იძლეოდა შეფასების გაზრდის საფუძველს.

ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, გასაჩივრებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების სტუდენტების მიერ ცოდნასა და გამოყენებას, მონაცემებით ასევე დასტურდება გასაჩივრების შემთხვევებზე ობიექტური რეაგირება. ამდენად, 2021-2022 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რაიმე ტიპის რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი #14 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ).

**3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ.** პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და საკონტაქტო საათების შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ კლინიკისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად

სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლენში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2021-2022 აკადემიურ წელს პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ განხორციელდა ორივე ფაკულტეტზე, სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების და მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

### სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.7 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცონდა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.6 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.7 ქულით შეფასდა:




## მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)", გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 3.7 ქულა. კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებასთან დაკავშირებით, კლინიკების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების შეფასების ორივე სემესტრის შედეგები უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.4 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ" და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ". კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცონდა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.8 ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.6 ქულით შეფასდა:




**შენიშვნა:** ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა სტუდენტები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, აღნიშნულ ფაკულტეტზე პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასება 2021-2022 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

შეფასების შედეგების მიხედვით, 2021-2022 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგად საყურადღებო საკითხებიც გამოვლინდა და შესაბამისად, მოხდა შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საყურადღებო საკითხების ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის გაზიარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა რეაგირების შესახებ ანგარიშის გამოთხოვა საყურადღებო საკითხებზე შესაბამისი მხარეების მიერ განხორციელებული რეაგირებების ანდა საპასუხო მოსაზრებების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მხრიდან გაზიარებულია აღნიშნული რეაგირებების ანგარიშები, სადაც აღწერილია როგორც უკვე განხორციელებული ქმედებები ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი რეაგირების საკითხები და საპასუხო მოსაზრებები (იხ. დანართი #8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

**3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.** სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში

მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ ასევე მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2021-2022 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.8 ქულაა, ხოლო შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ცოდნა და გამოცდილება რაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით შეიძინეთ“, გამოკითხული სტუდენტის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.7 ქულა. ასევე დადებითად შეფასდა სტუდენტის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, დამატებითი პრაქტიკული უნარების განვითარება, კარიერული შესაძლებლბების გაუმჯობესება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე სტუდენტის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით შეფასდა საშუალოდ 4 ან მეტი ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები სემესტრებს შორის შედეგნაირად ნაწილდება:




2021-2022 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის პერსონალმაც, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით" გამოკითხული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან მაქსიმალური 4 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, კვალიფიკაციის ამაღლება (სწავლების, კვლევითი და ა.შ. უნარების გაუმჯობესება), მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება, პროფესიული კონტაქტების დამყარება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე პერსონალის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა 4 ან მაქსიმალური 5 ქულით:



2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანი საყურადღებო საკითხი პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეაგირების მოთხოვნის საჭიროება. შეფასების შედეგები გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის სამსახურს. გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები სტუდენტების შეფასებების ანალიზის საფუძველზე, შეფასების აღნიშნული შედეგები რეაგირებების მიზნით გაეგზავნა საერთაშორისო ურთერთბების სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიღებულია რეაგირების ანგარიში, სადაც აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები, ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები (იხ. დანართი #11 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

**3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა.** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება მობილობით ევროპის უნივერსიტეტიდან გადასული და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ყოველი მობილობის დროს, ევროპის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში გადასვლისა და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზების მოკვლევის მიზნით. მობილობის მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასულმა 22-მა სტუდენტმა. წარმოგიდგენთ ევროპის უნივერსიტეტიდან გადასვლის მაღალი პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სტუდენტების მხრიდან დასახელდა რამდენიმე საკითხი: რესპონდენტთა 41% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეული უნივერსიტეტის ადგილმდებარეობას, 23% - მობილობით არჩეული უნივერსიტეტის სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს, გამოკითხულთა 27%-ის მიერ გადასვლის მიზეზად სახელდება ის ფაქტი რომ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი აზრით უფრო მარტივია სწავლა, რესპონდენტთა 14% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

გამოკითხვის შედეგად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ სახელდება ევროპის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ: საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლების მაღალი ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ), უნივერსიტეტში

არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ), კვალიფიციური პერსონალი, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, სტუდენტური ცხოვრება, ინფრასტრუქტურა, სწავლის საფასური და გადახდის პირობები, სახელდება ასევე კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოღნიშნული ძლიერი მხარეები დასახელებულია მობილობით გადამსვლელი სტუდენტების მიერ, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს შეფასებებს. ამასთანავე გამოკითხვისა და შეფასებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხი, კერძოდ, გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ ევროპის უნივერსიტეტის სუსტ მხარედ დასახელდა ისეთი საკთხები, როგორიცაა კარირული განვითარების ხელშეწყობა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება, სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა კვლევით აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მცირე ნაწილის მიერ დაფიქსირდა ისეთი საკითხებიც, რომელიც გამოკითხვის პროცესში ასევე გამოკვეთილი იყო, როგორც უნივერსიტეტის ძლიერი მხარე. კითხვარი იძლეოდა რესპონდენტების მხრიდან დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების დაფიქსირების შესაძლებლობას, დამატებითი საყურადღებო საკითხების, ან დასახელებულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადასვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტიდან მობილობით გადასვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:




გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულმა 29 სტუდენტმა. წარმოგიდგენთ უნივერსიტეტში გადმოსვლის მაღალი პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ ევროპის უნივერსიტეტში მათი გადმოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით:

ევროპის უნივერსიტეტში ისეთი საგამანათლებლო პროგრამის არსებობა, რომელზეც სწავლობდა სტუდენტი (კრედიტების თავსებადობა), ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ), უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ), ევროპის უნივერსიტეტის პროგრამის კვალიფიციური პერსონალის მიერ განხორციელება, გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, კარიერული განვითარების შესაძლებლობები, ეროპის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/მატერიალური ბაზა, სწავლის საფასური / გადახდის პირობები, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიან განათლების მიღების შესაძლებლობები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მაგალითად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად უფრო მარტივად სწავლის დასახელება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი რესპონდენტთა მცირე ნაწილის მიერ დასახელდა გადმოსვლის მიზეზად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში გადმომსვლელთა უმრავლესობა (55%) გადმოსვლის მიზეზად ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას ასახელებს, ასევე დიდი ნაწილის (34%) მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადმოსვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



ამდენად, გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებები ძირითადად დადებითია, თუმცა ბუნებრივია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა შეფასების მიღებული შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგებით გამოვლენილი გარკვეული საყურადღებო საკითხების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაგზავნა გაცნობისა და რეაგირებების მიზნით. სტრუქტურული ერთეულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაზიარებულია განხორციელებული რეაგირებებისა თუ დაგეგმილი საპასუხო აქტივობების/საპასუხო მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ანგარიშის საშუალებით ანგარიშგებისა და შეფასებების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #12 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 4. კვლევა

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

### 4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებებთან ერთად წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე, სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აღნიშნული წესით ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2021-2022 აკადმემიური წლის ბოლოს (განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აგანხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

### 4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარებასთან, შესაბამისი კონსულტაციების გაწევასთან ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი #16 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ). 2021-2022 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად:

1. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ოთხი განაცხადი, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის მიერ ერთი განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი | გაიარა შესარჩევი ეტაპი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მედიცინის ფაკულტეტი | Enhancement of research competences of undergraduate MD | ბულგარეთის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამა | დიახ | არ დაფინანსდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | program students at Georgian HEIs with the support of Bulgarian HEI | ,,Bulgarian Development Aid“ | | |
| 2 | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | რუსეთ უკრაინის ომი და საერთაშორისო სამართალი | USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა - იმოქმედე ახლა | დიახ | არ დაფინანსდა |
| 3 | | წიგნის თარგმნის პროგრამა 2022;<br>Author: Vincent R. Johnson<br>Mastering Torts: A Student's Guide to the Law of Torts (6th edition) | აშშ-ის საელჩო საქართველო | დიახ | არ დაფინანსდა |
| 4 | | Practical skills training course for law students - პრაქტიკული უნარ-ჩვევების ტრენინგ კურსი იურისტებისათვის | USAID Rule of Law Program in Georgia.<br>East - West Management Institute | დიახ | არ დაფინანსდა |
| 5 | | საქართველოს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების განხორციელების პრაქტიკა - ბაკურ ლილუაშვილი<br>“Practice of Providing International Legal<br>Assistance in Civil Cases in Georgian Courts” | სამართლის უზენაესობის პროგრამა: საგრანტო კონკურსი სასამართლოსა და აკადემიური წრეების ჩართულობის პროექტებისთვის | დიახ | არ დაფინანსდა |

2. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ოთხი განაცხადი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ოთხი განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი | გაიარა შესარჩევი ეტაპი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში (ფუნდამენტური კვლევების კონკურსი) FR-22-4466 | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | დიახ | დაფინანსდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | | რუსეთ-საქართველოს 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები OTG-I-22-355 | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | დიახ | არ დაფინანსდა |
| 3 | | სამართლის ფორუმი (მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი) SPG-22-098 | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | დიახ | არ დაფინანსდა |
| 4 | | ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ მარნეულში სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება | ქალთა ფონდი საქართველოში | დიახ | არ დაფინანსდა |

3. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის (იოსებ კელენჯერიძის) მიერ მოხდა განაცხადის შეტანა ადგილობრივ ინდივიუალურ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

| # | ფაკულტეტი | საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა | ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი | გაიარა შესარჩევი ეტაპი | სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნ. ფაკულტეტი | ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოპოვების კონკურსი (YSS-22-107) | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | დიახ | არ დაფინანსდა |

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ანგარიშის თანახმად სახეზეა ფაკულტეტების მხრიდან საკმაო აქტიურობა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიზნით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრის მიერ როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ისე ზოგადად, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს, საგრანტო განაცხადის მომზადების ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა და კონსულტაციები შესაბამის მხარეებთან, განაცხადის ავტორებთან, მათი მხარდაჭერის, უფრო კონკრეტულად კი საგრანტო განაცხადების გამართვისა და სრულფასოვნად მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არის საგრანტო პროექტების დაფინანსების შემთხვევები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს. 2021-2022 აკადემიურ წელს დაფინანსდა ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილე ერთი საგრანტო პროექტი.

ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ შეტანილი საგრანტო პროექტების განაცხადებისა და მათი დაფინანსების შესახებ მონაცემები შემდეგნარიად გამოიყურება:




### 4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ

დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშვნელობის გაანალიზების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანაგრიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ გაანალიზებულია 2021-2022 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები და შეფასებულია პროექტის შედეგების მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტისგან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანაგრიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის პრაქტიკული ღირებულება ან/და შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #17 - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინერეობის

ანგარიშები). 2021-2022 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული შიდა საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების მიხედვით შემდეგია:

**საგრანტო პროექტი „ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი აქტიურიტუბერკულოზის განვითარებაში“.** პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი (48 თვე). პროექტის ბიუჯეტი: 49 200 ლარი. სტატუსი: მიმდინარე. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსტიეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ეკა კოხრეიძე, პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ასევე ევროპის უნივერსიტეტის სხვა აკადემიური პერსონალიც და ამასთანავე, მედიცინის ფაკულტეტის სამი სტუდენტი.

კვლევის ამოცანას, აქტიური ტუბერკულოზის მქონე პირთა კონტაქტებში პრევენციული მკურნალობის რეჟიმის იმპლემენტაციაზე, მკურნალობის დამყოლობაზე, გვერდით მოვლენებსა და პრევენციული მკურნალობის დასრულებაზე დაკვირვება წარმოადგენს. კვლევა არის პროსპექტული კოჰორტული კვლევა. კვლევაში ჩართულია ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ამბულატორიული დეპარტამენტი მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ფტიზიატრით, ასევე ოთხი რეგიონი: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი და იმერეთი. მონაცემების შეგროვება ხორციელდება სტრუქტურირებული ღია და დახურული კითხვარების მიხედვით, რომლებსაც ავსებენ პაციენტის პირადი ექიმები. კვლევაში მონაწილეობას იღებენ ნებისმიერი ასაკის სხვა რისკ ჯგუფში მყოფი პირები (აივ პაციენტები, დიალიზზე მყოფი პაციენტები, ორგანოგადანერგილი პაციენტები, კიბოთი დაავადებული პაციენტები, რომლებსაც TNF-alpha-თი ჩაუტარდა მკურნალობა).

რაც შეეხება კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების / კვლევის შედეგებისა და პროექტის ძირითადი მიღწევების შეჯამებას, პროექტი მიმდინარეა და შედეგების ჩამოყალიბება მოხდება პროექტის დასრულების მომენტისთვის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კვლევის ანგარიში და სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებული იქნება საერთაშორისო სამეცნიოერო ჟურნალში, ასევე წარდგენილი იქნება შესაბამის საერთაშორისო კონფერენციაზე, მაგალითად: World Union.

კვლევას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა და ღირებულებები: ტუბერკულოზის განვითარების საწინააღმდეგოდ არსებული პრევენციული თერაპიის ახალი (მოკლე) რეჟიმების გავლენა შემდგომში აქტიური ტუბერკულოზის განვითრებაზე მნიშვნელოვანი სიახლე იქნება სამეციერო საზოგადოებისთვის ამ დარგში, რადგან ეს არის სრულიად ახალი რეკომენდაცია და სამეცნიერო კუთხით ახლა მიმდინარეობს მისი შესწავლა.

**საგრანტო პროექტი „სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“ (განახლებული სახელწოდება „შედარებითი მემკვიდრეობის სამართალი“).** პროექტის

ხანგრძლივობა: 2 წელი და 2 თვე (კვლევამ მოგროვებული მასალისა და გამოტანილი დასკვნების შესაბამისად განიცადა ტრანსფორმაცია, გახდა უფრო ფართო და ამდენად, გახანგრძლივდა მისი დასრულების პერიოდი). პროექტის ბიუჯეტი: 3 000 ლარი. სტატუსი: მიმდინარე. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსტიეტის სამართლის, განათლების ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ეკატერინე ლაფაჩი.

პროექტიის მიმდინარეობისას გამოიკვეთა პრობლემატიკა, საქართელოში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, რაც სასამართლო პრაქტიკაშიც ვლინდება. პროექტზე მუშაობისას განხორციელდა ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიმდინარეობდა კონსულტაციები და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის შეგროვება. ამდენად, გერმანულ სამართლებრივ სისტემასთან შედარების პროცესში შემოთავაზებული იქნება შედეგები, რაც ხელს შეუწყობს ქართულ კანონმდებლობაში უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრას. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა გამოყენებული იქნება ქართულ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული მიმართულებით არსებული პრობლემატკის აღმოსაფხვრელად.

პროექტს გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება სწავლების თვალსაზრისით. მისი შედეგები საინტერესო და ღირებული იქნება სტუდენტებისთვის. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში“, „შედარებითი კერძო სამართალი“ და „სამოქალაქო პროცესი“ ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევას გააჩნდა პრაქტიკული ღორებულებაც. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი და ღირებულია პრაქტიკოსი იურისტებისათვის, მეცნიერებისა და სასამართლოებისათვის.

## 4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით), რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და

უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

პლაგიატის აღმოჩენისა და ამ კუთხით ნაშრომების შეფასების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში გამოყენებულია ელექტრონული პროგრამა: https://www.turnitin.com/. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით პროგრამა გამოიყენება არამხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მიზნით, არამედ ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა ისეთი წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.) შესამოწმებლად, სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ითხოვს დავალებაში გამოყენებული მასალისა და წყაროების მითითებას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია წერით დავალებებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურად გაანულოს დავალების ქულა, ხოლო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ უბრუნდება სტუდენტს გადასამუშავებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტებისგან გამოითხოვს შევსებულ ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამების ფარლებში ზემოაღწერილი რეგულაციების შესრულების შეფასების მიზნით. ანგარიშის შევსება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა 2021-2022 აკადემიური წლის ორივე სემესტრის ბოლოს. ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება სემესტრების მიხედვით:




ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით არის სტუდენტის მხრიდან ნაშრომის განულების გასაჩივრების ერთი შემთხვევა, რომელიც განხილულ იქნა კომისიური

წესით, თუმცა ძალაში დარჩა ნაშრომის გაწულების საკითხი, რადგან დადასტურდა ნაშრომში პლაგიატის ნიშნების არსებობა.

შევსებული ანგარიშების შეფასების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეგულაციების შესრულება. ნაშრომები/წერითი დავალებები შემოწმებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სადაც აღნიშნულის საჭიროება და შესაძლებლობაა). პლაგიატის ნიშნებზე შემოწმებულია საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომებიც/პროექტებიც და სასწავლო კურსების ფარგლებში სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები, მათ შორის, ესსე, კვლევითი პროექტები, რეფერატები. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების საფუძველზე საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, შესაბსამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირებების მოთხოვნის საჭიროება (დეტალებისთვის იხ. დანართი #15 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები).

## თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. გამოკითხვის პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების

მისამართით, მათ შორის მმართველი რგოლის მისამართითაც მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს და პირებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2021-2022 აკადემიური წლის ბოლოს, მოხდა შედეგების გაანალიზება. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 47-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი მეტწილად კმაყოფილება: შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით თქვენს ზოგად კმაყოფილებას", ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: პერსონალის 56.5% მაქსიმალური 5 ქულით აფასებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას, 37% - 4 ქულით, ხოლო 6.5% - 3 ქულით:




| | 1 ქულა | 2 ქულა | 3 ქულა | 4 ქულა | 5 ქულა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება | 0.00% | 0.00% | 6.50% | 37.00% | 56.50% | 4.50ქულა |

გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სახელდება მნიშნელოვანი დადებითი შეფასებები და უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის არაერთი ძლიერი მხარე: გუნდური მუშაობა (მათ შორის გადაწყვეტილების გუნდურად მიღება), თანამშრომლების ხელშეწყობა/მხარდაჭერა, ოპერატიულობა, სიახლეების

მიმღებლობა, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, კომფორტული სამუშაო გარემო, კომუნიკაცია და ურთიერთდახმარება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 2020-2021 აკადემიური წლის ანალოგიური გამოკითხვის შედეგებით, გუნდური მუშაობა დასახელეუბლი იყო როგორც უნივერსიტეტის საქმიანობის ძლიერ, ასევე, სუსტ მხარედაც, მიმდინარე გამოკითხვის შედეგებით კი გუნდური მუშაობა, გადაწყვეტილების გუნდურად მიღება გამოკვეთილად წამყვან ძლიერ მხარედ სახელდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. 2021-2022 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განხორციელდა არაერთი რეაგირება, მათ შორის დამკვიდრდა სამსახურების რეგულარული შეხვედრების, მნიშვნელოვანი საკითხების ერთად განხილვის, ერთობლივი მსჯელობისა და მოსაზრებების გაზიარების პრაქტიკა, რაც შესაძლებელია იყოს მიღებული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი.

ამასთანავე გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, მათ შორის: სამუშაო გრაფიკი - შაბათ დღეს მუშაობა, თანამშრომელთა შეფასების სისტემა, სამუშაოს არათანაბარი განაწილება, თანამშრომლების შეხვედრების ნაკლებობა არაფორმალურ გარემოში და ა.შ.

კითხვარი იძლეოდა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციების, მოსაზრებებისა და კომენტარების გაზიარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო სათანადო რეაგირებები მართვის ეფექტიანობის და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. პერსონალმა უმეტეს შემხთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამსახურებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები. გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებებისთვის წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანდა პირების (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფინანსური სამსახური, რექტორი და ა.შ.) მხრიდან განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი რეაგირებების შესახებ, ანგარიშების საშუალებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული ინფორმაცია იმის შესახებ

თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი #19 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან.

## თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურსა და სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება გარკვეული რეაგირებები, განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს უკვე განხორციელებული რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზისა საფუძველზე 2021-2022 აკადემიურ წელს გარკვეული ცვლილბები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, მაგალითად, განახლდა სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარები, დაინტერესებული მხარეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით შემუშავებული კითხვარები და ა.შ. პროცესების ზოგადი დაკვირვებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა რამდენიმე ახალი კითხვარის დამატების საჭიროება, გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს დაემატა რამდენიმე ახალი კითხვარი, კერძოდ, სტუდენტის მიერ ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდებისა (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) შეფასების კითხვარები, გამომცდელების მიერ ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდებისა (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) შეფასების კითხვარები.

2021-2022 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან, პირებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ გარკვეულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორცილებაც ვერ მოხდა მოკლე დროში, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. ანგარიშით განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები. რეაგირების ანგარიშებში ასევე წარმოდგენილია გამოვლენილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული პოზიციები, თუკი რეაგირება არ ჩაითვალა საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

2021-2022 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

| გამოკითხვის ტიპი | გამოკითხვის ჩატარების პერიოდი | გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება | რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები | განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური და მოწვეული პერონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | გამოკითხვის შედეგად დაბალი ქულით შეფასდა რამდენიმე ლექტორი, კერძოდ, აკადემიური პერსონალიდან არჩილ ალადაშვილი და მაია მანწკავა, მოწვეული პერსონალიდან თამარ შენგელაია, ირაკლი ჩაჩუა, ნატალია ქურდაძე, ირინე უკლება, ზურაბ კაპანაძე, ზურაბ ძაგანია, ლია ტრაპაიძე, ლიანა ელიზბარაშვილი, მაია ჭოლაძე, სოფიკო | აღნიშნულ პერსონალთან გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე მოხდა კომუნიკაცია. კერძოდ, ქალბატონი თამარ შენგელაიას შემთხვევაში, დაფიქსირდა სტუდენტების მხრიდან ჯგუფური პრეტენზიები, ასევე კომუნიკაციის პრობლემა სასწავლო პროცესის მენეჯერებთან. საპასუხოდ მოხდა ლექციებზე დასწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით და ონლაინ შეხვედრები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. რამდენადაც მაინც ვერ მოხერხდა ლექტორის მხრიდან პრობლემური საკითხების მოგვარება, მოხდა ლექტორის ჩანაცვლება სხვა ლექტორით. პროფ. არჩილ ალადაშვილის შემთხვევაში ძირითადი პრეტენზია ეხებოდა სტუდენტების შეფასების მეთოდებს, შეფასების ობიექტურობას და შეფასებების | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ლილუაშვილი, პაპუნა არევაძე, ანა აბაშიძე. | დროულ ასახვას სასწავლო ბაზაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ბატონ არჩილთან კომუნიკაცია განხორციელდა რამდენჯერმე ფაკულტეტის სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან და განხილულ იქნა მასთან პრობლემის მოგვარების გზები, შეთავაზებული იქნა უნივერსიტეტში დაგეგმილ ტრენინგებზე დასწრება. ირინე უკლებას, ლია ტრაპაიძეს, ირაკლი ჩაჩუას, ლიანა ელიზბარაშვილის შემთხვევაში დაბალი შეფასების მიზეზი ძირითადად გახდა კომუნიკაციის სირთულე როგორც სტუდენტებთან, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერებთან, კერძოდ რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა ლექცია/პრაქტიკულის დროის შეცვლის ან გადადების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდა ლექტორებთან კომუნიკაცია მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. ნატალია ქურდაძის და ანა აბაშიძის შემთხვევაში დაბალი შეფასება ძირითადად განაპირობა მის მიერ მეცადინეობების ხშირმა გაცდენებმა და დაგვიანებებმა სხვადასხვა მიზეზით. შემოდგომის სემესტრის დაგეგმვისას მოხდება ლექტორთან კომუნიკაცია ამ კუთხით, რათა მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევები. ზურაბ ძაგანიას და პაპუნა არევაძის შემთხვევაში დაბალი შეფასების მიზეზი გამოწვეულია სასწავლო ბაზაში სტუდენტების შეფასებების ატვირთვის დაგვიანებით, რიგ შემთხვევაში გარკვეული შეფასებების გამორჩენით, საგამოცდო ნამუშევრების დაგვიანებით გასწორებით. აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით ლექტორებთან კომუნიკაცია მოხდა როგორც საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლების, ასევე | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სასწავლო პროცესის მენეჯერის, დეკანის მოადგილის და დეკანის მხრიდან.<br>ზურაბ კაპანაძის შემთხვევაში სტუდენტებმა დააფიქსირეს პრეტენზიები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრაზეც. სტუდენტებთან და ლექტორთან გასაუბრების შედეგად 2021-22 წლის გაზაფხულის სემესტრში ზურაბ კაპანაძე გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ,,კლინიკური და პროფესიული უნარების“ და არა ,,ანატომიის“ სასწავლო კურსზე.<br>მაია ჭოლაძის და სოფიკო ლილუაშვილის შემთხვევაში სტუდენტების პრეტენზიები გამოწვეული იყო სასწავლო მასალის დიდი მოცულობით და ლექტორების მხრიდან მკაცრი შეფასებებით. მოხდა ლექტორებთან გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელის და დეკანის მხრიდან. გამოიკვეთა სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი და სემინარებში დაბალი აქტივობა, რაც გახდა სტუდენტების საბოლოო დაბალი აკადემიური შეფასებების მიზეზი, შესაბამისად, ლექტორებთან სხა ტიპის რეაგირებების საჭიროება არ გამოკვეთილა. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმინობის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | ინფორმატიკის პროგრამა: სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მოწვეული ლექტორის კარლო კვიჟინაძის მიმართ უკმაყოფილება. უკმაყოფილების მიზეზად სტუდენტის მიერ დასახელებული იყო შემდეგი საკითხები: | სტუდენტის მიერ დაფიქსირებული შეფასებების საპასუხოდ მოხდა კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან და ლექტორთან.<br><br>ლექტორმა აღნიშნა სხვადასხვა მიზეზით სტუდენტების მიერ ლექციების გაცდენის ხშირი შემთხვევები, რაც თავისთავად აისახება მათი აკადემიური მოსწრების შედეგებზე და იწვევს უკმაყოფილებას სტუდენტებში.<br><br>ლექტორთან კომუნიკაციის დროს მოხდა სტუდენტის მხრიდან მიღებული შეფასებებისა და | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სასწავლო კურსით სტუდენტების დაინტერესება, სწავლების და შეფასების მეთოდები, ლექციის მსვლელობისას სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა, შეფასებების ელექტრონულ სისტემაში დროული ასახვა, ლექტორის მიერ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება, ლექტორის მიერ უკუკავშირის, კომენტარების, განმარტებების გაცემა. საყურადღებოა, რომ უკმაყოფილება გამოითქვა მხოლოდ ერთი სტუდენტის მიერ. | საყურადღებო საკითხების დეტალური გაცნობა, საყურადღებო შედეგებზე საჭირო რეაგირებებზე საუბარი. შედეგების გაუმჯობესების მიზნით ლექტორისთვის მოხდა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე დასწრების შეთავაზება. ლექტორმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით და 2021-2022 აკადემიურ წელს დაესწრო შემდეგ ტრენინგ-მოდულებს: „სტდენტზე ორიენტურებული სასწავლო კურსების დაგეგმვა“ და „სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში“. აღნიშნული ტრენინგ-მოდულები ეხებოდა ლექტორთან დაკავშირებულ ისეთ საყურადღებო საკითხებს, როგორიცაა შეფასებისა და სწავლების თანამდროვე მეთოდები. | |
| საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება | 2021-2022 აკ. წელი | - | - | - |
| სააუდიტორიო მუშაობის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | სააუდიტორიო მუშაობებზე დასწრების შედეგად გამოვლინდა განმეორებითი დასწრების აუცილებლობა მედიცინის ფაკულტეტის ხუთ ლექტორთან. ლექტორების - | ლექტორებთან - ქეთევან მირზიაშვილის, სალომე მარდალეიშვილის და მანანა წიკლაურთან განხორციელდა კომუნიკაცია ფაკულტეტის მხრიდან. ლექტორებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ლექტორებისათვის ტრენინგების | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ქეთევან მირზიაშვილის, სალომე მარდალეიშვილის და მანანა წიკლაურის შემთხვევაში ამის მიზეზი იყო ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებებობა ლექციის პროცესში, ხოლო გიორგი ბურჯანაძესთან და ნანა დიღმელაშვილთან დასწრება მოხდა მხოლოდ სემინარულ მუშაობაზე და არა ლექციაზე, რაც არ იძლეოდა სწავლების მეთოდების სრულყოფილად შეფასების საშუალებას. ჯგუფური პრეტენზია დაფიქსირდა ბიოქიმიის სასწავლო კურსთან დაკავშირებით (ლექტორი მარინე ნიკოლაიშვილი) თუმცა მის ლექციაზე დასწრება ვერ მოხერხდა. | ჩატარებას სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნულმა პერსონალმა გამოთქვა სურვილი და გაეწია კონსულტაციები სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ. მათ ასევე ისარგებლეს სწავლეის ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგებით, ტრენინგ-მოდულებზე დასწრების შედეგები შემდეგია:<br>მანანა წიკლაური დაესწრო ტრენინგ-მოდულებს: „სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები“.<br>სალომე მარდალეიშვილი დაესწრო ტრენინგ-მოდულს: „შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“.<br>ნანა დიღმელაშვილი დაესწრო ტრენინგ-მოდულს: „შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“.<br><br>მარინე ნიკოლაიშვილთან კომუნიკაცია გახორციელდა ფაკულტეტის დეკანის მხრიდან, მას მიეწოდა ინფორმაცია რომ სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა რიგი პრეტენზიები სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით, რის გამოც ჩაინიშნა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა სტუდენტების უკმაყოფილების მიზეზის გარკვევა და საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციის მხრიდან ლექტორისათვის შესაბამისი ტრენინგების შეთავაზება. ქალბატონმა მარინამ მიიღო გადაწყვეტილება რომ არ გააგრძელებდა აღნიშნულ ჯგუფთან მეცადინეობებს იმავე კვირიდან. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შესაბამისად, ლექტორი ჩანაცვლდა იმავე სასწავლო კვირას. | |
| სააუდიტორიო მუშაობის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხული ს სემესტრი | ლექტორ სოფიო გვაზავასთან დაკავშირებით რამდენიმე სტუდენტმა დაწერა განცხადება, სადაც აღნიშნავენ რომ ლექტორი არ ატარებს პრაქტიკულ ნაწილს და არ ამუშავებს სტუდენტებს. სააუდიტორო მუშაობაზე დასწრების შედეგად მსგავსი პრობელმა არ გამოვლინდა, სტუდენტები ასრულებდნენ სილაბუსით გათვალისწინებულ პრქტიკულ დავალებებს და იღებდნენ ლექტორისაგან უკუკავშირს. | აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი პირადადაც გაესაუბრნენ ლექტორს და გააცნეს სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული საკითხები. ლექტორთან საუბრიდან დასტურდება სასწავლო კურსის პრაქტიკული ნაწილის სილაბუსის შესაბამისად განხორციელება, ამდენად, ამ ეტაპზე დამატებითი რეაგირებების განხორციელების საჭიროება არ იკვეთება. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |
| პროგრამის განმახორციელე ბელი პერსონალის საუდიტორიო მუშაობის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | ლექტორ სალომე წურწუმიასთან მიმართებით გამოიკვეთა სტუდენტებთან მეტად ინტერაქციული ლექციის ჩატარების საკითხი: სასურველია, ლექტორმა გამოიყენოს მრავალფეროვანი, რელევანტური სასწავლო რესურსი (პრეზენტაცია, | ლექტორთან განხორციელდა შესაბამისი უკუკავშირი, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ უშუალოდ მონიტორინგის ფარგლებში ასახსნელი თემატიკიდან გამომდინარე არ იყო პრეზენტაცია წარმოდგენილი, ზოგადად ლექტორი იყენებს პრეზენტაციის საშუალებებს; სხვა რეკომენდაციებთან მიმართებაში ლექტორმა გამოთქვა მათი გათვალისწინების მზაობა. ასევე, გადაწყდა ლექტორთან შემდეგ სემესტრში დასწრება. | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ვიდეომასალა და ა.შ); ასევე, სასურველია, ლექტორი თხრობისას ცდილობდეს სტუდენტების ჩართვას პროცესში, სვამდეს შეკითხვებს და ლექცია იყოს მეტად ინტერაქციული. | | |
| პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საუდიტორიო მუშაობის შეფასება | 2021-2022 აკ წლის გაზაფხულის სემესტრი | მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის: „კორპორაციის ფინანსების მართვა" განმახორციელებელთან გიორგი ნიკოლაიშვილთან დასწრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ლექტორის მიერ მომზადებული საპრეზენტაციო მასალა ვიზუალური აღქმადობის და ინფორმაციაზე ყურადღების კონცენტრირება-დამახსოვრების თვალთახედვით ნაკლებად ეფექტური იყო. ლექცია მიმდინარეობდა მონოტონურად და მასალის ახსნისას ლექტორმა ვერ მოახერხა სტუდენტების ჩარულობის უზრუნველყოფა | განხორციელდა ლექტორთან კომუნიკაცია თითოეული გამოკვეთილი საკითხისა და რეკომენცადიების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ლექტორის მხრიდან გამოითქვა მზაობა მიღებული რეკომენდაციების გათალისწინებასთან დაკავშირებით. სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელის ჩართულობით მოხდა ლექტორისთვის სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულის შეთავაზება. მიმდინარე აკადემიურ წელს ლექტორმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით და დაესწრო შემდეგ ტრენინგ-მოდულებს: „სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში", ასევე, დამატებით იგი დაესწრო ტრენინგ-მოდულს „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში". | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (ლექციის ინტერაქციულად წარმართვას ხელი შეუშალა იმანაც, რომ ესწრებოდა მხოლოდ 2 სტუდენტი) სალექციო პროცესში ლექტორი მხოლოდ ახალი მასალის ახსნით შემოიფარგლა და არ გაუმახვილებია ყურადღება ცოდნის განმტკიცების ან შეფასების მიზნით სტუდენტებისათვის დავალებების შეთავაზებაზე. | | |
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულენოვან პროგრამაზე სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირდა პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩართვის სურვილი, ყურადღება გამახვილდა ასევე ონლაინ სწავლებიდან რეალურ გარემოში გადასვლის და სწავლის სურვილზე. ასევე დაფიქსირდა კურაციული საგნების კლინიკებში გავლის სურვილი. | სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული საკითხები განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით, საჭირო იყო სიმულაციურ ოთახებში მეცადინეობების ინტენსიურად ჩატარება. ვინაიდან გასულ სემესტრში ეპიდვითარება დასტაბილურდა მთელს ქვეყანაში, ამიტომაც 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელება კვლავ დაგეგმა კლინიკებში. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტების (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება - (მედიცინა Eng) | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | რამდენიმე სტუდენტი აფიქსირებს რომ კურაციების ხანგრძლივობა არ არის საკმარისი და კლინიკური საგნებით გათვალისწინებული თემატიკების მოცულა არის დიდი, რის გამოც უჭირთ გამოცდების ჩაბარება. | დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის კომიტეტის მიერ გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე შესწავლილი იქნა სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები, აკადემიური მოსწრების ანალიზი, რის საფუძველზეც კიდევ ერთხელ დეტალურად გადაიხედა სასწავლო კურსების საათობრივი დატვირთვა. რიგ კლინიკურ სასწავლო კურსებში: შინაგანი მედიცინა, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, პედიატრია, გადაუდებელი მედიცინა, გაიზარდა საკონტაქტო საათების მოცულობა. მივიჩნევთ, რომ მოცემულ მომენტში არსებული საკონტაქტო საათების მოცულობა საკმარისია იმისათვის, რომ სტუდენტმა სრულად მიაღწიოს სილაბუსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. თუმცა, გაგრძელდება ამ მიმართულებით შედეგების შესწავლა და დაკვირვება, ხოლო იდენტიფიცირებული საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირებების განხორციელება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ კლინიკური პრაქტიკა გაიარონ ექსტრაკურიკულარულადაც, პროგრამის მიღმა. სტუდენტების დაბალი აკადემიური მოსწრება და დასკვნითი გამოცდების ვერ ჩაბარება დაკავშირებული უნდა იყოს ერთის მხრივ პოსტპანდემიური პერიოდით ხოლო მეორეს მხრივ ნაკლები ჩრთულობით სასწავლო პროცესში, რამდენადაც კლინიკურ სასწავლო კურსებზეც კი სტუდენტების დასწრება არ არის მაღალი. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |
| პრაქტიკის ობიექტების (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | გამოკითხვის შედეგებში 1 სტუდენტის მიერ დაფიქსირდა რომ კურაციის დროს არ აქვთ საშუალება | კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოხდა სპეციალური ფასდაკლებების გათვალისწინება, იმ შემთხვევაში თუ პაციენტს მიიღებს სტუდენტი. აღნიშნული ჩანაწერი იძლევა | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შეფასება (მედიცინა Geo) | | პრაქტიკულად გამოიყენონ დრო პაციენტთან სამუშაოდ. | საშუალებას, რომ პრაქტიკული მეცადინობისათვის განკუთვნიილი საათები დაეთმოს სტუდენტების მუშაობას უშუალოდ პაციენტთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწყებულია და 2022-2023 სასწავლო წელს იგეგმება სტომატოლოგიური საუნივერსიტეტო კლინიკის დასრულება, სადაც სტუდენტებს კიდევ უფრო მეტი საშუალება ექნებათ რომ პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ იმუშაონ პაციენტთან. | |
| სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | გამოკითხვის შედეგად სტუდენტების უმრავლესობამ გამოთქვა კმაყოფილება პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით და დადებითად შეაფასეს პროცესი, მხოლოდ ტურიზმის ადმინიტრირების საბაკალავრო პროგრამის ერთი სტუდენტი აფიქსირებს შემდეგ კომენტარს: „სხვა ტურისტულს ვისურვებდი მეტად თანამედროვედ აღჭურვილს, კარგი ოფისით და მეტი მრავალფეროვნებით. აღნიშნული ოფისი მუშაობდა სახლიდან და ადგილზე დაგხვდა საკმაოდ ძველი ოფისი ძველი ტექნიკით“. | ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ დაფიქსირებული კომენტარის საფუძველზე განხორციელდა საკითხის დეტალურად მოკვლევა. კერძოდ, მოხდა სტუდენტთან, პროგრამის ხელმძღვანელთნ, პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მენტორთან სატელეფონო გასაუბრება, რომლის დროსაც გამოიკვეთა, სტუდენტის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ტურისტული კომპანიის თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ პრაქტიკის კომპონენტი არ განორცეიელებულა ონლაინ, დისტანციურად, მენტორი სტუდენტებს ხვდებოდა ადგილზე, ოფისში, სტუდენტი პრქტიკის კომპონენტს გადიოდა სამუშაო გარემოში და პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ ათვისებულ იქნა კომპონენტით განსაზღვრული ყველა საკითხი, რასაც ადასტურებს, როგორც სტუდენტი ისე პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი. რაც შეეხება ამავე სტუდენტის მხრიდან გამოთქმულ უკმაყოფილებას პრაქტიკის ობიექტის ტექნიკურ აღჭურვილებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელსა და | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პრაქტიკის ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე განაწილებამდე გადაამოწმონ შესაბამისი ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და გარემო, რათა უზრუნველყონ სტუდენტების კმაყოფილება. | |
| სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | გამოკითხვის შედეგად სტუდენტების უმრავლესობამ გამოთქვა კმაყოფილება პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით და დადებითად შეაფასეს პროცესი, მხოლოდ ტურიზმის ადმინიტრირების საბაკალავრო პროგრამის ერთი სტუდენტი აფიქსირებს შემდეგ კომენტარს: „ონლაინ რომ არ ყოფილიყო ალბათ უფრო მეტ პრაქტიკას მივიღებდი ჩემს სფეროში“, ასევე, იგივე სტუდენტი შეკითხვაზე: „დაასახელეთ მიზეზი, რატომაც თქვენი აზრით ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ მიიღეთ პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული ცოდნა ან/და უნარები“ აფიქსირებს: ”სწავლება იყო | ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ დაფიქსირებული კომენტარის საფუძველზე განხორციელდა საკითხის დეტალურად მოკვლევა. კერძოდ, მოხდა სტუდენტთან, პროგრამის ხელმძღვანელთნ, პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მენტორთან სატელეფონო გასაუბრება, რომლის დროსაც გამოიკვეთა, სტუდენტის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ პრაქტიკის ობიექტზე თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კომპონენტი არ განორცეიელებულა ონლაინ, სტუდენტი პრქტიკის კომპონენტს გადიოდა სამუშაო გარემოში, მენტორი სტუდენტს ხვდებოდა ადგილზე და იგი უზრუნველყოფდა კომპონენტით განსაზღვრული საკითხების დეტალურად ახსნას, სტუდენტს აძლევდა შესაბამის დავალებებს, ამოწმებდა მის მიერ დავალებების შესრულების ხარისხს და აძლევდა უკუკავშირს, რასაც ადასტურებს სტუდენტის პრაქტიკის დღიური და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიში.<br>სტუდენტი თავისი უკმაყოფილების კიდევ ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ პანდემიური ვითარების გამო კლიენტთა არარსებობის გამო სასტუმრო სათანადოდ ვერ ფუნქციონირებდა, რის გამოც სტუდენტმა ვერ მოახერხა სამუშაო | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ონლაინ და აქედან გამომდინარე“. | პროცესში რეალურად ჩართვა, თუმცა პრაქტიკის მენტორი უზრუნველყოფდა მისთვის ისეთი ტიპის დავალებების მიწოდებას, რომელთა შესრულების შედეგად სტუდენტი თავისუფლად შეძლებს რეალურ პროცესში აღნიშნულის განხორციელებას.<br>საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ ათვისებულ იქნა კომპონენტით განსაზღვრული ყველა საკითხი, რასაც ადასტურებს, როგორც სტუდენტი ისე პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი. | |
| პრაქტიკის კომპონენტით კმაყოფილების შეფასება | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | ერთ-ერთმა სტუდენტმა გამოხატა უკმაყოფილება ქ. რუსთავის N22 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მენტორის შესახებ. სტუდენტი, რომელმაც გამოხატა უკმაყოფილება ირიცხება მასწავლებლის მომზადების პროგრამის მათემატიკის მიმართულებაზე (მათემატია I-VI)). | მიუხედავად იმისა, რომ მენტორით უკმაყოფილება მხოლოდ ერთმა სტუდენტმა გამოხატა, დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საჭიროდ ჩაითვალა დასახელებული სკოლის მენტორთან კომნუნიკაცია შესაბამის საკითხებზე.<br>მენტორმა მოისმინა პრობლემა და გამოთქვა მომავალში სათანადოდ თანამშრომლობის მზადყოფნა. | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მათთან | პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, განთავსებულია საჯარო სივრცეში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://eu.edu.ge/ge/legal-acts და ყველა ახალაყვანილი თანამშრომლისთვის ხდება აღნიშნული დოკუმენტაციის პერსონალურად გაცნობა. თუმცა გამოკითხვის პროცესში მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა და ელექტრონული ფოსტით ყველა თანამშრომელს გაეგზავნა | ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საკითხი. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგების შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის რეგულაციებსა და წესებთან დაკავშირებით გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: შინაგანაწესი/ ეთიკის კოდექსი - 50% კარგად იცნობს, 50% კი მეტ-ნაკლებად. მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის გამოკითხვის შედეგები კი გადანაწილდა შემდეგნაირად: შინაგანაწესს/ეთიკის კოდექსს კარგად იცნობს 36.1%, მეტნაკლებად - 50%. ორივე ფაკულტეტის ფარგლებში ასევე გამოვლინდა დამატებით პერსონალის მართვასთან | ინფორმაცია ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულყოფილად გაცნობის მიზნით. დამატებით აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დოკუმენტის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, კვლევის დაფინანსების წესი, საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი) უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეთანამშრომლება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები: საგამოცდო ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი და ა.შ. პერსონალთან შეხვედრების ჩატარებისა და დამატებითი შეტყობინებების გაგზავნის გზით. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, კვლევის დაფინანსების წესი, საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი) მეტ-ნაკლებად ცოდნის საკითხი. | | |
| აკადემიური და მოწვეუი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | მედიცინის ფაკულტეტზე, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგად ფიქსირდება კომენტარი იმის შესახებ, რომ Wi-Fi ხშირად გაუმართავად მუშაობს. | მედიცინის კამპუსში მოხდა ქსელების განახლება და გაიზარდა სიჩქარე, რის შემდეგაც, პრობლემებით აღარ მოუმართავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციულ კამპუსში ასევე მოხდა აპარატურის შეცვლა რაც ასევე გამოიწვევს აღნიშნულ კორპუსში ინტერნეტის სიჩქარის მომატებას.<br>დაგეგმილია Wi-Fi აპარატების შეცვლა და დამატება. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი ორივე ფაკულტეტის შემთხვევაში საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესს მეტ-ნაკლებად იცნობს ან არ იცნობს (გამოკითხვის შედეგების | 2021-2022 აკადემიური წლის ორივე სემესტრის დასაწყისში, ისევე როგორც ყოველი სემესტრის დასაწყისში ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილია საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი სასწავლო პროცესში ახლად ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პწეროსნალთან, თუმცა გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული საკითხების საპასუხოდ მოხდა საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული პრსონალისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წერილში ცალკე პუნქტებად გამოტანა, აღნიშნულ | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიხედვით სამართლის, განათლების, ბიზნესისისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხულთა 46.7% აცხადებს, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხული პერსონალის 22.9% არ იცნობს აღნიშნულ წესს). | საკთხებზე ყურადღების მეტად გამახვილების მიზნით და პროგრამის განამხორციელებელ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.<br>წერილის მეშვეობით ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts.<br>ცენტრი კონსულტირებას უწევს პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე საჭიროებიდან გამომდინარე, მათი მომართვის შემთხვევაში და საფუძველზე. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. გამოიკვეთა კვლევის დაფინანსების წესის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. ასევე, დაფიქსირდა პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირულობის დაბალი მაჩვენებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. | 1. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელდა ონლაინ შეხვედრები „კვლევის დაფინანსების წესისა“ და „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების“ გასაცნობად. საინფორმაციო შეხვედრებზე დასარეგისტრირებლად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ცენტრის კორპორატიული ელ. ფოსტიდან გაზიარდა სარეგისტრაციო ფორმა 2022 წლის 9 ნოემბერს. ჯამში შეხვედრებზე 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი დარეგისტრირდა. საინფორმაციო შეხვედრები ZOOM-ის პლატფორმის მეშვეობით გაიამრთა შემდეგ თარიღებში:<br>16 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი;<br>17 ნოემბერი 14:00 - 15:00 საათი;<br>18 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი.<br>2. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამეცნირო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ყოველ სასწავლო წელს ტარდება | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 2. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სურვილი უნივრსიტეტის მხრიდან მოხდეს აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით სხვდასხვა შინაარსობრივი თემატიკის ტრენინგების შეთავაზება და განხორციელება. | უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა მათთვის სასურველი ტრენინგებისა და ვორქშოპების შესახებ. ცენტრი მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს გეგმავს და ახორციელებს სწორედ მიღებული შედეგების მიხედვით. ბოლო ორი აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ტრენინგები/ ვორქშოპები ცენტრის მიერ:<br>1. 2021 წლის 15 მარტი - 15 აპრილის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (დამწყები დონე)“, რომელსაც უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ხუთკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.<br>2. 2021 წლის 27 აპრილი - 20 მაისის პერიოდში უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“, რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ნესტან ტუკვაძე. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: ეპიდემიოლოგიის მეთოდები და ბიოსტატისტიკის საფუძველბი, კვლევების დიზაინი, მონაცემთა შეგროვება (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლადების შეგროვება), ა.შ.<br>3. 2021 წლის 17 მაისი - 10 ივნისის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (მაღალი დონე)“, რომელსაც | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ოთხკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის საშუალო და მაღალი სირთულის ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.<br>4. 2021 წლის 27 ოქტომბრის - 5 ნოემბრის პერიოდში, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე "თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის ეთიკა", რომელსაც კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიბა მასუდი უძღვებოდა. ტრენინგის ხაგრძლივობა - 10 საათი. სამუშაო ენა - ინგლისური.<br>5. 2022 წლის 18 თებერვალს ჩატარდა სემინარი თემაზე "ინფორმაციის მართვა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, გიგა ხოსიტაშვილი. სემინარის ხანგრძლივოდა შეადგენდა 3 საათს.<br>6. 2022 წლის 23 თებერვალს - 3 მარტს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი "საგრანტო განაცხადის მომზადება და ფონდების მოძიება", რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის კოორდინატორი და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი სალომე კანდელაკი. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.<br>7. 2022 წლის 18 მაისს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" ორგანიზებით ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდნენ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | „საქპატენტის" ტუტორები მერაბ კუცია („საქპატენტის" გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი) და ირაკლი კასრაძე („საქპატენტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი). ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტების სამართლის, ბიზნესის და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. ტრენინგის ხანგრძლივობა - 4 საათი.<br>8. 2022 წლის 23 ივნისი - 1 ივლისის პერიოდში ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „კოლაბორაციული კვლევა", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მკვლევარი, ეკა კოხრეიძე. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.<br><br>ცენტრი ყოველწლიურად გააგრძელებს აღნიშნული მიმართლებით მუშაობას და განახორციელებს ტრენინგებსა და ვორქშოპებს პერსონალის საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისად. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | - | - | - |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალის მხრიდან გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებულია | სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ყოველთვიურად მიეწოდება და ბუნებრივია გაგრძელდა ინფორმაციის გავრცელება დაგეგმილი ტრენინგების შესახებ, როგორც ელ. ფოსტის საშუალებით, ისე პირადი (sms) შეტყობინებების გზით. | სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროფესიული განვითარების მიმართულებით ტრენინგების შეთავაზების სურვილი. სასურველია, ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ კიდევ ერთხელ გადაიხედოს ტრენინგების შესახებ ლექტორთა ინფორმირების საკითხი. | ცენტრის ფარგლებში პერსონალისთვის ხდება შემდეგი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება:<br>1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა<br>2. შეფასების თანამედროვე მეთოდები<br>3. სწავლების თანამედროვე მეთოდები<br>4. სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში<br>5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა)<br>6. დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას<br>გარდა ამისა ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც პერსონალის ტრენინგებით კმაყოფილების დადგენას ისე ახალი ტრენინგების საჭიროებების გამოვლენას (მაგალითისთვის 2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებული აღნიშნული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შემუშავდა და დაიგეგმა შემდეგი ტრენიგ-მოდულის ჩატარება: „სასწავლო პროცესი შერეული სწავლების ფორმატში“). გამოკითხვების საფუძლევზე ხდება არსებული ტრენინგ-მოდულების მოდიფიცირებაც და განახლებული სახით შეთავაზება.<br>მიმდინარე, 2021-2022 აკადემირ წელს ჩატარებული გამოკითხვის საფუძლევზე გამოიკვეთა შემდეგ თემატიკასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულის შეთავაზების საკითხი: საგანმანათლებლო ინტერნეტ-რესურსი, ე-ბიბლიოთეკა. მიღებული შედეგების საფუძველზე, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით მოდიფიცირდა არსებული ტრენინგ-მოდული „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას“, კერძოდ, ტრენინგ- | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოდულს დაემატა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ თემა, სადაც, ყურდღება გამახვილდა ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების საკითხებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პერსონალის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგებით აქტიურად სარგებლობს უნივერსიტეტის პერსონალი. 2021-2022 აკადემიური წლის მონაცემებით პერსონალის ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში მონაწილეობის მაჩვენებელია 190 (ჯამური რიცხვი). აღსანიშნავია, რომ დამსწრე პერსონალი რიგ შემთხვევებში მეორდება კონკრეტულ ტრენინგ-მოდულებზე:<br>ტრენინგის დასახელება დამსწრე პერსონალის რაოდენობა<br>სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა 14<br>შეფასების თანამედროვე მეთოდები 16<br>სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში 29<br>სწავლების თანამედროვე მეთოდები 73<br>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა) 30<br>დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას (სამეცნიერო ბაზებთან წვდომა) 28<br><br>სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი გააგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას, არსებული ტრენინგ-მოდულების პერსონალისთვის რეგულარულად შეთავაზებას, უნივერსიტეტში აღნიშნული მიმართულებით შექმნილი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მუდმივად | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გაზიარებას, საჭიროებების კვლევას და შესაბამის რეაგირებას. | |
| აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. ლექტორებმა ითხოვეს რომ სემესტრის დასაწყისშივე მოხდეს სემესტრის განმავლობაში საჭირო სასწავლო მასალების აღრიცხვა.<br>2. ლექტორების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ იცნობს საგამოცდო წესის დებულებას და კვლევის დაფინანსების წესს. | 1. ისევე როგორც წინა სემესტრების შემთხვევაში, მიმდინარე შემოდგომის სემესტრშიც წინასწარ მოხდა სასწავლო სიმულაციურ კაბინეტებში არსებული მასალების აღრიცხვა, ლექტორებისგან საჭირო მასალების სიის გამოთხოვა და შეკვეთა. იგივე პრინციპით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვა ლაბორანტებთან და ლექტორებთან შეთანხმებით სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br>2. აღნიშნული დოკუმენტები გაზიარდა ლექტორებთან ელ. ფოსტის საშუალებით სემესტრის დასაწყისში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორებთან შეხვედრებზე მუდმივად ხდება მათი ინფორმირება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შეუძლიათ გაეცნონ: . ინფორმირება აღნიშნულის შესახებ მოხდა 2021-2022 აკადემიურ წელს პერსონალთან ჩატარებულ საინფორმაციო შეხვდრებზეც. | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |
| პროგრამების განმახორციელე ბელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტის პერსონალის მხრიდან დაფიქსირებულია სურვილი, ეცნობოთ წინა შეფასებების დროს მიღებული საყურადღებო საკითხების შესახებ თუ დაიგეგმა ან | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულიად იაზრებს აღნიშნულის საჭიროებას. იმისთვის, რომ პერსონალსა და სტუდენტებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ კითხვარებს ფორმალური ხასიათი აქვს და ნამდვილად ხდება გამოკითხვების შედეგად გამოვლენილ საკითხებზე რეაგირება, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზას დაემატა ფუნქცია მესიჯბოქსების სახით, რომლის მეშვეობითაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოკლე შეტყობინებების სახით მიაწვდის ინფორმაციას | ხარისხის უზრუნველყოფი ს სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გაუმჯობესდა რაიმე. | განხორციელებულ აქტივობებზე, როგორც პერსონალს, ასევე, სტუდენტებს. უფრო კონკრეტულად, ფუნქცია ითვალისწინებს შეფასებების საფუძველზე უკვე განხორციელებული რეაგირებების შესახებ მოკლე ინფორმაციის, მაგალითების, შემთხვევების „მესიჯ-ბოქსების“ სახით ეკრანზე გამოტანას სტუდენტისა თუ პერსონალის ბაზაში შესვლის მომენტში. შედეგად პროგრამების განამხორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს ბაზაში შესვლისთანავე გამოუჩნდებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები იმასთან დაკავშირებით თუ რა ცვლილებები განხორციელდა მათ მიერ გამოკითხვებისას დაფიქსირებული რეკომენდაციების საფუძველზე. აღნიშნული მიზნად ისახავს სტუდენტებისა და ლექტორების მიერ კითხვარების შევსების მოტივაციის ამაღლებას. სამსახური იმედოვნებს, რომ მიწოდებული ინფორმაცია და მაგალითები მათ თვალნათლივ დაანახებს, რომ დაფიქსირებული მოსაზრება თუ რეკომენდაცია არ რჩება უყურადღებოდ. ამასთანავე, ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური საინფორმაციო შეხვედრებზე მუდმივად ახდენს აღნიშნული რეაგირებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. აღნიშნული განხორციელდა 2021-2022 აკადემიური წლის საინფორმაციო შეხვდრებზეც. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამსახურის ოფიციალური ელ. ფოსტის საშუალებით რეგულარულად გზავნის უკუკავშირებს პერსონალის შეფასების შედეგებისა თუ პერსონალთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფში | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | თემატურად, განხორციელებული რეაგირებებისა თუ კონკრეტული საკითხების შესაბამისად. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობა სთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს გამოკითხულ სუდენტთა 24.4%;<br>2. ასევე იკვეთება, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სურთ მეტი სივრცე ჰქონდეთ ბიბლიოთეკაში; კითხვაზე, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვერ მოახერხეს ბიბლიოთეკით სარგებლობა ადგილის არარსებობის გამო, გამოკითხულთა 44% აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევა ხშირად ჰქონია.<br>3. მედიცინის ფაკულტეტის გამოკითხული სტუდენტების ნაწილი, პრობლემად ბეჭდური წიგნების არასაკმარის რაოდენობას ასახელებს. | 1. სტუდენტებს ყოველი სემესტრის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ უტარდებათ საინფორმაციო/ საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის ორგანიზებასაც ბიბლიოთეკა ათანხმებს ფაკულტეტთან და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებთან. 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ სტუდენტებთან. კერძოდ: შეხვედრები ჩაუტარდათ ქართველ სტუდენტებს შემდეგ თარიღებში:<br>13.10.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>07.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>უცხოენოვან სტუდენტებთან შეხვედრები ჩატარდა შემდეგ თარიღებში:<br>15.10.2021 - ჩატრდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>18.10.2021 - ჩატარდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>19.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>25.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935? | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>26.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/87367088465?pwd=aGZwL1NlbUxCdzFqTlIzK21RWm5zdz09<br>ბიბლიოთეკის მიერ ჩანიშნული შეხვედრების ბმულები სტუდენტებს მიეწოდებათ ელ. ფოსტის საშუალებით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა შეხვედრებისა, ბიბლიოთეკის მხრიდან სტუდენტებს ელ. ფოსტით მუდმივად ეგზავნებათ ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია სტუდენტურ ბაზაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მაგ.: წიგნის მოძებნის ინსტრუქცია:<br>https://eu.edu.ge/ge/research/library - ელექტრონული ბაზების გამოყენების ინსტრუქცია:<br>https://eu.edu.ge/ge/library<br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მომართვიანობის შემთხვევაში თითოეულ სტუდენტს უტარდება კონსულტაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ;<br>2. 2022 წლის აგვისტოს თვეში მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა გადავიდა მე-7 სართულზე და მოიცავს 430 კვ.მ. ფართობს. ადგილების რაოდენობა გაიზარდა, დაემატა 78 ადგილი და შეადგენს 120 ადგილს. შესაბამისად, დღეისათვის, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ერთდროულად შესაძლოა განთავსდეს 120 მკითხველი.<br>3. საანგარიშო პერიოდში, სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ეგზემპლიარების რაოდენობა გაზრდილია, ხოლო განახლებული ძირიდათი ლიტერატურის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შემთხვევაში, შეძენილია ახალი სახელმძრვანელოები.<br>მაგ.: 2021 წელს შეძენილია 4578 ცალი წიგნი 15080,92 ლარის ღირებულების, ხოლო 2022 წლის ნოემბრის თვემდე შეძენილია 584 ცალი წიგნი 54108,88 ლარის ღირებულების. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად, მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებულია სურვილი ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. | მედიცინის კამპუსში მოხდა ქსელების განახლება და გაიზარდა სიჩქარე, რის შემდეგაც, პრობლემებით აღარ მოუმართავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციულ კამპუსში ასევე მოხდა აპარატურის შეცვლა რაც ასევე გამოიწვევს აღნიშნულ კორპუსში ინტერნეტის სიჩქარის მომატებას.<br>დაგეგმილია Wi-Fi აპარატების შეცვლა და დამატება. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლი სტუდენტების მხრიდან. | 2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:<br>1) ინფოგრაფიკა ქართულ და ინგლისურ ენაზე პლაგიატის სახეების შესახებ გაზიარდა მედიცინის ფაკულტეტის და სავეტერინარო მედიცინი ფაკულტეტის სტუდენტთან უნივერსიტეტის კორპორატიული ელ.ფოსტის საშუალებით.<br><br>2) გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მედიცინის ფაკულტეტის და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის თავიდან აცილების საკითხებთან დაკავშირებით:<br><br>მედიცინის ფაკულტეტი:<br>ხუთშაბათი, 27 ოქტომბერს, 11:00-12:00 - ინგლისურენოვანი სექტორი, აუდიტორია 206.<br>ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 11:00- | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 12:00 - ქართულენოვანი სექტორი, აუდიტორია 206.<br><br>სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი:<br>ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 13:00-14:00 - აუდიტორია 407<br><br>სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრის ჩატარება გადაწყდა გაზაფხულის სემესტრში (მარტი, 2023), გამომდინარე იქიდან, რომ ოქტომბერში ჩანიშნულ შეხვედრაზე სტუდენტები არ გამოცხადდნენ. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს შენობაში რბილი ავეჯის განთავსებასთან დაკავშირებით. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში, გამოკითხულთა 42% უკმაყოფილებას გამოთქვამს დასასვენებელ სივრცესთან, 40% კი შენობის გარეთ არსებულ სივრცესთან (ეზო, გამწვანება) დაკავშირებით. ანალოგიური საკითხებით უკმაყოფილო არიან სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებიც: გამოკითხულთა | მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში არსებულ კაფეტერიას დაემატა უფრო კომფორტული, რბილი ავეჯი, სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცის მეტად მოწყობისა და მათთვის მეტად კომფორტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის კორპუსი ითვალისწინებს დასასვენებელი სივრცის არსებობას, კერძოდ, რბილი ავეჯით მოწყობილია პირველი სართულის ჰოლი, ასევე, კომფორტული გარემოა შექმნილი მედიცინის კორპუსის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.<br>რაც შეეხება ადმინისტრაციულ კამპუსს, მოეწყო ცალკე სივრცე, სტუდენტების მიერ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზების, შეკრებების, კლუბების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სივრით სარგებლობა შესაძლებელია სტუდენტების მიერ ნებისმირი ღონისძიების ჩასატარებლად. შესაძლებელია მისი გამოყენება, როგორც უბრალოდ მოსასვენებელი ადგილი. სივრცე მოწყობილია სათანადო ავეჯითა და აღჭურვილობით და უზრუნველყოფილია კომფორტული გარემო. აღნიშნული სივრცით | შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დიდი ნაწილი (40%) უკმაყოფილებას გამოთქვამს დასასვენებელ სივრცესთან (ფართი, კომფორტულობა) დაკავშირებით. | სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს, მათ შორის რათქმაუნდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებსაც. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. გამოკითხვის შედეგად მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ დაფიქსირდა კომენტარი საგამოცდო ნაწერების ნახვასთან დაკავშირებით „View our answers after exams“.<br>2. გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ გამოკითხული სტუდენტების ნაწილი ორივე ფაკულტეტის შემთხვევაში საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესს მეტ-ნაკლებად იცნობს ან არ იცნობს (გამოკითხვის შედეგების მიხედვით სამართლის, განათლების, ბიზნესისისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხულთა 46.2% აცხადებს, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს, 15.4% არ | კომენტართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესით დადგენილი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. უნდა ითქვას, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ უფლებასა და შესაძლებლობას და მომართვის შემთხვევაში ნახულობენ თავიანთ ნაშრომებსა და მიღებულ შეფასებებს, უკუკავშირებს. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დიდი მომართვიანობის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი აწყობს ცალკე აუდიტორიასაც, სადაც სტუდენტებს დადგენილი ვადების განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ ცენტრს და ისარგებლონ ნაშრომების ნახვის მათთვის მინიჭებული უფლებით. სტუდენტის სურვილის შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და განხილვის პროცესს ესწრება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ და ზოგადად საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | იცნობს, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხული სტუდენტების 35.9% არ იცნობს აღნიშნულ წესს). | ინფორმაცია სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ საგამოცდო ცენტრის მიერ სხვადასხვა გზითა და საშუალებების გამოყენებით:<br>1. საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ესწრება სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც განიხილავს საგამოცდო ცენტრის ფუნქციებს, აწვდის ინფორმაციას მათ საკონტაქტო ელ. ფოსტის შესახებ, განიხილავს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებსა და დაკავშირებულ პროცედურებს.<br>2. სტუდენტებთან მუდმივად (შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდის წინ) იგზავნება წერილები ელ. ფოსტის საშუალებით საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, წერილში გამახვილებულია ყურადღება სტუდენტების ვალდებულებებსა და უფლებებზე, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე და დაკავშირებულ პროცედურებზე.<br>3. საგამოცდო ფურცლებზე, პირველ გვერდზე დატანილია ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც უკავშირდება სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებებს, გამოცდებზე ქცევის წესებს და ა.შ. გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი საკითხის საპასუხოდ საგამოცდო ცენტრის მიერ კვლავ გაიგზავნა წერილები სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტუდენტების მიერ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე. როგორც გასული მიმოწერისას, ისე ახლაც, წერილის მეშვეობით ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. ზემოაღნიშნული მიმართულებით მუდმივად გაგრძელდება ცენტრის მიერ მუშაობა. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | - | - | - |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სტუდენტთა მოსაზრებით სწავლის გადასახადის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გვერდი ოდნავ გაუმართავია და ცოტა გაუგებარი ხშირ შემთხვევაში;<br>2. სტუდენტები ითხოვენ რომ მისდიოდეთ შეტყობინებები, სასწავლო ბაზაში ასახული ცვლილებების შესახებ;<br>3. სტუდენტთა მოსაზრებით ჯერ-ჯერობით ისევ გაურკვევლად არის დალაგებული არჩეული საგნები moodle-ზე, მხოლოდ სასწავლო ბაზიდან ხდება არჩეული საგნების გვერდზე შესვლა; | 1. გადახდილი თანხა სასწავლო ბაზაში ეთითებოდა ყოველი თვის 5 რიცხვის მონაცემებით, რაც არ შეესაბამებოდა ფინანსური სამსახურის მიერ თვის ბოლოს დარიცხულ და სასწავლო ბაზაში ასახულ თანხებს და იწვევდა სტუდენტთა გაუგებრობას. 2021-2022 სასწავლო წლის დასასრულს სტუდენტებთან კომუნიკაციის საფუძველზე მოხდა სტუდენტის ფინანსური გვერდის გადახედვა და შესაბამისად მოდიფიცირება. კერძოდ, სემესტრული გადასახადი სასწავლო ბაზაში გადანაწილდა 5 თვეზე, ცხრილში აისახა ყოველი თვის ბოლო რიცხვი შესაბამისი გადასახდელი თანხის მითითებით. წინასწარ გადახდილი თანხა ავტომატურად აკლდება მომდევნო თვის გადასახადს, ხოლო დავალიანება ემატება ასევე მომდევნო თვის გადასახადს. ფინანსური სამსახურის მხრიდან გადახდილი თანხების სასწავლო ბაზაში შეტანა და განახლება ხდება ყოველი კვირის ბოლოს და ეთითება ბოლო განახლების თარიღი, რაც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას თვალყური ადევნოს განახლებულ | სასწავლო პროცესის ადმინიტრირების სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 4. სტუდენტთა მოსაზრებით სასწავლო ბაზას დაამატებდნენ სასწავლო პროცესის კალენდარს, როდის იწყება და მთავრდება სწავლა, ასევე სასწავლო კალენდარს ცხრილის სახით, კალენდარი, რომელშიც აღნიშნული იქნება უქმე დღეები. | ინფორმაციას სწავლის საფასურის შესახებ მიმდინარე თვის ბოლოსთვის.<br>2. სასწავლო ბაზაში ასახული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები აწვდიან სტუდენტებს როგორც მეილის საშუალებით, ასევე მათთან ინდივიდუალური კონსულტაციების დროს, ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველი სემეტრის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრებზე ხდება სასწავლო ბაზასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეტალურად მიწოდება სტუდენტებისთვის, ხოლო რაიმე მოდულის დამატების შემთხვევაში ეგზავნებათ მეილები გზამკვლევთან ერთად. რაც შეეხება აღნიშნულის შესახებ სმს შეტყობინებების გაგზავნას, სმს შეტყობინებები ბაზაზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ვერ იგზავნება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის მოცულობა აჭარბებს სმს შეტყონინებებით გათვალისწინებულ ფორმატს.<br>3. სასწავლო ბაზაში ჩაშენდა Moodle-ის პროგრამა, ბაზაში სტუდენტის მიერ არჩეულ როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებზე გადასვლისას სტუდენტი შედის Moodle-ის გვერდზე კონკრეტული საგნების მიხედვით, სადაც სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ლექტორის მიერ ატვირთული მასალა და ინფორმაცია.<br>4. სასწავლო ბაზაში სტუდენტის პირად გვერდზე, 2021-2022 სასწავლო  წლის გაზაფხულის სემეტრში ჩაემატა აკადემიური კალენდრის გვერდი, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მიმდინარე სემეტრის აკადემიურ კალენდარს უქმე დღეების მითითებით. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სტუდენტური ინიციატივების წახალისების ნაკლებობა<br>2. სტუდენტური ღონისძიებების ნაკლებობა (წვეულებები)<br>3. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების ნაწილმა დააფიქსირა უკმაყოფილება მეტი პრაქტიკა/სტაჟირების მიმართულებით<br>4. სტუდენტები გამოკითხვაში აღნიშნავენ, რომ არასდროს მიუღიათ ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობისგან. | 1. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მომსახურების ცენტრმა ორჯერ ჩაუშვა სტუდენტებში სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების კონკურსი, თუმცა, სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში, ვერც ერთმა აპლიკანტმა ვერ გადალახა ბარიერი. ამის საპასუხოდ, მომსახურების ცენტრმა შეცვალა საკონკურსო პროექტების თემატიკა და გახადა ის უფრო მეტად მორგებული სტუდენტთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე. იგეგმება და გაგრძელდება სტუდენტური პროექტების კონკურსის თავიდან გამოცხადება.გარდა სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების კონკურსისა, მომსახურების ცენტრმა შექმნა სტუდენტური კლუბების სივრცე და გამოაცხადა სტუდენტური კლუბების რეგისტრაცია, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი ინიციატივით, საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტური ცხოვრების გააქტიურებისა და აქტივობების ორგანიზების მიზნით „ევროპის უნივერსიტეტის“ სტუდენტებმა რვა ახალი სტუდენტური კლუბი შექმნეს.<br>2. 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში მომსახურების ცენტრმა სტუდენტებს მოუწყო WELCOME კვირეული, რომელიც გაჯერებული იყო სპორტული, კულტურული, შემოქმედებითი და ინტელექტუალური აქტივობებით. კვირეულის პირველი და ბოლო დღეები წარიმართა წვეულების ფორმატში. გარდა ზემოაღნიშნული კვირეულისა, მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოსტპანდემიური ვითარება და მოხსნილი შეზღუდვები უკვე საშუალებას მოგვცემს, დაიგეგმოს | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ამომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | და განხორციელდეს მსგავსი ტიპის არაერთი ღონისძიება.<br>3. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ორგანიზებით, 2022 წლის 4 აპრილს სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტებისთვის მედიცინის ფაკულტეტის კამპუსში დამსაქმებლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტს სტუმრად ეწვია პარტნიორი სტომატოლოგიური კლინიკა „ჰეფი დენტის" მენეჯერი, ორთოდონტი, მარიამ ორჯონიკიძე, რომელმაც სტუდენტებს კლინიკაში სტაჟირების, პრაქტიკისა და დასაქმების პერსპექტივების, ასევე, პროფესიული გამოწვევებისა და თანამედროვე ტრენდების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ღონისძიება ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა, სადაც სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს და პასუხები მიიღეს. შეხვედრაზე მხარეები სამომავლო თანამშრომლობის დეტალებზე შეთანხმდნენ, რის ფარგლებშიც, ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები რეგულარულად გაივლიან პრაქტიკას „ჰეფი დენტში".<br>დამატებით, ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების მე-5-მე-10 სემესტრის სტუდენტების შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი, რის შედეგადაც სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სამი სტუდენტი (ჰამიდრეზა იავარი - მე-5 სემ., სიმინ სადეღი - მე-10 სემ. და მონა ალ არნაუთი (მე-5 სემ) პრაქტიკას გაივლიან კლინიკებში „ალბიუსი" და „ჰეფი დენტში" 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით. გარდა ამისა, სტუდენტებს გაუზიარდათ ინფორმაცია | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სტაჟირების შესაძლებლობის შესახებ კლინიკა „ჰებეში“<br>4. 2022 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა ახალი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, რის შემდეგაც, განახლდა თვითმმართველობის შემადგენლობა. სტუდენტური თვითმმართველობის კანდიდატთა შერჩევაში მონაწილეობა ჯამში "ევროპის უნივერსიტეტის“ 441-მა სტუდენტმა მიიღო. არჩევნების შედეგად, კანდიდატთა შორის კვოტები ყველა ფაკულტეტზე თანაბრად გადანაწილდა. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები 19 დეკემბერს, "ევროპის უნივერსიტეტის" ელექტრონული არჩევნების წესით დადგენილი პროტოკოლის მიხედვით გაიმართა. ელექტრონული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი.<br>ცენტრის ორგანიზებით 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობის შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, ვიცე რექტორთან ხარისხის განვითარების მიმართულებით და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე მოხდა სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული საყურადღებო საკითხის მათთვის გაცნობა და ხაზი გაესვა თვითმართელობის მნიშნელოვან როლსა და ფუქნციას სტუდენტთა ინფორმირების, ინტერესების დაცვისა თუ მხარდაჭერის მიმართულებით. ყურადღება გამახვილდა იმაზე თუ რა მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნაა მათთვის ღირებული მათი სათანადოდ საქმიანობის მიზნითა და პროცესში. შეხვედრის ფარგლებში | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | თვითმმართველობის წევრებმა გააკეთეს სამოქმედო გეგმის ზოგადი მიმოხილვა, ისაუბრეს სტუდენტურ პრობლემებზე და რექტორთან ვიცე რექტორთან ერთად განიხილეს მათი გადაჭრის შესაძლო ვარიანტები. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სტუდენტები აღნიშნავენ რომ რიგ შემთხვევაში საგამოცდო საკითხებში შეტანილი იყო სილაბუსს მიღმა მასალა.<br>2. სტუდენტების ნაწილი არ იცნობს ეთიკის კოდექსს და საგამოცდო ცენტრის დებულებას.<br>3. სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას კონდიცირების სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით.<br>4. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ანატომია შეესწავლათ როგორც მულაჟებით ასევე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>5. სტუდენტები ითხოვენ რომ მისდიოდეთ შეტყობინებები, სასწავლო ბაზაში ასახული ცვლილებების შესახებ.<br>6. სტუდენტები პრობლემად ასახელებენ | 1. სტუდენტების მხრიდან მიღებული შეფასებების საფუძველზე, სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვალა საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფუნქციები და საგამოცდო საკითხების შედგენა ხდება თავად სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. ჯგუფი მხოლოდ აერთიანებს, მათგან შეარჩევს საგამოცდო საკითხებს და ადგენს ერთიდაიგივე სირთულის მქონე რამდენიმე საგამოცდო ვერსიას, რაც, უზრუნველყოფს მიღებული ცოდნისა და უნარების სტანდარტულ შეფასებას ყველა სტუდენტისა და ჯგუფისთვის. სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფის მიერ შედგენილი საგამოდო ფურცლები ეგზავნება სასწავლო კურსის განამხორციელებელ ყველა პერსონალს, სილაბუსისა და შესაბამისად განვლილი მასალისა და თემატიკის მათი მხრიდან დადასტურების მიზნით, რაც გამორიცხავს საგამოცდო საკითხებში ისეთი დავალებების შეტანას, რაც არ არის დაფარული სასწავლო კურსის მსვლელობისას.<br>2. სტუდენტებს გაეგზავნათ საგამოცდო ცენტრის დებულება, ეთიკის კოდექსი და პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები; გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტების სტუდენტებისათვის გაცნობა ხდება | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ბეჭდური წიგნების არასაკმარის რაოდენობას.<br>7. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებმა უნივერსიტეტის მხრიდან შეთავაზებულ დამატებით მომსახურებასთან დაკავშირებით დააფიქსირეს სურვილი სტაჟირებების შეთავაზების შესახებ. | როგორც ფაკულტეტის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სტუდენტებთან გამართულ შეხვედრებზე. აღნიშნული ტიპის საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა მიმდინარე აკადემიურ წელსაც.<br>3. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს. მედიცინის ფაკულტეტის შენობაში დამონტაჟებულია კონდიცირების/გათბობის ცენტრალური სისტემა. ზემოაღნიშნული სამსახურის მიერ პერიოდულად მოხდება სისტემის მუშაობის გადამოწმება შენობის ყველა სართულზე და საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გამოსწორება.<br>4. ანატომიის სასწავლო კურსში ხდება მულაჟების და 3D სათვალის გამოყენება. გარდა ამისა, ფაკულტეტმა შეისყიდა ანატომაჟის ბოლო მოდელი, რომელიც უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტებს ანატომიის, ფიზიოლოგიის და ჰისტოლოგიის კურსის ასათვისებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა ლექტორისათვის ჩატარდა შეხვედრები, რომლებზეც მიეწოდათ 3D სათვალის და ანატომაჟის გამოყენების ინსტრუქცია. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯრების მიერ სასწავლო პროცესი დაიგეგმა ისე, რომ ანატომიის სასწავლო კურსის განმახორციელებელ ყველა ლექტორს ჰქონოდა ლექცია/სემინარების ჩატარების შესაძლებლობა ზემოთაღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>5. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ასახული ცვლილებების შესახებ შეტყობინებების გაგზავნის ფუნქცია უკვე დაემატა ბაზას | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საბაზისო/სემესტრული საგნებისთვის, კერძოდ გამოცდის თარიღის ცვლილებების შემთხვევაში სტუდენტებს მისდით ელ. ფოსტა და მოკლე ტექსტური შეტყობინება ტელეფონზე ცვლილების შესახებ. კურაციულ საგნებთან დაკავშირებით იგივე ფუნქციის დამატება ვერ მოხერხდა ბაზაში და ამიტომ გამოცდის თარიღის ცვლილების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი აგზავნის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას სტუდენტებთან ბაზაში შესული ცვლილების პარალელურად ელ. ფოსტის საშუალებით.<br>6. ფაკულტეტზე მუდმივად ხდება სახელმძღვანელოების შეძენა ყოველწლიურად. 2020 წელს ბიბლიოთეკას დაემატა 250 სახელმძღვანელო, 2021 წელს 88, 2022 წელს უკვე შეძენილია 133 უცხოენოვანი და 198 ქართულენოვანი სახელმძღვანელო. გარდა ამისა, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოხდა დამატებით რამდენიმე ასეული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს შეკვეთა, რომელიც ასევე დაემატება საბიბლიოთეკო ფონდს.<br>7. სტუდენტებისათვის პერიოდულად ხდება ექსტაკურიკულური პრაქტიკის შეთავაზება. 2022 წლიდან კი, მას შემდეგ რაც უნივერსიტეტს გააჩნია საუნივერსიტეტო კლინიკა, მსგავსი პრაქტიკის შეთავაზება რამდენჯერმე მოხდა ჯოენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგების თანახმად სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის | მოხდა საკითხის სტუდენტებთან გავლა და განისაზღვრა გვერდის უფრო მარტივად წაკითხვის გზა. სტუდენტის გრაფიკი რექტორის ბრძანების თანახმად განაწილებული იყო წლიური გადასახადის 1/10 გადახდით, რეალურად გადასახადი ბუღალტრულად ირიცხება გაწეული | ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სტუდენტებს ჰქონდათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EUNSIS) საკუთარი ფინანსური გვერდის წაკითხვის პრობლემა. | მომსახურების მიხედვით. შედეგად, ფინანსური დავალიანების შესახებ ფინანსური სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია და ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის გვერდზე დავალიანების შესახებ ასახული თანხა ფიქსირდებოდა სხვადასხვა. განხორციელდა ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და მოცემულ მომენტში სტუდენტის გვერდზეც სემესტრის საერთო ვადის მიხედვით თვის განმავლობაში გადასახდელი თანხა ზუსტად ემთხვევა ბუღალტრულად დარიცხულ თანხას. რამაც მოხსნა გამოკითხვის პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირებული საყურადღებო საკითხი. | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მათთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საკითხი. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგების | პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, განთვასებულია საჯარო სივრცეში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://eu.edu.ge/ge/legal-acts და ყველა ახალაყვანილი თანამშრომლისთვის ხდება აღნიშნული დოკუმენტაციის პერსონალურად გაცნობა. თუმცა გამოკითხვის პროცესში მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა და ელექტრონული ფოსტით ყველა თანამშრომელს გაეგზავნა ინფორმაცია ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულყოფილად გაცნობის მიზნით. დამატებით აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დოკუმენტის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, კვლევის დაფინანსების წესი, საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი) უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეთანამშრომლება შესაბამისი | ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის რეგულაციებსა და წესებთან დაკავშირებით გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: შინაგანაწესი/ ეთიკის კოდექსი - 50% კარგად იცნობს, 50% კი მეტ-ნაკლებად. მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის გამოკითხვის შედეგები კი გადანაწილდა შემდეგნაირად: შინაგანაწესს/ეთიკის კოდექსს კარგად იცნობს 36.1%, მეტნაკლებად - 50%. ორივე ფაკულტეტის ფარგლებში ასევე გამოვლინდა დამატებით პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, კვლევის დაფინანსების წესი, საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი) მეტ- | სტრუქტურული ერთეულები: საგამოცდო ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი და ა.შ. პერსონალთან შეხვედრების ჩატარებისა და დამატებითი შეტყობინებების გაგზავნის გზით. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ნაკლებად ცოდნის საკითხი. | | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | მედიცინის ფაკულტეტზე, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგად ფიქსირდება კომენტარი იმის შესახებ, რომ Wi-Fi ხშირად გაუმართავად მუშაობს. | მედიცინის კამპუსში მოხდა ქსელების განახლება და გაიზარდა სიჩქარე, რის შემდეგაც, პრობლემებით აღარ მოუმართავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციულ კამპუსში ასევე მოხდა აპარატურის შეცვლა რაც ასევე გამოიწვევს აღნიშნულ კორპუსში ინტერნეტის სიჩქარის მომატებას.<br>დაგეგმილია Wi-Fi აპარატების შეცვლა და დამატება. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი ორივე ფაკულტეტის შემთხვევაში საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესს მეტ-ნაკლებად იცნობს ან არ იცნობს (გამოკითხვის შედეგების მიხედვით სამართლის, განათლების, ბიზნესისისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხულთა 46.7% აცხადებს, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში | 2021-2022 აკადემიური წლის ორივე სემესტრის დასაწყისში, ისევე როგორც ყოველი სემესტრის დასაწყისში ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილია საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი სასწავლო პროცესში ახლად ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პწეროსნალთან, თუმცა გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული საკითხების საპასუხოდ მოხდა საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული პრსონალისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წერილში ცალკე პუნქტებად გამოტანა, აღნიშნულ საკთხებზე ყურადღების მეტად გამახვილების მიზნით და პროგრამის განამხორციელებელ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.<br>წერილის მეშვეობით ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოკითხული პერსონალის 22.9% არ იცნობს აღნიშნულ წესს). | ცენტრი კონსულტირებას უწევს პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე საჭიროებიდან გამომდინარე, მათი მომართვის შემთხვევაში და საფუძველზე. | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. გამოიკვეთა კვლევის დაფინანსების წესის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. ასევე, დაფიქსირდა პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირულობის დაბალი მაჩვენებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან.<br>2. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სურვილი უნივრსიტეტის მხრიდან მოხდეს აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით სხვდასხვა შინაარსობრივი | 1. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელდა ონლაინ შეხვედრები „კვლევის დაფინანსების წესისა“ და „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების“ გასაცნობად. საინფორმაციო შეხვედრებზე დასარეგისტრირებლად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ცენტრის კორპორატიული ელ. ფოსტიდან გაზიარდა სარეგისტრაციო ფორმა 2022 წლის 9 ნოემბერს. ჯამში შეხვედრებზე 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი დარეგისტრირდა. საინფორმაციო შეხვედრები ZOOM-ის პლატფორმის მეშვეობით გაიამრთა შემდეგ თარიღებში:<br>16 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი;<br>17 ნოემბერი 14:00 - 15:00 საათი;<br>18 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი.<br>2. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამეცნირო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ყოველ სასწავლო წელს ტარდება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა მათთვის სასურველი ტრენინგებისა და ვორქშოპების შესახებ. ცენტრი მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს გეგმავს და ახორციელებს სწორედ მიღებული შედეგების მიხედვით. ბოლო ორი აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ტრენინგები/ ვორქშოპები ცენტრის მიერ:<br>1. 2021 წლის 15 მარტი - 15 აპრილის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | თემატიკის ტრენინგების შეთავაზება და განხორციელება. | პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (დამწყები დონე)“, რომელსაც უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ხუთკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.<br>2. 2021 წლის 27 აპრილი - 20 მაისის პერიოდში უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“, რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ნესტან ტუკვაძე. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: ეპიდემიოლოგიის მეთოდები და ბიოსტატისტიკის საფუძველბი, კვლევების დიზაინი, მონაცემთა შეგროვება (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლადების შეგროვება), ა.შ.<br>3. 2021 წლის 17 მაისი - 10 ივნისის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (მაღალი დონე)“, რომელსაც უძღვებოდა ცვატა ბერძენიშვილი. ოთხკვირიანი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი გაეცნო მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის საშუალო და მაღალი სირთულის ამოცანების შესასრულებლად სტატისტიკური ხერხების გამოყენებას SPSS-ში.<br>4. 2021 წლის 27 ოქტომბრის - 5 ნოემბრის პერიოდში, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ვორქშოპი თემაზე "თვისებრივი კვლევის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მეთოდები და კვლევის ეთიკა", რომელსაც კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიბა მასუდი უძღვებოდა. ტრენინგის ხაგრძლივობა - 10 საათი. სამუშაო ენა - ინგლისური.<br>5. 2022 წლის 18 თებერვალს ჩატარდა სემინარი თემაზე "ინფორმაციის მართვა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, გიგა ხოსიტაშვილი. სემინარის ხანგრძლივოდა შეადგენდა 3 საათს.<br>6. 2022 წლის 23 თებერვალს - 3 მარტს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი "საგრანტო განაცხადის მომზადება და ფონდების მოძიება", რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის კოორდინატორი და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი სალომე კანდელაკი. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.<br>7. 2022 წლის 18 მაისს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" ორგანიზებით ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდნენ „საქპატენტის" ტუტორები მერაბ კუცია („საქპატენტის" გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი) და ირაკლი კასრაძე („საქპატენტის" იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი). ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტების სამართლის, ბიზნესის და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. ტრენინგის ხანგრძლივობა - 4 საათი.<br>8. 2022 წლის 23 ივნისი - 1 ივლისის პერიოდში ჩატარდა ონლაინ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ტრენინგი „კოლაბორაციული კვლევა", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მკვლევარი, ეკა კოხრეიძე. ტრენინგის ხანგრძლივობა - 8 საათი.<br><br>ცენტრი ყოველწლიურად გააგრძელებს აღნიშნული მიმართლებით მუშაობას და განახორციელებს ტრენინგებსა და ვორქშოპებს პერსონალის საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისად. | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | - | - | - |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალის მხრიდან გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებულია პროფესიული განვითარების მიმართულებით ტრენინგების შეთავაზების სურვილი. სასურველია, ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ კიდევ | სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ყოველთვიურად მიეწოდება და ბუნებრივია გაგრძელდა ინფორმაციის გავრცელება დაგეგმილი ტრენინგების შესახებ, როგორც ელ. ფოსტის საშუალებით, ისე პირადი (sms) შეტყობინებების გზით.<br>ცენტრის ფარგლებში პერსონალისთვის ხდება შემდეგი ტრენინგ-მოდულების შეთავაზება:<br>1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა<br>2. შეფასების თანამედროვე მეთოდები<br>3. სწავლების თანამედროვე მეთოდები<br>4. სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში | სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი |

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ერთხელ გადაიხედოს ტრენინგების შესახებ ლექტორთა ინფორმირების საკითხი. | 5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა)<br>6. დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას<br>გარდა ამისა ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც პერსონალის ტრენინგებით კმაყოფილების დადგენას ისე ახალი ტრენინგების საჭიროებების გამოვლენას (მაგალითისთვის 2020-2021 აკადემიურ წელს ჩატარებული აღნიშნული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შემუშავდა და დაიგეგმა შემდეგი ტრენიგ-მოდულის ჩატარება: „სასწავლო პროცესი შერეული სწავლების ფორმატში“). გამოკითხვების საფუძლევზე ხდება არსებული ტრენინგ-მოდულების მოდიფიცირებაც და განახლებული სახით შეთავაზება.<br>მიმდინარე, 2021-2022 აკადემირ წელს ჩატარებული გამოკითხვის საფუძლევზე გამოიკვეთა შემდეგ თემატიკასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულის შეთავაზების საკითხი: საგანმანათლებლო ინტერნეტ-რესურსი, ე-ბიბლიოთეკა. მიღებული შედეგების საფუძველზე, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით მოდიფიცირდა არსებული ტრენინგ-მოდული „დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას“, კერძოდ, ტრენინგ-მოდულს დაემატა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ თემა, სადაც, ყურდღება გამახვილდა ელ. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების საკითხებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პერსონალის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგებით აქტიურად | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სარგებლობს უნივერსიტეტის პერსონალი. 2021-2022 აკადემიური წლის მონაცემებით პერსონალის ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში მონაწილეობის მაჩვენებელია 190 (ჯამური რიცხვი). აღსანიშნავია, რომ დამსწრე პერსონალი რიგ შემთხვევებში მეორდება კონკრეტულ ტრენინგ-მოდულებზე:<br>ტრენინგის დასახელება დამსწრე პერსონალის რაოდენობა<br>სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა 14<br>შეფასების თანამედროვე მეთოდები 16<br>სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში 29<br>სწავლების თანამედროვე მეთოდები 73<br>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა) 30<br>დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას (სამეცნიერო ბაზებთან წვდომა) 28<br><br>სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი გააგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას, არსებული ტრენინგ-მოდულების პერსონალისთვის რეგულარულად შეთავაზებას, უნივერსიტეტში აღნიშნული მიმართულებით შექმნილი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მუდმივად გაზიარებას, საჭიროებების კვლევას და შესაბამის რეაგირებას. | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სასურველია, ფაკულტეტის მიერ კიდევ ერთხელ მოხდეს ლექტორების სრულად ინფორმირება უნივერსიტეტის რეგულაციებსა და წესებთან | ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში მართავს შეხვედრებს ფაკულტეტის ყველა მოქმედი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან (როგორც აკამიურ ისე მოწვეულ პერსონალთან), რომლის დროსაც ლექტორებს მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტში | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაკავშირებით. ასევე, სასურველია სისტემატიურად მოხდეს განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება უნივერსიტეტში დაგეგმილი აქტივობებისა და სიახლეების შესახებ. | მოქმედი და პერსონალისთვის მნიშვნელოვანი რეგულაციებისა და წესების შესახებ, ასევე ხდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობებისა და სხვა სიახლეების შესახებ. აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრები პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ფაკულტეტის ადმისნიტრაციის მიერ ჩატარდა 2021-2022 აკადემიურ წელსაც. შეხვედრების დროს ყურადღება გამახვილდა ასევე პერსონალისთვის მნიშვნელოვანი, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების უნივრსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. გარდა ამისა, ლექტორებს ელ. ფოსტის საშუალებით პერმენენტულად მიეწოდებათ ნებისმიერი ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძებებისა და სხვა სიახლეების შესახებ. ფაკულტეტი გააგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუდმივ მუშაობას. | |
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტის პერსონალის მხრიდან დაფიქსირებულია სურვილი, ეცნობოთ წინა შეფასებების დროს მიღებული საყურადღებო საკითხების შესახებ თუ დაიგეგმა ან გაუმჯობესდა რაიმე. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულიად იაზრებს აღნიშნულის საჭიროებას. იმისთვის, რომ პერსონალსა და სტუდენტებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ კითხვარებს ფორმალური ხასიათი აქვს და ნამდვილად ხდება გამოკითხვების შედეგად გამოვლენილ საკითხებზე რეაგირება, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზას დაემატა ფუნქცია მესიჯბოქსების სახით, რომლის მეშვეობითაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოკლე შეტყობინებების სახით მიაწვდის ინფორმაციას განხორციელებულ აქტივობებზე, როგორც პერსონალს, ასევე, სტუდენტებს. უფრო კონკრეტულად, ფუნქცია ითვალისწინებს შეფასებების საფუძველზე უკვე | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | განხორციელებული რეაგირებების შესახებ მოკლე ინფორმაციის, მაგალითების, შემთხვევების „მესიჯ-ბოქსების“ სახით ეკრანზე გამოტანას სტუდენტისა თუ პერსონალის ბაზაში შესვლის მომენტში. შედეგად პროგრამების განამხორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს ბაზაში შესვლისთანავე გამოუჩნდებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები იმასთან დაკავშირებით თუ რა ცვლილებები განხორციელდა მათ მიერ გამოკითხვებისას დაფიქსირებული რეკომენდაციების საფუძველზე. აღნიშნული მიზნად ისახავს სტუდენტებისა და ლექტორების მიერ კითხვარების შევსების მოტივაციის ამაღლებას. სამსახური იმედოვნებს, რომ მიწოდებული ინფორმაცია და მაგალითები მათ თვალნათლივ დაანახებს, რომ დაფიქსირებული მოსაზრება თუ რეკომენდაცია არ რჩება უყურადღებოდ.<br>ამასთანავე, ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური საინფორმაციო შეხვედრებზე მუდმივად ახდენს აღნიშნული რეაგირებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. აღნიშნული განხორციელდა 2021-2022 აკადემიური წლის საინფორმაციო შეხვდრებზეც.<br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამსახურის ოფიციალური ელ. ფოსტის საშუალებით რეგულარულად გზავნის უკუკავშირებს პერსონალის შეფასების შედეგებისა თუ პერსონალთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფში თემატურად, განხორციელებული რეაგირებებისა თუ კონკრეტული საკითხების შესაბამისად. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობა სთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს გამოკითხულ სუდენტთა 24.4%;<br>2. ასევე იკვეთება, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სურთ მეტი სივრცე ჰქონდეთ ბიბლიოთეკაში; კითხვაზე, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვერ მოახერხეს ბიბლიოთეკით სარგებლობა ადგილის არარსებობის გამო, გამოკითხულთა 44% აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევა ხშირად ჰქონია.<br>3. მედიცინის ფაკულტეტის გამოკითხული სტუდენტების ნაწილი, პრობლემად ბეჭდური წიგნების არასაკმარის რაოდენობას ასახელებს. | 1. სტუდენტებს ყოველი სემესტრის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ უტარდებათ საინფორმაციო/ საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის ორგანიზებასაც ბიბლიოთეკა ათანხმებს ფაკულტეტთან და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებთან. 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ სტუდენტებთან. კერძოდ: შეხვედრები ჩაუტარდათ ქართველ სტუდენტებს შემდეგ თარიღებში:<br>13.10.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>07.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>უცხოენოვან სტუდენტებთან შეხვედრები ჩატარდა შემდეგ თარიღზში:<br>15.10.2021 - ჩატრდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>18.10.2021 - ჩატარდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>19.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>25.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>26.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/87367088465 | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ?pwd=aGZwL1NlbUxCdzFqTlIzK21RWm5zdz09<br>ბიბლიოთეკის მიერ ჩანიშუნლი შეხვედრების ბმულები სტუდენტებს მიეწოდებათ ელ. ფოსტის საშუალებით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა შეხვედრებისა, ბიბლიოთეკის მხრიდან სტუდენტებს ელ. ფოსტით მუდმივად ეგზავნებათ ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია სტუდენტურ ბაზაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მაგ.: წიგნის მოძებნის ინსტრუქცია: https://eu.edu.ge/ge/research/library - ელექტრონული ბაზების გამოყენების ინსტრუქცია: https://eu.edu.ge/ge/library<br>ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მომართვიანობის შემთხვევაში თითოეულ სტუდენტს უტარდება კონსულტაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ;<br>2. 2022 წლის აგვისტოს თვეში მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა გადავიდა მე-7 სართულზე და მოიცავს 430 კვ.მ. ფართობს. ადგილების რაოდენობა გაიზარდა, დაემატა 78 ადგილი და შეადგენს 120 ადგილს. შესაბამისად, დღეისათვის, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ერთდროულად შესაძლოა განთავსდეს 120 მკითხველი.<br>3. საანგარიშო პერიოდში, სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ეგზემპლიარების რაოდენობა გაზრდილია, ხოლო განახლებული ძირიდათი ლიტერატურის შემთხვევაში, შეძენილია ახალი სახელმძღვანელოები.<br>მაგ.:  2021 წელს შეძენილია 4578 ცალი წიგნი 15080,92 ლარის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ღირებულების, ხოლო 2022 წლის ნოემბრის თვემდე შეძენილია 584 ცალი წიგნი 54108,88 ლარის ღირებულების. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგად, მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებულია სურვილი ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. | მედიცინის კამპუსში მოხდა ქსელების განახლება და გაიზარდა სიჩქარე, რის შემდეგაც, პრობლემებით აღარ მოუმართავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციულ კამპუსში ასევე მოხდა აპარატურის შეცვლა რაც ასევე გამოიწევევს აღნიშნულ კორპუსში ინტერნეტის სიჩქარის მომატებას.<br>დაგეგმილია Wi-Fi აპარატების შეცვლა და დამატება. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირულობის დაბალი მაჩვენებლი სტუდენტების მხრიდან. | 2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:<br>1) ინფოგრაფიკა ქართულ და ინგლისურ ენაზე პლაგიატის სახეების შესახებ გაზიარდა მედიცინის ფაკულტეტის და სავეტერინარო მედიცინი ფაკულტეტის სტუდენტთან უნივერსიტეტის კორპორატიული ელ.ფოსტის საშუალებით.<br><br>2) გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მედიცინის ფაკულტეტის და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის თავიდან აცილების საკითხებთან დაკავშირებით:<br><br>მედიცინის ფაკულტეტი:<br>ხუთშაბათი, 27 ოქტომბერს, 11:00-12:00 - ინგლისურენოვანი სექტორი, აუდიტორია 206.<br>ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 11:00-12:00 - ქართულენოვანი სექტორი, აუდიტორია 206.<br><br>სავეტერინარო მედიცინის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი |

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ფაკულტეტი:<br>ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 13:00-14:00 - აუდიტორია 407<br><br>სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრის ჩატარება გადაწყდა გაზაფხულის სემესტრში (მარტი, 2023), გამომდინარე იქიდან, რომ ოქტომბერში ჩანიშნულ შეხვედრაზე სტუდენტები არ გამოცხადდნენ. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს შენობაში რბილი ავეჯის განთავსებასთან დაკავშირებით. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში, გამოკითხულთა 42% უკმაყოფილებას გამოთქვამს დასასვენებელ სივრცესთან, 40% კი შენობის გარეთ არსებულ სივრცესთან (ეზო, გამწვანება) დაკავშირებით. ანალოგიური საკითხებით უკმაყოფილო არიან სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებიც: გამოკითხულთა დიდი ნაწილი (40%) უკმაყოფილებას გამოთქვამს | მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში არსებულ კაფეტერიას დაემატა უფრო კომფორტული, რბილი ავეჯი, სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცის მეტად მოწყობისა და მათთვის მეტად კომფორტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის კორპუსი ითვალისწინებს დასასვენებელი სივრცის არსებობას, კერძოდ, რბილი ავეჯით მოწყობილია პირველი სართულის ჰოლი, ასევე, კომფორტული გარემოა შექმნილი მედიცინის კორპუსის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.<br>რაც შეეხება ადმინისტრაციულ კამპუსს, მოეწყო ცალკე სივრცე, სტუდენტების მიერ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზების, შეკრებების, კლუბების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სივრით სარგებლობა შესაძლებელია სტუდენტების მიერ ნებისმირი ღონისძიების ჩასატარებლად. შესაძლებელია მისი გამოყენება, როგორც უბრალოდ მოსასვენებელი ადგილი. სივრცე მოწყობილია სათანადო ავეჯითა და აღჭურვილობით და უზრუნველყოფილია კომფორტული გარემო. აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს, მათ შორის რათქმაუნდა | შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დასასვენებელ სივრცესთან (ფართი, კომფორტულობა) დაკავშირებით. | მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებსაც. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. გამოკითხვის შედეგად მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ დაფიქსირდა კომენტარი საგამოცდო ნაწერების ნახვასთან დაკავშირებით „View our answers after exams". 2. გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ გამოკითხული სტუდენტების ნაწილი ორივე ფაკულტეტის შემთხვევაში საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესს მეტ-ნაკლებად იცნობს ან არ იცნობს (გამოკითხვის შედეგების მიხედვით სამართლის, განათლების, ბიზნესისისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის შემთხვევაში გამოკითხულთა 46.2% აცხადებს, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს, 15.4% არ იცნობს, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში | კომენტართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესით დადგენილი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. უნდა ითქვას, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ უფლებასა და შესაძლებლობას და მომართვის შემთხვევაში ნახულობენ თავიანთ ნაშრომებსა და მიღებულ შეფასებებს, უკუკავშირებს. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დიდი მომართვიანობის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი აწყობს ცალკე აუდიტორიასაც, სადაც სტუდენტებს დადგენილი ვადების განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ ცენტრს და ისარგებლონ ნაშრომების ნახვის მათთვის მინიჭებული უფლებით. სტუდენტის სურვილის შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და განხილვის პროცესს ესწრება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ და ზოგადად საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ საგამოცდო ცენტრის მიერ სხვადასხვა გზითა და საშუალებების გამოყენებით: | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოკითხული სტუდენტების 35.9% არ იცნობს აღნიშნულ წესს). | 1. საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ესწრება სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც განიხილავს საგამოცდო ცენტრის ფუნქციებს, აწვდის ინფორმაციას მათ საკონტაქტო ელ. ფოსტის შესახებ, განიხილავს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებსა და დაკავშირებულ პროცედურებს.<br>2. სტუდენტებთან მუდმივად (შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდის წინ) იგზავნება წერილები ელ. ფოსტის საშუალებით საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, წერილში გამახვილებულია ყურადღება სტუდენტების ვალდებულებებსა და უფლებებზე, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე და დაკავშირებულ პროცედურებზე.<br>3. საგამოცდო ფურცლებზე, პირველ გვერდზე დატანილია ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც უკავშირდება სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებს, გამოცდებზე ქცევის წესებს და ა.შ. გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი საკითხის საპასუხოდ საგამოცდო ცენტრის მიერ კვლავ გაიგზავნა წერილები სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტუდენტების მიერ საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე. როგორც გასული მიმოწერისას, ისე ახლაც, წერილის მეშვეობით | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. ზემოაღნიშნული მიმართულებით მუდმივად გაგრძელდება ცენტრის მიერ მუშაობა. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | - | - | - |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სტუდენტთა მოსაზრებით სწავლის გადასახადის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გვერდი ოდნავ გაუმართავია და ცოტა გაუგებარი ხშირ შემთხვევაში;<br>2. სტუდენტები ითხოვენ რომ მისდიოდეთ შეტყობინებები, სასწავლო ბაზაში ასახული ცვლილებების შესახებ;<br>3. სტუდენტთა მოსაზრებით ჯერ-ჯერობით ისევ გაურკვევლად არის დალაგებული არჩეული საგნები moodle-ზე, მხოლოდ სასწავლო ბაზიდან ხდება არჩეული საგნების გვერდზე შესვლა;<br>4. სტუდენტთა მოსაზრებით სასწავლო ბაზას დაამატებდნენ | 1. გადახდილი თანხა სასწავლო ბაზაში ეთითებოდა ყოველი თვის 5 რიცხვის მონაცემებით, რაც არ შეესაბამებოდა ფინანსური სამსახურის მიერ თვის ბოლოს დარიცხულ და სასწავლო ბაზაში ასახულ თანხებს და იწვევდა სტუდენტთა გაუგებრობას. 2021-2022 სასწავლო წლის დასასრულს სტუდენტებთან კომუნიკაციის საფუძველზე მოხდა სტუდენტის ფინანსური გვერდის გადახედვა და შესაბამისად მოდიფიცირება. კერძოდ, სემესტრული გადასახადი სასწავლო ბაზაში გადანაწილდა 5 თვეზე, ცხრილში აისახა ყოველი თვის ბოლო რიცხვი შესაბამისი გადასახდელი თანხის მითითებით. წინასწარ გადახდილი თანხა ავტომატურად აკლდება მომდევნო თვის გადასახადს, ხოლო დავალიანება ემატება ასევე მომდევნო თვის გადასახადს. ფინანსური სამსახურის მხრიდან გადახდილი თანხების სასწავლო ბაზაში შეტანა და განახლება ხდება ყოველი კვირის ბოლოს და ეთითება ბოლო განახლების თარიღი, რაც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას თვალყური ადევნოს განახლებულ ინფორმაციას სწავლის საფასურის შესახებ მიმდინარე თვის ბოლოსთვის.<br>2. სასწავლო ბაზაში ასახული | სასწავლო პროცესის ადმინიტრირების სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სასწავლო პროცესის კალენდარს, როდის იწყება და მთავრდება სწავლა, ასევე სასწავლო კალენდარს ცხრილის სახით, კალენდარი, რომელშიც აღნიშნული იქნება უქმე დღეები. | ცვლილებების შესახებ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები აწვდიან სტუდენტებს როგორც მეილის საშუალებით, ასევე მათთან ინდივიდუალური კონსულტაციების დროს, ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველი სემეტრის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრებზე ხდება სასწავლო ბაზასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეტალურად მიწოდება სტუდენტებისთვის, ხოლო რაიმე მოდულის დამატების შემთხვევაში ეგზავნებათ მეილები გზამკვლევთან ერთად. რაც შეეხება აღნიშნულის შესახებ სმს შეტყობინებების გაგზავნას, სმს შეტყობინებები ბაზაზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ვერ იგზავნება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის მოცულობა აჭარბებს სმს შეტყონინებებით გათვალისწინებულ ფორმატს.<br>3. სასწავლო ბაზაში ჩაშენდა Moodle-ის პროგრამა, ბაზაში სტუდენტის მიერ არჩეულ როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებზე გადასვლისას სტუდენტი შედის Moodle-ის გვერდზე კონკრეტული საგნების მიხედვით, სადაც სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ლექტორის მიერ ატვირთული მასალა და ინფორმაცია.<br>4. სასწავლო ბაზაში სტუდენტის პირად გვერდზე, 2021-2022 სასწავლო  წლის გაზაფხულის სემეტრში ჩაემატა აკადემიური კალენდრის გვერდი, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მიმდინარე სემეტრის აკადემიურ კალენდარს უქმე დღეების მითითებით. | |
| სტუდენტების ზოგადი | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სტუდენტური ინიციატივების წახალისების ნაკლებობა | 1. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მომსახურების ცენტრმა ორჯერ ჩაუშვა სტუდენტებში სტუდენტური | სტუდენტთა და კურსდამთავრებ ულთა ამომსახურების |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა | | 2. სტუდენტური ღონისძიებების ნაკლებობა (წვეულებები)<br>3. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების ნაწილმა დააფიქსირა უკმაყოფილება მეტი პრაქტიკა/სტაჟირების მიმართულებით<br>4. სტუდენტები გამოკითხვაში აღნიშნავენ, რომ არასდროს მიუღიათ ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობისგან. | ინიციატივების დაფინანსების კონკურსი, თუმცა, სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში, ვერც ერთმა აპლიკანტმა ვერ გადალახა ბარიერი. ამის საპასუხოდ, მომსახურების ცენტრმა შეცვალა საკონკურსო პროექტების თემატიკა და გახადა ის უფრო მეტად მორგებული სტუდენტთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე. იგეგმება და გაგრძელდება სტუდენტური პროექტების კონკურსის თავიდან გამოცხადება.გარდა სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების კონკურსისა, მომსახურების ცენტრმა შექმნა სტუდენტური კლუბების სივრცე და გამოაცხადა სტუდენტური კლუბების რეგისტრაცია, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი ინიციატივით, საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტური ცხოვრების გააქტიურებისა და აქტივობების ორგანიზების მიზნით „ევროპის უნივერსიტეტის" სტუდენტებმა რვა ახალი სტუდენტური კლუბი შექმნეს.<br>2. 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში მომსახურების ცენტრმა სტუდენტებს მოუწყო WELCOME კვირეული, რომელიც გაჯერებული იყო სპორტული, კულტურული, შემოქმედებითი და ინტელექტუალური აქტივობებით. კვირეულის პირველი და ბოლო დღეები წარიმართა წვეულების ფორმატში. გარდა ზემოაღნიშნული კვირეულისა, მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოსტპანდემიური ვითარება და მოხსნილი შეზღუდვები უკვე საშუალებას მოგვცემს, დაიგეგმოს და განხორციელდეს მსგავსი ტიპის არაერთი ღონისძიება.<br>3. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა | ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მომსახურების ცენტრის ორგანიზებით, 2022 წლის 4 აპრილს სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტებისთვის მედიცინის ფაკულტეტის კამპუსში დამსაქმებლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტს სტუმრად ეწვია პარტნიორი სტომატოლოგიური კლინიკა „ჰეფი დენტის" მენეჯერი, ორთოდონტი, მარიამ ორჯონიკიძე, რომელმაც სტუდენტებს კლინიკაში სტაჟირების, პრაქტიკისა და დასაქმების პერსპექტივების, ასევე, პროფესიული გამოწვევებისა და თანამედროვე ტრენდების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ღონისძიება ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა, სადაც სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს და პასუხები მიიღეს. შეხვედრაზე მხარეები სამომავლო თანამშრომლობის დეტალებზე შეთანხმდნენ, რის ფარგლებშიც, ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები რეგულარულად გაივლიან პრაქტიკას „ჰეფი დენტში".<br>დამატებით, ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების მე-5-მე-10 სემესტრის სტუდენტების შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი, რის შედეგადაც სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სამი სტუდენტი (ჰამიდრეზა იავარი - მე-5 სემ., სიმინ სადეღი - მე-10 სემ. და მონა ალ არნაუთი (მე-5 სემ) პრაქტიკას გაივლიან კლინიკებში „ალბიუსი" და „ჰეფი დენტში" 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით. გარდა ამისა, სტუდენტებს გაუზიარდათ ინფორმაცია სტაჟირების შესაძლებლობის შესახებ კლინიკა „ჰებეში"<br>4. 2022 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა ახალი სტუდენტური | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | თვითმმართველობის არჩევნები, რის შემდეგაც, განახლდა თვითმმართველობის შემადგენლობა. სტუდენტური თვითმმართველობის კანდიდატთა შერჩევაში მონაწილეობა ჯამში "ევროპის უნივერსიტეტის" 441-მა სტუდენტმა მიიღო. არჩევნების შედეგად, კანდიდატთა შორის კვოტები ყველა ფაკულტეტზე თანაბრად გადანაწილდა. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები 19 დეკემბერს, "ევროპის უნივერსიტეტის" ელექტრონული არჩევნების წესით დადგენილი პროტოკოლის მიხედვით გაიმართა. ელექტრონული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი. ცენტრის ორგანიზებით 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობის შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, ვიცე რექტორთან ხარისხის განვითარების მიმართულებით და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე მოხდა სტუდენტების მხრიდან დაფიქსირებული საყურადღებო საკითხის მათთვის გაცნობა და ხაზი გაესვა თვითმართელობის მნიშნელოვან როლსა და ფუქნციას სტუდენტთა ინფორმირების, ინტერესების დაცვისა თუ მხარდაჭერის მიმართულებით. ყურადღება გამახვილდა იმაზე თუ რა მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნაა მათთვის ღირებული მათი სათანადოდ საქმიანობის მიზნითა და პროცესში. შეხვედრის ფარგლებში თვითმმართველობის წევრებმა გააკეთეს სამოქმედო გეგმის ზოგადი მიმოხილვა, ისაუბრეს სტუდენტურ პრობლემებზე და | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | რექტორთან ვიცე რექტორთან ერთად განიხილეს მათი გადაჭრის შესაძლო ვარიანტები. | |
| სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | გამოკითხვის შედეგების თანახმად სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებს ჰქონდათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (EUNSIS) საკუთარი ფინანსური გვერდის წაკითხვის პრობლემა. | მოხდა საკითხის სტუდენტებთან გავლა და განისაზღვრა გვერდის უფრო მარტივად წაკითხვის გზა. სტუდენტის გრაფიკი რექტორის ბრძანების თანახმად განაწილებული იყო წლიური გადასახადის 1/10 გადახდით, რეალურად გადასახადი ბუღალტრულად ირიცხება გაწეული მომსახურების მიხედვით. შედეგად, ფინანსური დავალიანების შესახებ ფინანსური სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია და ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის გვერდზე დავალიანების შესახებ ასახული თანხა ფიქსირდებოდა სხვადასხვა. განხორციელდა ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და მოცემულ მომენტში სტუდენტის გვერდზეც სემესტრის საერთო ვადის მიხედვით თვის განმავლობაში გადასახდელი თანხა ზუსტად ემთხვევა ბუღალტრულად დარიცხულ თანხას. რამაც მოხსნა გამოკითხვის პროცესში სტუდენტების მიერ დაფიქსირებული საყურადღებო საკითხი. | ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების ნაწილს არ აქვთ ინფორმაცია ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ | სტუდენტებს ყოველი სემესტრის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ უტარდებათ საინფორმაციო/ საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის ორგანიზებასაც ბიბლიოთეკა ათანხმებს ფაკულტეტთან და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებთან. 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ სტუდენტებთან. კერძოდ: შეხვედრები ჩაუტარდათ ქართველ სტუდენტებს შემდეგ თარიღებში: 13.10.2021 https://us02web.zoom.us/j/8279018935? | ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>07.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>უცხოენოვან სტუდენტებთან შეხვედრები ჩატარდა შემდეგ თარიღში:<br>15.10.2021 - ჩატრდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>18.10.2021 - ჩატარდა ორი შეხვედრა:<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>19.11.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3jFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>25.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/8279018935?pwd=eEM4RXp3bjFjQ1Qrd0o2OUxxSGZHZz09<br>26.12.2021<br>https://us02web.zoom.us/j/87367088465?pwd=aGZwL1NlbUxCdzFqTlIzK21RWm5zdz09<br>ბიბლიოთეკის მიერ ჩანიშუნლი შეხვედრების ბმულები სტუდენტებს მიეწოდებათ ელ. ფოსტის საშუალებით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა შეხვედრებისა, ბიბლიოთეკის მხრიდან სტუდენტებს ელ. ფოსტით მუდმივად ეგზავნებათ ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია სტუდენტურ ბაზაში და უნივერსიტეტის ვებ- | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გვერდზე. მაგ.: წიგნის მოძებნის ინსტრუქცია: https://eu.edu.ge/ge/research/library - ელექტრონული ბაზების გამოყენების ინსტრუქცია: https://eu.edu.ge/ge/library ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მომართვიანობის შემთხვევაში თითოეულ სტუდენტს უტარდება კონსულტაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | სტუდენტები აღნიშნავენ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების ნაკლებობას, ასევე სპეციალობით დასაქმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი მუდმივად ზრუნავს და ახორციელებს თემატურ აქტივობებს თითოეული ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მათთვის საინტერესო და სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგალითად: 2022 წლის ივნისში ევროპის უნივერსიტეტმა "გრიგორ თ. პოპას“ მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტთან (რუმინეთი) თანამშრომლობით განახორციელა ლექციათა სერია დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტთათვის. ონლაინ ლექციების თემატიკა გახლდათ "ზოგიერთი მიკრონუტრიენტის მზარდი როლი პათოლოგიის განვითარებაში"; "თანამედროვე შეხედულება კბილთა რკალის ფუნქციებზე" და "ფურკაციისჩართულობა - დიაგნოსტიკა და მკურნალობა". ლექციების სერიაზე მედიცინის ფაკულტეტის 336 სტუდენტი და პერსონალი დარეგისტრირდა. ტოკატ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტთან (თურქეთი) თანამშრომლობით გამართა ონლაინ ვებინარი სტომატოლოგიაში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. ვებინარი ეხებოდა ისეთ თემებს, | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ამომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | როგორებიცაა: ლაზერის გამოყენება პაროდონტოლოგიაში და ფოტოგრაფირება სტომატოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ვებინარზე სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების ჯამში 114 სტუდენტი და პერსონალი დარეგისტრირდა, რომელთა უმრავლესობა აქტიურად ჩაერთო ვებინარის მსვლელობაში. 2022 წლის ივლისში ცენტრმა გამოაცხადა სტუდენტური კლუბების რეგისტრაცია, რომლის შედეგადაც 4 ახალი სტუდენტური კლუბი დარეგისტრირდა მედიცინის ფაკულტეტიდან. რაც შეეხება სპეციალობასთან დაკავშირებული ვაკანსიების სტუდენტებისთვის გაზიარების საკითხს, ცენტრმა მოახდინა სტუდენტებთან შეთავაზებული ვაკანსიების დივერსიფიკაცია და ბოლო 2 თვის განმავლობაში მედიცინის ფაკულტეტის მაღალკურსელ სტუდენტებთან და კურსდამთავრბეულებთან მუდმივად ზიარდება პორფესიული დასაქმებისა და სტაჟირების ვაკანსიები, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კლინიკა „ალბიუსი“, სადაც ცენტრს გაზიარებული ჰქონდა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტის რეზიუმე. აგრეთვე, ცენტრის ორგანიზებით, მედიცინის კორპუსში სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისთვის დამსაქმებელთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტს სტუმრად ეწვია პარტნიორი სტომატოლოგიური კლინიკა "ჰეფი დენტის" მენეჯერი და ორთოდონტი, რომელმაც სტუდენტებს კლინიკაში არსებული სტაჟირების, პრაქტიკისა და დასაქმების პერსპექტივების, აგრეთვე პროფესიული გამოწვევების და თანამედროვე ტრენდების შესახებ მიაწოდა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაცია. შეხვედრაზე მხარეები სამომავლო თანამშრომლობის დეტალებზე შეთანხმდნენ, რომლის ფარგლებშიც ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები რეგულარულად გაივლიან პრაქტიკას კლინიკა "ჰეფი დენტში".<br>ცენტრი, ფაკულტეტებთან კოორდინირებით, გეგმავს და ახორციელებს სტუდენტთა ექსტრაკურიკულურ პრაქტიკას, სტაჟირებას და დასაქმებას პარტნიორ კომპანიებში, მაგალითად: მედიცინის ფაკულტეტის 6 სტუდენტი დასაქმებული იყო ჯოენის საუნივერსიტეტო კლინიკაში 3 თვის განმავლობაში 2022 წლის აპრილი-ივნისის თვის პერიოდში ადმინისტრაციულ პოზიციაზე.<br>2022 წლის ზაფხულში დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის ოთხმა სტუდენტმა ორთვიანი კლინიკური პრაქტიკა გაიარა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის კარდიოლოგიის განყოფილებაში.<br>2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ათმა სტუდენტმა კლინიკური პრაქტიკა გაიარა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის სხვადასხვა განყოფილებებში<br>მომსახურების ცენტრმა დიპლომირებული სტომატოლოგიის სტუდენტებს შესთავაზა ექსტრაკურიკულური პრაქტიკის კურსი კლინიკა „ჰეფი დენტსა“ და „ჰებეში“, სადაც აღნიშნული კურსი ოთხმა სტუდენტმა გაიარა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო ორი წლის პერიოდში ფიქსირდება ექსტრაკურიკულური პრაქტიკის განხორციელების დადებითი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | დინამიკა და გაზრდილია სტაჟირებების რიცხვი. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს სასწავლო ბაზაში თავიანთი ფინანსური ინფორმაციის მიღების ხარვეზები.<br>2. სტუდენტებმა დააფიქსირეს, რომ ანატომიის ლექტორი, ანა აბაშიძე აცდენდა ლექციებს.<br>3. ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა ითხოვეს ბიბლიოთეკაში სასწავლო სახელმძღვანელობის რაოდენობის გაზრდა.<br>4. ინგლისურენოვანი პროგრამების პირველკურსელების ნაწილს არ აქვთ ინფორმაცია დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელების შესახებ.<br>5. სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას სასწავლო ბაზაში შეფასებების /დამატებითი სასწავლო რესურსების დროულად ასახვასთან | 1. უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურების ჩართულობით (ფინანსური სამსახური, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური) მოხდა სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონულ ბაზაში ფინანსური მოდულის დახვეწა და ახალი ფუნქციების დამატება. შედეგად სტუდენტებს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია უჩანთ სასწავლო ბაზაში თავიანთ გვერდზე.<br>2. ანა აბაშიძესთან დაკავშირებით სტუდენტებმა ფაკულტეტზე თავიდანვე დააფიქსირეს პრობლემის შესახებ, შესაბამისად, მაშინვე მოხდა შესაბამისი კომუნიკაცია ლექტორთან, რის შემდეგაც, აღარ ყოფილა გაცდენის შემთხვევები.<br>3. ფაკულტეტი ამათუიმ სახელმძღვანელოზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას მუდმივად იღებს ბიბლიოთეკის წარმომადგენლებისაგან და საჭიროების შემთხვევაში ხდება სახელმძღვანელობის დამატებით შეძენა. ამასგარდა ფაკულტეტი მუდმივად ახდენს სახელმძღვანელოების ყოველწლიურად შეძენას. 2020 წელს ბიბლიოთეკას დაემატა 250 სახელმძღვანელო, 2021 წელს 88, 2022 წელს უკვე შეძენილია 133 უცხოენოვანი და 198 ქართულენოვანი სახელმძღვანელო. აღნიშნული უწყვეტი პროცესია და მომავალშიც მუდმიავდ გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა.<br>4. პირველკურსელი სტუდენტებთან რეგულარულად ტარდება გაცნობითი შეხვედრა სემესტრის დასაწყისში, სადაც ხდება ფაკულტეტის შესაბამისი პერსონალის (დეკანის, პროგრამის | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაკავშირებით.<br>6. გამოიკვეთა კონკრეტული ლექტორის (მარინა ბუცხრიკიძე) ახსნის მეთოდის მიმართ სტუდენტების მხრიდან პრეტენზია. | ხელმძღვანელების) მიერ შესაბამისი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, ინიშნება ჯგუფური ან ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული ტიპის საინფორმაციო შეხვედრების ჩატრდა 2021-2022 აკადემიური წლის ორივე სემესტრის დასაწყისში.<br>5. 2022-23 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან რეგულარულ შეხვედრებზე მოხდა შეფასების შედეგების სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემაში დროულად ასახვის საკითხებზე ყურადღების გამახვილება.<br>6. მოხდა ზემოაღნიშნული პერსონალისთვის სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შეთავაზება. პერსონალმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით და 2022-23 აკადემიურ წელს დაესწრო ტრენინგ-მოდულს: სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტანი პროგრამის სტუდენტები აფიქსირებენ რომ დამკვირვებლები იყვნენ უხეშები საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას. | 2021-2022 აკადემიურ წელს სწორედ დამკვირვებლებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირების და ასევე, ცენტრის თანამშრომელთა პირადი დაკვირვებების საფუძველზე, მნიშვნელოვნად განაახლა გამოცდაზე დამკვირვებელთა შემადგენლობა.<br>ასევე მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროცესების დაწყების წინ დამკვირვებლებთან ტარდება საინფორმაციო შეხვედრები საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ. საინფორმაციო შეხვედრების დროს ხდება საგამოცდო პროცესების მიმდინარეობისას დამკვირვებელთა | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სახელმძღვანელო ინსტრუქციების დეტალური გაცნობა, სტუდენტთა და დამკვირვებელთა ფუნქციების, უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება, დამკვირვებელთა ქცევისა და დამოკიდებულებების შესახებ მათი ინსტრუქტირება. აღნიშნული ემსახურება დამკვირვებელთა მხრიდან სათანადო დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისა და სათანადო ქმედებების განხორციელების მიზანს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული მცდელობებისა 2021-2022 აკადემიური წლის საგამოცდო პროცესების მიმდინარებისას დამკვირვებლებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირების და ასევე, ცენტრის თანამშრომელთა პირადი დაკვირვებების საფუძველზე კვლავ იდენტიფიცირებულია პირები, ვისთანაც უნივერსიტეტი აღარ გეგმავს თანამშრომლობის გაგრძელებას. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით შეხვედრებიც ჩატარდეს ხოლმე, რადგან მხოლოდ მეილების საშუალებით მიღებული ინფორმაცია მათთვის არ არის ამომწურავი. | საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მუდმივად აზიარებს ინფორმაციას ელ. ფოსტის საშუალებით სხვადასხვა გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, ასევე, სამსახური მობილობის გამოცხადების წინ ხვდება სტუდენტებს. შეხვედრების პროცესში სამსახურის წარმომადგენლები სტუდენტებს აწვდიან დეტალურ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით არსებულ პროცედურებზე და სხვა საჭირო საკითხებზე (არსებული მოთხოვნები, საჭირო დოკუმენტაცია). უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრებზე დასწრება ნებაყოფლობითია, სტუდენტებს ინფორმაცია ეგზავნებათ ელ. ფოსტის საშუალებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2022- | ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 2023 აკადემიური წლის დასაწყისში ფაკულტეტების მიერ სტუდენტებთან განხორციელებულ ყველა საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო საერთაშორისო ურთიერთოებების სამსახურის წარმომადგენლები, სადაც დეტალურად და ამომწურავად ისაუბრეს სამსახურის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, მათ შორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და დაკავშირებული პროცედურების შესახებ. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მეტ-ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის შესახებ, თუმცა, მათი მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა გაგზავნილი ვაკანსიების მიმართ, რადგან არ ესადაგება მათ პროფესიას; ასევე, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ ელ. ფოსტის საშუალებით იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა | 1. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ გაზიარებული ვაკანსიები სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ, როგორც ელ. ფოსტის, ასევე, სოციალურ ქსელებში არსებული ჯგუფების საშუალებით. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების შემდეგ იმის შესახებ, რომ ვაკანსიების გაზიარება ხდებოდეს სპეციალობების მიხედვით, ცენტრი ახდენს ვაკანსიების სელექცირებას პროგრამების მიხედვით და სტუდენტები ელ. ფოსტაზე იღებენ მხოლოდ მათი სპეციალობის შესაბამის ვაკანსიებს. ასევე, სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში გაზიარებულ ვაკანსიებშიც ვაკანსიის დასაწყისში „ჰეშთეგით“ არის მითითებული შესაბამისი ვაკანსიის სახელწოდება, რათა სტუდენტებისთვის მარტივი იყოს მათთვის სასურველი და საინტერესო ვაკანსიის პოვნა დაინტერესების შემთხვევაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრი მუდმივად გეგმავს და ატარებს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის რეზიუმეს მომზადებისა და | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ამომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ, მაგრამ აჯობებდა აღნიშნული ვაკანსიების გაზიარებისას გათვალისწინებულ ი იყოს მათი სპეციალობა და სფერო (დაფიქსირდა რომ ვაკანსიები მისდით ყველა სფეროდან, მათ შორის ისეთი სფეროებიდან, რაც შეიძლება მათთან კავშირში არ იყოს).<br>2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, უნივერსიტეტმა გაუზარდოს მოტივაცია სტუდენტებს, რომ მეტად იყვნენ ჩართული სტუდენტურ აქტივობებში. | ინტერვიუებისთვის სტუდენტთა მომზადების მიმართულებით. ამასთანავე, ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ კარიერულ კონსულტაციას, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად მიიღონ ინფორმაცია რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენის, გასაუბრებისთვის მომზადების, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა თუ სხვა კარიერული საკითხების შესახებ. კონსულტაციები ტარდება როგორც ფიზიკურად, ისე ონლაინ ფორმატში.<br>მომსახურების ცენტრი სტუდენტებისთვის პერიოდულად ატარებს  კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, სადაც სტუდენტები აფიქსირებენ მოთხოვნებს მათთვის საინტერესო და საჭირო აქტივობების შესახებ, ცენტრი მათი მოთხოვნების შესაბამისად გეგმავს შესაბამის ღონიძიებებს.<br>2. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი გარდა სტუდენტთა დასაქმებისა და კარიეული განვითარებისა ასევე, ხელს უწყობს სტუდენტთა სპორტული და კულტურული ცხოვრების განვითარებას და გეგმავს მათთვის სხვადასხვა სახის ექსტრაკურიკულურ აქტივობებს. ცენტრის ორგანიზებით იგეგმება ექსკურსიები და ლაშქრობები, იმართება ტრადიციული ღონისძიებები: welcome party, ახალი წლის  წვეულება და graduation. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და ექსტრაკურიკულარული საუნივერსიტეტო აქტივობების წახალისების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები. სტუდენტებს სემესტრულად | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ეძლევათ შესაძლებლობა გაწევრიანდნენ ან დააფუძნონ მათთვის საინტერესო სტუდენტური გაერთიანება. ცენტრი ყოველსემესტრულად ასევე უწევს ორგანიზებას სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების პროცესს. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | 1. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ისაუბრეს ერთ-ერთ ლექტორზე (კარლო კვიჟინაძე), აღინიშნა, რომ დასახელებული ლექტორი გვიან ტვირთავდა ბაზაში ქულებს, არ პასუხობდა ელ. ფოსტაზე შეტყობინებებს.<br>2. ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიმართ. მათი თქმით პრაქტიკის ობიექტზე სრულყოფილად ვერ გაიარეს პრაქტიკა პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგანაც ტურისტული კომპანიები ვერ ფუნქციონირებდნენ სრულფასოვნად. | 1. აღნიშნული საკითხების გამოვლენის შემდეგ პროგრამის ხელმძღვნელი შეხვდა ლექტორს და გაესაუბრა ყველა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრისას ხაზი გაესვა შუალედური და დასკვნითი შეფასებების ბაზაში დროულად ატვირთვის მნიშვნელობას, სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში კონსულტირების ვალდებულებას (მათ შორის სათანადო საკითხებთან დაკავშირებულ შეტყობინებებზე ელ. ფოსტის საშუალებით კომუნიკაციას და ა.შ.). როგორც გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ლექტორი მზად არის სათანადო თანამშრომლობისთვის, პროგრამის ხელმძღვანელი გააგრძელებს ამ საკითხის მოკვლევას შემდეგ ჯგუფებთან და დაკვირვებას.<br>2. ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ დაფიქსირებული კომენტარის საფუძველზე განხორციელდა საკითხის დეტალურად მოკვლევა. კერძოდ, მოხდა სტუდენტთან, პროგრამის ხელმძღვანელთნ, პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მენტორთან სატელეფონო გასაუბრება, რომლის დროსაც გამოიკვეთა, სტუდენტის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ პრაქტიკის ობიექტზე თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კომპონენტი არ | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 3. ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ ცდებოდა ლექციები და როდესაც აღდგენა ხდებოდა, არ იყო ნაყოფიერი, რადგან სტუდენტები თითქმის ვერ ესწრებოდნენ აღდგენებს.<br>4. მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ზოგი ლექტორის მიმართ, მაგალითად, თეა შაყულაშვილი. მათი თქმით, ლექტორს აკლდა თანმიმდევრულობა, იყო სუბიექტური, აცდენდა და აღდგენებს ნიშნავდა მაშინ, როდესაც სტუდენტებს სხვა ლექციები ჰქონდათ, რიგ შემთხვევაში გამოირჩეოდა სტუდენტების კითხვების მიმართ აგრესიით, არ ჰქონდა მიმღებლობა.<br>5. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორით | განორცეიელებულა ონლაინ, სტუდენტი პრქტიკის კომპონენტს გადიოდა სამუშაო გარემოში, მენტორი სტუდენტს ხვდებოდა ადგილზე და იგი უზრუნველყოფდა კომპონენტით განსაზღვრული საკითხების დეტალურად ახსნას, სტუდენტს აძლევდა შესაბამის დავალებებს, ამოწმებდა მის მიერ დავალებების შესრულების ხარისხს და აძლევდა უკუკავშირს, რასაც ადასტურებს სტუდენტის პრაქტიკის დღიური და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიში.<br>სტუდენტი თავისი უკმაყოფილების კიდევ ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ პანდემიური ვითარების და კლიენტთა არარსებობის გამო სასტუმრო სათანადოდ ვერ ფუნქციონირებდა, რის გამოც სტუდენტმა ვერ მოახერხა სამუშაო პროცესში რეალურად ჩართვა, თუმცა პრაქტიკის მენტორი უზრუნველყოფდა მისთვის ისეთი ტიპის დავალებების მიწოდებას, რომელთა შესრულების შედეგად სტუდენტი თავისუფლად შეძლებს რეალურ პროცესში აღნიშნულის განხორციელებას.<br>საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ ათვისებულ იქნა კომპონენტით განსაზღვრული ყველა საკითხი, რასაც ადასტურებს, როგორც სტუდენტი ისე პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი.<br>3. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განხორციელდა შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა დაგვიანებებისა და ლექციების გაცდენის საკითხები. აღსანიშნავია, რომ ლექციების ჩატარების საკითხი მუდმივად კონტროლდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ, ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველთვის ხდება გაცდენილი შეხვედრების აღდგენა ლექტორების | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უკმაყოფილების შემთხვევაში ჰქონიათ კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან, მაგრამ მაგრამ თვლიან, რომ არ მომხდარა სათანადო რეაგირება პრობლემის აღმოსაფხვრელად.<br>6. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იყო ლექციების გაცდენის შემთხვევები, აღდგენა ხდებოდა იმ დროს, როცა ლექტორისთვის იქნებოდა ხელსაყრელი, სტუდენტებთან არ თანხმდებოდა აღნიშნული, შესაბამისად, ემთხვეოდა სხვა ლექციებს ან სამუშაო დროს; დასახელდა ია აფთარაშვილის და ანი გვეტაძის შემთხვევები.<br>7. სტუდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება შემდეგი ლექტორების მიმართ: ესტატე ლელაშვილი, ნიტა ჭაბაშვილი, ბაკურ კოტეტიშვილი. ესტატე ლელაშვილისა და ნიტა ჭაბაშვილის შემთხვევაში | მხრიდან, ხდება სტუდენტებთან შეთანხმებაც აღდგენების დროს, თუმცა რთულია ამ შემთხვევაში თითოეული სტუდენტის ინტერესის გათვალისწინება, შესაბამისად ეთხოვათ ლექტორებს, მაქსიმალურად მოხდეს ლქციების შეთანხმებულ დროს ჩატარება, გასათვალისწინებელია ლექორთა მიერ გაცდენის საპატიო მიზეზების არსებობა და გარდაუვალი მდგომარეობა.<br>4. მასწავლებლის მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი გაესაუბრა დასახელებულ ლექტორს, ყურადღება გამახვილდა თითოეულ ჩამოთვლილ საკითხზე, კერძოდ, ლექტორს ეთხოვა, რომ გაცდენილი შეხვედრების აღდგენა დაგიეგმოს სტუდენტებთან შეთანხმებით, შეძლებისდაგვარად მათთვის ხელსაყრელ დროს. რაც შეეხება მიმღებლობის ნაწილს, აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნას ახსნილი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და ეთხოვა ლექტორს, გამოიჩინოს მეტი ყურადღება სტუდენტების მიმართ, ობიექტურობის ფარგლებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლექტორმა მიიღო რჩევები და მზადაა თანამშრომლობისთვის.<br>5. როგორც მოკვლევის შედეგად გაირკვა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს სტუდენტების მხრიდან პროგრამის ხელმძღვანელთან დაფიქსირდა უკმაყოფილება კონკრეტულ ლექტორთან (ნიტა ჭაბაშვილი) დაკავშირებით. მიზეზად დასახელდა ლექტორის ახსნის სტილი, ნაკლები მცდელობა დაეინტერესებინა სტუდენტები ლექციით, უკმაყოფილებას მოჰყვა რეაგირება, კერძოდ, მოხდა ლექციების მონიტორინგი. ასევე, მოხდა უნივერსიტეტში მოქმედი ტრენინგ-ცენტრის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგ-მოდულის „სტუდენტზე ორიენტირებული | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უკმაყოფილება უკავშირდებოდა იმას, რომ მათ ვერ დააინტერესეს სტუდენტები საგნით, ვერ მისცეს სათანადო მოტივაცია. რაც შეეხება ბაკურ კოტეტიშვილს, სტუდენტების თქმით აღნიშნულმა ლექტორმა სასწავლო კურსის დასაწყისში მხოლოდ პრეზენტაცია მოითხოვა სტუდენტებისგან და მოგვიანებით გაირკვა, რომ რეფერატიც უნდა წარმოედგინათ.<br>8. სამართლის, ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესის ადმისნიტრირების და ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები არ იცნობენ გასაჩივრების პროცედურებს; სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტები არ იცნობენ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და | სასწავლო პროცესის დაგეგმვა" ლექტორისთვის შეთავაზება, ლექტორმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით და დაესწრო ტრენინგ-მოდულს 2022 წლის 11 ივნისს. გამომდინარე იქედან, რომ უკმაყოფილება დაფიქსირდა სემესტრის მიმდინარეობისას, და ამასთანავე იყო სურვილი გაგრძელებულიყო დაკვირვება კომუნიკაციის შემდეგ, არ მოხდა ლექტორის ჩანაცვლება.<br>6. აღსანიშნავია, რომ ლექციების დაწყება-დასრულების დროები მუდმივად კონტროლდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მხრიდან. აღნიშნული უკუკავშირის შედეგად მოხდა თითოეულ ლექტორთან კომუნიკაცია. ორივე ლექტორის შემთხვევაში დადასტურდა, რომ ნამდვილად არსებობდა გაცდენის რამდენიმე შემთხვევა საპატიო მიზეზით, რაზეც ყოველთვის წინასწარ იყვენენ ინფორმირებულნი სტუდენტებიც. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად მოხდა გაცდენილი ლექციების აღდგენა, აღდგენის თარიღის შესახებ მუდმივად ხდება პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, ასევე, სტუდენტების ინფორმირება, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა რთულია თითოეული სტუდენტის ინტერესის გათვალისწინება. ლექტორებს ეთხოვათ მაქსიმალურად მოხდეს ლექციების დადგეგმილ დროს ჩატარება, რათა მოხდეს მსგავსი უკმაყოფლებების თავიდან აცილება, რაზეც მზაობა გამოთქვეს ლექტორებმა, გარდა რაიმე გამოუვალი მდგომარეობის არსებობის შემთხვევისა.<br>7. აღნიშნულ პუნქტში გამოკვეთილი საყურადღებო საკითხებიდან ერთ-ერთზე (ნაზი ჭაბაშვილის შემთხვევა) რეაგირება აღწერილია წინამდებარე ანგარიშის მე-5 პუნქტში, რაც შეეხება ესტატე | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მექანიზმებს; სამართლის საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას საკონსულტაციო საათებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ.<br>9. მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები აფიქსირებენ რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მხრიდან პასუხები არ იყო ამომწურავი, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მენეჯერი ყოველთვის არ ეხმარებოდა მათ პრობლემის გადაჭრაში.<br>10. ფსიქოლოგიის საბაკალვრო პროგრამის სტუდეტებს არ მოსწონთ ის ფაქტი, რომ არ არის მათ სურვილზე დამოკიდებული, რომელ პრაქტიკას გაივლიან (აღნიშნულ სტუდეტს სურდა კლინიკური ფსიქოლოგიის პრაქტიკის გავლა).<br>11. ფსიქოლოგიის საბაკალვრო | ლელაშვილის საკითხს, აღნიშნული უკუკავშირი გაჟღერდა პროგრამის ხელმძღვანელთან, რის შედეგადაც მოხდა ლექციებზე დასწრება და ლექტორთან კომუნიკაცია. აქაც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მის შემთხვევაშიც მოხდა ტრენინგ-მოდულის „სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა“ სარგებლობა. თუმცა სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ნამდვილად შეინიშნება სირთულეები მასალის ახსნის კუთხით და პროგრამის ხელმძღვანელის, კომიტეტის წევრებისა და დეკანის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ესტატე ლელაშვილის სხვა ლექტორით ჩანაცვლების შესახებ. მოხდა ახალი კადრის მოძიება, რომელმაც ჩაატარა საჩვენებელი ლექცია და აყვანილ იქნა მოწვეული ლექტორის პოზიციაზე, შემდეგი აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ის გაუძღვება სასწავლო კურსს „განწყობის ფსიქოლოგია“. აღნიშნულ პუნქტში შემდეგი საყურადღებო საკითხი უკავშირდებოდა ბაკურ კოტეტიშვილს. ლექტორს მიეცა უკუკაშირი, გამოკვეთილ საყურადღებო საკითხთან დაკავშირებით, ეთხოვა, რომ სასწავლო კურსის დასაწყისშივე მოხდეს სტუდენტების სრულფასოვნად ინფორმირება სილაბუსში გამოყენებული შეფასების სისტემის, შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია სილაბუსი სასწავლო პროცესის მიდინარეობის დროს და რეკომენდირებულია თავადაც სიღრმისეულად გაეცნონ შეფასების სისტემასა თუ სილაბუსის მათთვის მნიშვნელოვან სხვა დეტალს, აღნიშნულის შესახებ კომუნიკაცია განხორციელდა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროგრამის სტუდეტებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის შესახებ, განსაკუთრებით, კი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც პერიოდულად ხორციელდება. | სტუდენტებთანაც.<br>8. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის, საგამოცდო ცენტრის და ა.შ.) წარმომადგენელთან ერთად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობას. შეხვედრა ასევე ემსახურება უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტების, მნიშვნელოვანი რეგულაციებისა და წესების გაცნობას, სასწავლო და საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების, გასაჩივრების პროცედურების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურების გაცნობას, საკონსულტაციო საათებით სარგებლობის შესახებ, საკონსულტაციო ცხრილის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის მიწდებას და ა.შ. აღნიშნულ შეხვედრებზე დასწრება ნებაყოფლობითია და, როგორც წესი, არ ფიქსირდება სტუდენტთა მხრიდან დასწრების მაღალი მაჩვენებელი, შესაბამისად, ფაკულტეტის მხრიდან სტუდენტთა ინფორმირების გაზრდის მიზნით, სტუდენტებს დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ეცნობებათ, როგორც უნივერსიტეტის ელ. ფოსტის საშუალებით ასევე პირად მეილებზე და სატელეფონო კომუნიკაციის გზითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტები | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: https://eu.edu.ge/ge/legal-acts და შეხვედრის დროს სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ, იქვე ხდება დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის დემონსტრირება. საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო საათებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია შეტანილია თითოეულ სილაბუსში, რომელიც მიეწოდება სტუდენტს ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. ასევე, ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ ხდება საკონსულტაციო საათების განრიგის შედგენა ლექტორებთან შეთანხმებით და აღნიშნული განრიგი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განთავსებულია და ხელმისაწვდომი Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე: https://moodle.edu.ge/moodle/. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული შეხვედრები სტუდენტებთან ჩატარდა ფაკულტეტის ორგანიზებით 2021-2022 აკადემიურ წელსაც და ჩატარდება რეგულარულად ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, ასევე საკონსულტაციო საათების ცხრილი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განთავსებული იყო აღნიშნულ პლატფორმაზე 2021-2022 აკადემიურ წელსაც და განთავსდება ყოველსემესტრულად. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ყოველმხრივ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან კიდევ ერთხელ მოხდა ლექტორებთან თხოვნის სახით კომუნიკაცია, რათა მათ ლექციების ფარგლებში კვლავ გაამახვილონ ყურადღება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.<br>9. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მუდმივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და მზად არის გასცეს პასუხი სტუდენტთა მხრიდან დასმულ ნებისმიერ შეკითხვას, ასევე გაუწიოს მათ კონსულტაცია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, თუმცა რადგან სტუდენტების მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილება, მოხდა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან კომუნიკაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები მსგავსი შემთხვევების მაქსიმალურად გამორიცხვის მიზნით.<br>10. პროგრამის განხორციელების ფარგლებში მუდმივად ხდება პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის გაფართოვება. 2021-2022 აკადემიურ წელს პრაქტიკის განხორციელების ობიექტებს დაემატება ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, სადაც ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ კლინიკური ფსიქოლოგიის პრაქტიკული კომპონენტი.<br>11. 2022 წლის 3 ოქტომბერს ჩატარდა ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და სხვა ყველა ჩართული მხარის შეხვედრა პირველკურსელ სტუდენტებთან. შეხვედრისას მათ ეცნობათ ყველა ის შინაარსობრივი თუ ტექნიკური საკითხი, რომელიც პროგრამის განხორიელებასთანაა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | დაკავშირებული. გარდა ამისა, 7 ოქტომბერს ჩატარდა შეხვედრა პროგრამის სხვა კურსის სტუდენტებთან, სადაც მოხდა მათთვის ყველა იმ ცვლილების გაცნობა, რაც ბოლო პერიოდში განხორციელდა პროგრამასა და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, მათ შორის მოხდა კომპეტენციების ზღვრებთან დაკავშირებული ცვლილებების გაცნობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული სასწავლო წლის განმავლობაში სემესტრში მინიმუმ სამჯერ დაიგეგმა და ჩატარდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის პროგრამის ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთან შეხვედრა პროგრამებთან თუ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ინფომრაციის მიწოდების მიზნით, თუმცა სტუდენტების დასწრებისა და აქტიურობის მაჩვენებელი იყო საკმაოდ დაბალი, რაც ხშირად აფერხებს ინფორმაციის სათანადოდ გავრცელების პროცესს. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების თქმით, უნივერსიტეტის სასწავლო ბაზაში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის არასწორად მითითებული და ვერ იგებენ, რა თანხა აქვთ გადასახდელი, რაც მათ ხშირად პრობლემას უქმნით. | მოხდა საკითხის სტუდენტებთან გავლა და განისაზღვრა გვერდის უფრო მარტივად წაკითხვის გზა. სტუდენტის გრაფიკი რექტორის ბრძანების თანახმად განაწილებული იყო წლიური გადასახადის 1/10 გადახდით, რეალურად გადასახადი ბუღალტრულად ირიცხება გაწეული მომსახურების მიხედვით. შედეგად, ფინანსური დავალიანების შესახებ ფინანსური სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია და ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის გვერდზე დავალიანების შესახებ ასახული თანხა ფიქსირდებოდა სხვადასხვა. განხორციელდა ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და მოცემულ მომენტში სტუდენტის გვერდზეც სემესტრის საერთო ვადის მიხედვით თვის | ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | განმავლობაში გადასახდელი თანხა ზუსტად ემთხვევა ბუღალტრულად დარიცხულ თანხას. | |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები | 2021-2022 აკადემიური წელი | ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ სტუდენტები არ იღებენ მონაწილეობას გამოკთხვებში, ასევე, ბიზნესის ადმისნიტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სემესტრის განმავლობაში ეგზავნებათ ძალიან ბევრი ვრცელი კითხვარი, რომლის შევსების დროც არ აქვთ და აქვთ სურვილი კითხვარები შემცირდეს (იყოს უფრო ცოტა კითხვა), ასევე, სემესტრში მხოლოდ ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ გაზიარდეს კითხვარი. | 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩაშვებულ გამოკითხვებში სტუდენტთა დაბალი აქტივობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რის გასაუმჯობესებლადაც სამსახური მუდმივად მუშაობს, კერძოდ, ხდება სტუდენტებთან შეხვედრებზე ყურადღების გამახვილება იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი შეფასებებისა და მოსაზრებების მიღება პროცესების გაუმჯობესებისთვის. მოტივაციის გასაზრდელად მიეწოდებათ ინფორმაცია, მაგალითები, შემთხვევები შეფასებების საფუძველზე უკვე განხორციელებული რეაგირებების შესახებ. განხორციელებული რეაგირებების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემას დაემატა ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს შეფასებების საფუძველზე გადადგმული ნაბიჯების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებების („მესიჯ-ბოქსების“) სახით ეკრანზე ინფორმაციის გამოტანას სტუდენტისა თუ პერსონალის ბაზაში შესვლის მომენტში. შედეგად სტუდენტებს ბაზაში შესვლისთანავე გამოუჩნდებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები იმასთან დაკავშირებით თუ რა ცვლილებები განხორციელდა მათ მიერ გამოკითხვებისას დაფიქსირებული რეკომენდაციების საფუძველზე, აღნიშნული მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ კითხვარების შევსების მოტივაციის ამაღლებას. სამსახური იმედოვნებს, რომ მიწოდებული ინფორმაცია და მაგალითები მათ თვალნათლივ დაანახებს, რომ დაფიქსირებული | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მოსაზრება თუ რეკომენდაცია არ რჩება უყურადღებოდ.<br>2. ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივად ხდება არსებული კითხვარების გადახედვა, შესაძლებლობის ფარგლებში გამარტივება, თუმცა მეტწილად გადახედვის პროცესი ემსახურება მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდასა და მეტად ღირებული შედეგების ამოღების მიზანს. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე 2020-2021 აკადემიურ წელს გარკვეული ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, მაგალითად, განახლდა სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარები, მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის მიზნით შემუშავებული კითხვარები, დაინტერესებული მხარეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარები. კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო ვითარდება მუდმივად, როგორც უკვე აღინიშნა, მეტწილად მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდისა და მეტად ღირებული შედეგების ამოღების მიზნით. | |
| საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | - | - | - |
| საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | საერთო ჯამში, სტუდენტები ყველა პარამეტრით კმაყოფილებას | სამსახურმა უკვე გასწია შესაბამისი სამუშაოები და 2022-2023 აკადემიურ წელს ხელმისაწვდომი იქნება სრულად დაფინანსებული | ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კმაყოფილების კვლევა | | გამოთქვამენ საერთაშორისო აკადემიური მობილობის შესახებ. ერთადერთი, გამოთქვამენ სურვილს, უნივერსიტეტმა შესთავაზოს გარკვეული გაცვლითი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება დაფინანსებით. | საერთაშორისო მობილობა არაერთი მიმართულებით.<br>2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედისოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებისათვის გამოცხადდა სრულად დაფინანსებული ერაზმუს+ მობილობის კონკურსები შემდეგი მიმართულებებით: ტოკატ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტი (თურქეთი) და მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი).<br>კონკურსის შედეგად გამოვლინდა 2 გამარჯვებული სტუდენტი.<br>კერძოდ, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები, ფარაჰ მოამარ იბრაჰიმ ალ ჯეფუტი და ფეირუზ ახმად ხასანი, მასარიკის უნივერსიტეტსა (ჩეხეთი) და ტოკატ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტში (თურქეთი) გაემგზავრებიან.<br>აღნიშნული სტუდენტები ერაზმუს+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობას სრული დაფინანსებით შეძლებენ, რაც გულისხმობს უფასო სწავლას, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასა და ყოველთვიურ სტიპენდიას.<br>გარდა ამისა, ერაზმუს+ კრედიტების საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს ევროპის უნივერსიტეტმა არაერთი ერთობლივი განაცხადი მოამზადა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.<br>შედეგები 2023 წლის ზაფხულისთვის იქნება ცნობილი.<br>მომზადებული განაცხადების რაოდენობიდან (51) გამომდინარე, არსებობს დიდი მოლოდინი სრულად დაფინანსებული მობილობის როგორც მიმართულებების გამრავალფეროვნების, ისე, | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანის გაფართოების. | |
| მობილობით გადასული სტუდენტების გამოკითხვა - ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | 2021-2022 აკ. წელი, შემოდგომის სემესტრი | კარიერული განვითარების ხელშეწყობა, შექმნილი შესაძლებლობების შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირება | ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი სტუდენტთა საჭიროების კვლევას აწარმოებს სემესტრულად. აღნიშნულ კვლევაში, სტუდენტები კარიერული განვითარების მიმართულებით, მათთვის საინტერესო საჯარო ლექციების, ვორქშოფებისა და მასტერკლასების მოთხოვნებს აფიქსირებენ. ცენტრმა სტუდენტთა საჭიროების კვლევის შედეგად გამოკვეთილი მოთხოვნების შესაბამისი საჯარო ლექციების სერია დაგეგმა, მაგალითისთვის, დაგეგმილა კარიერული მასტერკლასი: "LinkedIn პლატფორმის მექანიზმები დასაქმების პროცესში და ეფექტური რეზიუმეს ფორმატი", „როგორ გავხდე წარმატებული ვებ-დეველოპერი“ და ა.შ. მომსახურების ცენტრი ყოველთვიურად სთავაზობს სტუდენტებს ინდივიდუალური კარირული კონსულტაციის სერვისს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კარიერული კონსულტაციის ინდივიდუალური სერვისი. რეზიუმეს შედგენის, გასაუბრებისთვის მომზადების, სამოტივაციო წერილის მომზადებისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებებით. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის საანგარიშო პერიოდში კარიერული კონსულტაცია გაეწია 36 სტუდენტს. მომსახურების ცენტრი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს საქართველოში არსებული კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელ კომპანიებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარებისა და | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გაღრმავების მიმართულებით და ამ ეტაპზე ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორთა რიცხვი ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიმართულებთ შეადგენს 35 კომპანიას, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტების პოტენციურ დამსაქმებლებს წარმოადგენს.<br>მომსახურების ცენტრი სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს უწყვეტ რეჟიმში უზიარებს ვაკანსიებს დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის საანგარიშო პერიოდში, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გაზიარდა ჯამში 99 ვაკანსია დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით.<br>შეიქმნა LinkedIn საკომუნიკაციო პლატფორმა, რომელზეც ცენტი ეტაპობრივად უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რეგისტრაციას. აღნიშნული პლატფორმა ვფიქრობთ, მეტად ეფექტური იქნება სტუდენტთა უკეთ დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. | |
| მობილობით გადასული სტუდენტების გამოკითხვა - ბიზნესისა და ტექნოლოგიები ს ფაკულტეტი | 2021-2022 აკ. წელი, გაზაფხული ს სემესტრი | კარიერული განვითარების ხელშეწყობა, შექმნილი შესაძლებლობების შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირება | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ თავისი სტანდარტული საქმიანობის ფარგლებში კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით რეგულარულად განხორციელებული აქტივობების (სტუდენტთა საჭიროების კვლევა და აღნიშნულ კვლევაში, სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით, მათთვის საინტერესო საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩატარება, სტუდენტებისთვის ინდივიდუალური კარირული კონსულტაციის სერვისის | სტუდენტთა და კურსდამთავრებ ულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შეთავაზება, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის უწყვეტ რეჟიმში დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით ვაკანსიების გაზიარება და ა.შ.) გარდა მომსახურების ცენტრმა შეიმუშავა სტუდენტებთან გაზიარებული ვაკანსიების მონიტორინგის მექანიზმიც, კერძოდ, კვარტალში ერთხელ ცენტრი დაუკავშირდება იმ კომპანიას, რომელშიც გადაიგზავნა სტუდენტების/ კურსდამთავრებულების რეზიუმეები და გამოითხოვს ინფორმაციას არსებული შედეგების შესახებ. მონიტორინგის შედეგად, აგრეთვე დაიდენტიფიცირდება მიზეზები, თუ რატომ ეთქვათ უარი შეთავაზებულ კანდიდატებს კონკრეტულ ვაკანსიაზე. ბოლო კვარტალში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კონკრეტულ კომპანიებში ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების უნარები და კომპეტენციები თანხვედრაშია ამა თუ იმ პოზიციისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან, თუმცა ვერ ხერხდება დროის შეთავსება სტუდენტთა დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე. დამსაქმებლებთან ურთიერთობის გაძლიერებისა და არსებულ პარტნიორებთან სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დაკავშირების, მათი უკეთ დასაქმების მიზნით, წინა საანგარიშო პერიოდის შემდგომ მომსახურების ცენტრმა შემიმუშავა ახალი ფორმატები. კერძოდ: პარტნიორი კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელთა და პარტნიორი კომპანიების ხელმძღვანელ პირთა შეხვედრები სტუდენტებთან. პირველ შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | თანამშრომლები სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს აწვდიან ინფორმაციას მათ კომპანიაში არსებული კონკრეტული ვაკანსიების შესახებ, ხოლო კომპანიების ხელმძღვანელები ესაუბრებიან დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და დარგის სპეციფიკაზე. აგრეთვე, პასუხობენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ გაჟღერებულ კითხვებზე.<br>აღნიშნული ფორმატები, ერთი მხრივ, ეფექტურია დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით, მეორე მხრივ კი სტუდენტებს ეხმარება პიროვნულ და კარიერულ განვითარებაში.<br>მომსახურების ცენტრმა ასევე მოახდინა სტუდენტთათვის შეთავაზებული კარიერული მომსახურების დივერსიფიკაცია, უნივერსიტეტის პოტენციური დამსაქმებლების და პარტნიორების უმრავლესობა განეკუთვნებოდა სამედიცინო/ სტომატოლოგიურ სფეროებს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშავა და სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პოტენციური დამსაქმებლების და პარტნიორების რიცხვი 106-დან 310-მდე გაზარდა. | |
| მობილობით გადასული სტუდენტების გამოკითხვა - ბიზნესისა და ტექნოლოგიები ს ფაკულტეტი | 2021-2022 აკ. წელი, შემოდგომის სემესტრი | სასურველია, სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა კვლევით აქტივობებში, მათი მეტად დაინტერესება აღნიშნულით. | სტუდენტებთან მუდმივად ზიარდება და მიმდინარე აკადემიურ წელსაც გაზიარდა ინფორმაცია რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციის შესახებ;<br>სისტემატიურად ზიარდება ინფორმაცია ახალგაზრდა მკვლევრების საგრანტო კვლევითი კონკურსების შესახებ.<br>ამასთანავე, ფაკულტეტის მიერ ხდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდა კონკურსის გამოცხადება და კონკურსის ფარგლებში წარდგენილი განაცხადის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსება. კვლევითი პროექტის | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა პროექტში სტუდენტების ჩართულობის საკითხს, პროექტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია: „პროექტი ხელს უწყობს სტუდენტების და/ან ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში“.<br>მაგალითად, შიდა კვლევითი პროექტის „სისხლძარღვშიდა და სისხლძარღვთა ფაქტორების კომპლექსური შესწავლა ახალგაზრდებში სისხლის დენადობის დადგენის მიზნით" განხორციელებაში ჩართული იყო მედიცინის ფაკულტეტის სამი სტუდენტი. პროექტის მონაწილე სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული კვლევის მეთოდის შექმნასა და დახვეწაში.<br>შიდა კვლევითი პროექტის „ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი აქტიური ტუბერკულოზის განვითარებაში” განხორციელებაში ჩართული იყო მედიცინის ფაკულტეტის ორი სტუდენტი.<br>შიდა კვლევითი პროექტის „უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება“ განხორციელებაში ჩართული იყო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ერთი სტუდენტი. | |
| მობილობით გადასული სტუდენტების გამოკითხვა - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი | 2021-2022 აკ. წელი, შემოდგომის სემესტრი | 1. სასურველია, ყურადღება გამახვილდეს თვითგანვითარების შესაძლებლობებზე, მოხდეს საჯარო ლექციებისა და სტუდენტების პროფესიული და კარიერული | 1. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი სტუდენტთა საჭიროების კვლევას ატარებს სემესტრულად. აღნიშნულ კვლევაში, სტუდენტები მათთვის საინტერესო საჯარო ლექციების, ვორქშოფებისა და მასტერკლასების საკითხებს აფიქსირებენ. ცენტრმა სტუდენტთა საჭიროების კვლევის | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ სტუდენტთა მეტად ინფორმირება და აღნიშნულ აქტივობებში მათი ჩართულობის მეტად უზრუნველყოფა.<br>2. სასურველია სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა. | შედეგად გამოკვეთილი მოთხოვნების შესაბამისი, საჯარო ლექციების სერია დაგეგმა, მაგალითისთვის, დაგეგმილა კარიერული მასტერკლასი: "LinkedIn პლატფორმის მექანიზმები დასაქმების პროცესში და ეფექტური რეზიუმეს ფორმატი", „როგორ გავხდე წარმატებული ვებ-დეველოპერი“ და ა.შ.<br>მომსახურების ცენტრი ყოველთვიურად სთავაზობს სტუდენტებს ინდივიდუალური კარირული კონსულტაციის სერვისს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კარიერული კონსულტაციის ინდივიდუალური სერვისი. რეზიუმეს შედგენის, გასაუბრებისთვის მომზადების, სამოტივაციო წერილის მომზადებისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებებით. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის საანგარიშო პერიოდში კარიერული კონსულტაცია გაეწია 36 სტუდენტს.<br>მომსახურების ცენტრი სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს უწყვეტ რეჟიმში უზიარებს ვაკანსიებს დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის საანგარიშო პერიოდში, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გაზიარდა ჯამში 99 ვაკანსია დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით.<br>2. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრმა საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტური ცხოვრების გააქტიურებისა და სტუდენტური აქტივობების წახალისების მიზნით გამოაცხადა სტუდენტური კლუბების რეგისტრაცია, რომლის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ფარგლებშიც საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებული რვა ახალი სტუდენტური  კლუბი შეიქმნა. ამავდროულად, უნივერსიტეტში მომსახურების ცენტრმა შექმნა სტუდენტური კლუბების საერთო სივრცე, რომელიც კლუბების საჭიროებების მიხედვით მოეწყო. აღსანიშნავია, რომ გამოიყო კლუბების დაფინანსების ბიუჯეტი, რომელიც მოხმარდება სტუდენტური კლუბების განვითარებას. დაგეგმილია შიდასაუნივერსიტეტო ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?. აღნიშნული ღონისძიების პარალელურად, მოხდება სტუდენტური სივრცის გახსნა. | |
| დასკვნითი გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | 1. საგამოცდო ცხრილის ორგანიზების საკითხები, სასწავლო კურსების დამთხვევის შემთხვევები.<br>2. გამოცდის თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტთა ინფორმირების საკითხი. | 1. სტუდენტებს 2 კვირით ადრე ეტვირთებათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში- ბაზაში ცხრილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც საგამოცდო ცენტრი ბაზაში ცხრილის ატვირთვის დროს ხედავს საგნებს შორის დამთხვევის შემთხვევებს, რაზეც უკვე დაუყოვნებლივ ხდება რეაგირება და პრობლემის მოგვარება.<br>2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას აღნიშნულთან დაკავშირებით დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია, რომლის დროსაც საგამოცდო ცხრილის ცვლილების, კერძოდ კი, კონკრეტული სასწავლო კურსის გამოცდის თარიღის ბაზაში შეცვლის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, ყველა შესაბამის სტუდენტთან ბაზიდან ავტომატურად დაუყოვნებლივ იგზავნება აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია, როგორც ელ. ფოსტაზე, ისე, მობილურ | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ტელეფონებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით. | |
| დასკვნითი გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | 1. სტუდენტთა კომენტარები და უკმაყოფილება უკავშირდებოდა საგამოცდო დავალებების შედგენის საკითხს არა სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის მიერ, არამედ საგამოცდო დავალებებზე მომუშავე ჯგუფის მიერ, რომელთაც მათი შეფასებით არ აქვთ შესაბამისი სამედიცინო ცოდნა.<br>2. სტუდენტთა კომენტარები ასევე უკავშირდებოდა საგამოცდო საკითხების სასწავლო კურსის შინაარსთან, განვლილ მასალასთან შესაბამისობას. | 1. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და გამოცდილების მქონე პერსონალისგან. უნდა აღინიშნოს, რომ შეიცვალა ჯგუფის ფუნქციები და საგამოცდო საკითხების შეგდენა ხდება თავად განმახორციელებელი პერსონალის მიერ, ხოლო საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი უზრუნველყოფს მხოლოდ საგამოცდო დავალებების სტანდარტიზებას, კერძოდ, ერთი სირთულის დავალებებით დაკომპლექტებული საგამოცდო საკითხების უზრუნველყოფას ყველა ჯგუფის სტუდენტებისათვის. სხვადასხვა ჯგუფის ლექტორების მიერ ხდება საგამოცდო საკითხების გაზიარება საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფისთვის, ჯგუფი აერთიანებს, მათგან შეარჩევს საგამოცდო საკითხებს და ადგენს ერთიდაიგივე სირთულის მქონე რამდენიმე საგამოცდო ვერსიას, რაც უზრუნველყოფს მიღებული ცდონისა და უნარების სტანდარტულ შეფასებას ყველა სტუდენტისა და ჯგუფისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯგუფის მიერ შედგენილი საგამოდო ფურცლები ეგზავნება სასწავლო კურსის განამხორციელებელ ყველა პერსონალს, სილაბუსისა და შესაბამისად განვლილი მასალისა და თემატიკის მათი მხრიდან დადასტურების მიზნით, რაც გამორიცხავს საგამოცდო საკითხებში ისეთი დავალებების შეტანას, რაც არ არის დაფარული სასწავლი კურსის მსვლელობისას. აღნიშნული მიდგომა ვრცელდება ინტეგრირებულ საბაზისო სასწავლო | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | კურსებზე.<br>2. სტუდენტების მხრიდან მიღებული შეფასებების საფუძველზე, სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვალა ჯგუფის ფუნქციები და როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო საკითხების შედგენა ხდება თავად სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. ჯგუფი მხოლოდ აერთიანებს, მათგან შეარჩევს საგამოცდო საკითხებს და ადგენს ერთიდაიგივე სირთულის მქონე რამდენიმე საგამოცდო ვერსიას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფს მიღებული ცდონისა და უნარების სტანდარტულ შეფასებას ყველა სტუდენტისა და ჯგუფისთვის. სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფის მიერ შედგენილი საგამოდო ფურცლები ეგზავნება სასწავლო კურსის განამხორციელებელ ყველა პერსონალს, სილაბუსისა და შესაბამისად განვლილი მასალისა და თემატიკის მათი მხრიდან დადასტურების მიზნით, რაც გამორიცხავს საგამოცდო საკითხებში ისეთი დავალებების შეტანას, რაც არ არის დაფარული სასწავლო კურსის მსვლელობისას. | |
| | | განსხვავებულად ასწავლიდა და გამომცდელი განსხვავებულად ითხოვდა დავალების შესრულებას.<br>2. გასაუმჯობესებელ მხარედ სტუდენტის მიერ დასახელდა ოსკის გამოცდაზე კონკრეტული დავალებისთვის დათმობილი დროის გაზრდის საკითხი. მისი მოსაზრებით დავალების შესასრულებლად განკუთვნილი დრო ოსკის გარკვეულ სადგურებზე არ იყო საკმარისი.<br>3. შეფასების შედეგად გამოიკვეთა გამომცდელების მიერ სამართლიანი დამოკიდებულები სა და მშვიდი საგამოცდო გარემოს შექმნის საკითხი.<br>4. ერთ-ერთი სტუდენტის კომენტარი ეხებოდა სადგურებზე დავალების შესასრულებად საჭირო ხელსაწყოების, მულაჟების განახლების საკითხს. | სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სადგურზე შესასრულებელი დავალების სირთულისა და შესასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.<br>შესაძლებელია ერთეული სტუდენტისთვის დრო არ იყოს საკმარისი კონკრეტულ სადგურზე, თუმცა დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმრავლესობა განკუთვნილზე ადრე ასრულებდა დავალებას და უწევდა სადგურზე დაყოვნება დროის ამოწურვამდე.<br>ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელსაც ოსკის გამოცდებთან დაკავშირებულ სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად დაევალა თითოეულ სადგურზე შესასრულებელი დავალებებისა და მათ შესასრულებლად განსაზღვრული დროის დამატებით შეფასება, დაკვირვების განხორციელება და შესაბამისად რეაგირება (დავალებებისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება) საჭიროების შემთხვევაში.<br>3. კომენტართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა გამომცდელების ჯგუფი. მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის წევრები ჩაიბარებენ ოსკის გამოცდას, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი და ტენდენციურობა. მოხდა მათი სათანადო ტრეინინგებით უზრუნველყოფა. გამომცდელების ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა მათი მხრიდან სტუდენტებისათვის და სიმულაციური ცენტრისათვის უკუკავშირის მიწოდების ვალდებულებაც. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ოსკის საგამოცდო ფურცლების რევიზიაზე, რაც კიდევ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | უფრო გაზრდის გამოცდების ობიექტურად შეფასების ხარისხს.<br>4. თითოეულ სადგურზე დავალებების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები და აღჭურვილობა, მათი სათანადოდ გამართულობის საკითხი მუდმივად მოწმდება სიმულაციური ცენტრის მიერ. მიღებული შეფაბებების საფუძველზე მოხდა ტექნიკოსის გამოძახება, რომელმაც გადაამოწმა გარკვეული აპრატურის გამართულობა და რიგ შემთხვევებში (მაგ. წნევის აპარატების შემთხვევაში) საჭიროებისამებრ მოხდა მათი შეკეთება.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე აკადემიურ წელს მოხდა მულაჟების განახლება, შეკვეთის მიღება და ყველა მწყობრიდან გამოსული მულაჟი შეცვლილია ახლით.<br>დამატებით აღვნიშნავთ, რომ დაფიქსირებულ კომენტართან დაკავშირებით აუცილებლად მოხდება ყურადღების გამახვილება და როგორც ყოველთვის გამოცდამდე გადამოწმდება ხელსაწყოების გამართულობის საკითხი, რათა გამოცდაზე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ ყველა საჭირო და გამართული აღჭურვილობით. | |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. გამოცდის თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტთა ინფორმირების საკითხი. დაფიქსირდა სურვილი იმის შესახებ, რომ გამოცდის თარიღის ცვლილების შემთხვევაში შეტყობინება | 1. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას აღნიშნულთან დაკავშირებით დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია, რომლის დროსაც საგამოცდო ცხრილის ცვლილების, კერძოდ კი, კონკრეტული სასწავლო კურსის გამოცდის თარიღის ბაზაში შეცვლის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, ყველა შესაბამის სტუდენტთან ბაზიდან ავტომატურად დაუყოვნებლივ იგზავნება აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია, როგორც ელ. ფოსტაზე, ისე, მობილურ | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიიღონ სტუდენტებმა აღნიშნულთან დაკავშირებით, რათა არ იყოს საჭირო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ბაზაში თარიღების მუდმივად გადამოწმება.<br>2. გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო დავალებების პასუხების გავრცელება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ სრული უკუკავშირი დაშვებული შეცდომებისა და მიღებული შეფასებების შესახებ. | ტელეფონებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით.<br>2. კომენტართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესით დადგენილი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. უნდა ითქვას, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ უფლებასა და შესაძლებლობას და მომართვის შემთხვევაში ნახულობენ თავიანთ ნაშრომებსა და მიღებულ შეფასებებს, უკუკავშირებს. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დიდი მომართვიანობის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი აწყობს ცალკე აუდიტორიასაც, სადაც სტუდენტებს დადგენილი ვადების განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ ცენტრს და ისარგებლონ ნაშრომების ნახვის მათთვის მინიჭებული უფლებით. სტუდენტის სურვილის შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და განხილვის პროცესს ესწრება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ და ზოგადად საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ საგამოცდო ცენტრის მიერ სხვადასხვა გზითა და საშუალებების გამოყენებით:<br>ა. საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ესწრება სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც განიხილავს საგამოცდო ცენტრის ფუნქციებს, აწვდის ინფორმაციას მათ საკონტაქტო ელ. ფოსტის შესახებ, განიხილავს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებსა და დაკავშირებულ პროცედურებს.<br>ბ. სტუდენტებთან მუდმივად (შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდის წინ) იგზავნება წერილები ელ. ფოსტის საშუალებით საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, წერილში გამახვილებულია ყურადღება სტუდენტების ვალდებულებებსა და უფლებებზე, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე და დაკავშირებულ პროცედურებზე.<br>გ. საგამოცდო ფურცლებზე, პირველ გვერდზე დატანილია ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც უკავშირდება სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებს, გამოცდებზე ქცევის წესებს და ა.შ. გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი საკითხის საპასუხოდ საგამოცდო ცენტრის მიერ კვლავ გაიგზავნა წერილები სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტუდენტების მიერ საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე. როგორც გასული მიმოწერისას, ისე ახლაც, წერილის მეშვეობით ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. ზემოაღნიშნული მიმართულებით მუდმივად გაგრძელდება ცენტრის მიერ მუშაობა. | |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტთა კომენტარები კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში უკავშირდებოდა საგამოცდო საკითხების სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ დავალებებთან ანდა განვლილ მასალასთან შესაბამისობას. შესაბამისად, სტუდენტები აფიქსირებენ სურვილს, რომ საგამოცდო საკითხების შედგენა მოხდეს თავად ლექტორების მიერ. | მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და გამოცდილების მქონე პერსონალისგან. უნდა აღინიშნოს, რომ შეიცვალა ჯგუფის ფუნქციები და საგამოცდო საკითხების შეგდენა ხდება თავად განმახორციელებელი პერსონალის მიერ, ხოლო საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი უზრუნველყოფს მხოლოდ საგამოცდო დავალებების სტანდარტიზებას, კერძოდ, ერთი სირთულის დავალებებით დაკომპლექტებული საგამოცდო საკითხების უზრუნველყოფას ყველა ჯგუფის სტუდენტებისათვის. სხვადასხვა ჯგუფის ლექტორების მიერ ხდება საგამოცდო საკითხების გაზიარება საგამოცდო საკითხებზე მომუშავე ჯგუფისთვის, ჯგუფი აერთიანებს, მათგან შეარჩევს საგამოცდო საკითხებს და ადგენს ერთიდაიგივე სირთულის მქონე რამდენიმე საგამოცდო ვერსიას, რაც უზრუნველყოფს მიღებული ცდონისა და უნარების სტანდარტულ შეფასებას ყველა სტუდენტისა და ჯგუფისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯგუფის მიერ შედგენილი საგამოდო ფურცლები ეგზავნება სასწავლო კურსის განამხორციელებელ ყველა პერსონალს, სილაბუსისა და შესაბამისად განვლილი მასალისა და თემატიკის მათი მხრიდან დადასტურების მიზნით, რაც გამორიცხავს საგამოცდო საკითხებში ისეთი დავალებების | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შეტანას, რაც არ არის დაფარული სასწავლი კურსის მსვლელობისას. აღნიშნული მიდგომა ვრცელდება ინტეგრირებულ საბაზისო სასწავლო კურსებზე. სტუდენტების მხრიდან მიღებული შეფასებების საფუძველზე, სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვალა ჯგუფის ფუნქციები და როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო საკითხების შედგენა ხდება თავად სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. ჯგუფი მხოლოდ აერთიანებს, მათგან შეარჩევს საგამოცდო საკითხებს და ადგენს ერთიდაიგივე სირთულის მქონე რამდენიმე საგამოცდო ვერსიას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფს მიღებული ცდონისა და უნარების სტანდარტულ შეფასებას ყველა სტუდენტისა და ჯგუფისთვის. სილაბუსისა და სასწავლო კურსის თემატიკასთან საგამოცდო საკითხების შესაბამისობის სრულად უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფის მიერ შედგენილი საგამოდდო ფურცლები ეგზავნება სასწავლო კურსის განამხორციელებელ ყველა პერსონალს, სილაბუსისა და შესაბამისად განვლილი მასალისა და თემატიკის მათი მხრიდან დადასტურების მიზნით, რაც გამორიცხავს საგამოცდო საკითხებში ისეთი დავალებების შეტანას, რაც არ არის დაფარული სასწავლი კურსის მსვლელობისას. | |
| ოსკის (OSCE) გამოცდებით სტუდენტებისა და გამომცდელების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხული ს სემესტრი | 1. სტუდენტების მიერ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ლექტორი შეძლება განსხვავებულად ასწავლიდეს კონკრეტული | 1. საკითხი ჩაითვალა საყურადღებოდ ფაკულტეტის მიერ და განხორციელდა გარკვეული რეაგირებები, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით, კერძოდ, საჭიროდ ჩაითვალა სწავლების და შესაბამისად შემდეგ შეფასების პროცესის | მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დავალების შესრულებას.<br>2. ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დასახელდა ოსკის გამოცდაზე კონკრეტული დავალებისთვის დათმობილი დროის გაზრდის სურვილი. მისი მოსაზრებით დავალების შესასრულებლად განკუთვნილი დრო ოსკის გარკვეულ სადგურებზე არ იყო საკმარისი.<br>3. დაფიქსირდა ერთ-ერთი სტუდენტის სურვილი იმის შესახებ, რომ მუდლის პლატფორმაზე მოხდეს ოსკის საგამოცდო ცხრილების ატვირთვა. | სტანდარტიზება, ამისათვის შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს რეგულარულ შეხვედრებს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან, გამომცდელებთან, შეხვედრებს ფარგლებში ხდება სხვადასხვა სტანდარტიზებული სასწავლო მასალის, მათ შორის, პრეზენტაციების, ვიდეო რგოლების და ა.შ. გაზიარება, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან გარკვეული პროცედურების ჩატარების სტანდარტულად სწავლებასა და შეფასებას.<br>2. კომენტართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეულ სადგურზე სტუდენტისთვის მიცემული დრო ფასდება და განისაზღვრება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სადგურზე შესასრულებელი დავალების სირთულისა და შესასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.<br>შესაძლებელია ერთეული სტუდენტისთვის დრო არ იყოს საკმარისი კონკრეტულ სადგურზე, თუმცა დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმრავლესობა განკუთვნილზე ადრე ასრულებდა დავალებას და უწევდა სადგურზე დაყოვნება დროის ამოწურვამდე.<br>ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელსაც ოსკის გამოცდებთან დაკავშირებულ სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად დაევალა თითოეულ სადგურზე შესასრულებელი დავალებებისა და მათ შესასრულებლად განსაზღვრული დროის დამატებით შეფასება, დაკვირვების განხორციელება და შესაბამისად რეაგირება (დავალებებისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება) | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საჭიროების შემთხვევაში.<br>3. კომენტართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო ცხრილები იტვირთება არა მუდლის პლატფორმაზე, არამედ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, სავარაუდოდ ოსკის საგამოცდო ცხრილის ელექტრონულად ატვირთვის სურვილიც უკავშირდება სწორედ აღნიშნულ ბაზაში ცხრილის ატვირთვას (რომელიც სხვა საგამოცდო ცხრილებისგან განსხვავებით ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდებოდა სტუდენტებს). გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული სურვილის საპასუხოდ მოხდა რეაგირება, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გაჩნდა ოსკის ცხრილის ატვირთვის შესაძლებლობა და შესაბამისად, ოსკის გამოცდების ცხრილი, ისევე როგორც სხვა საგამოცდო ცხრილები უკვე იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ბაზაში. | |
| ოსკის (OSCE) გამოცდებით სტუდენტებისა და გამომცდელების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. სტუდენტების მიერ გამოითქვა სურვილის იმის შესახებ, რომ ოსკის გამოცდა ჩაბაროს სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს, რადგან სხვადასხვა ლექტორი შეძლება განსხვავებულად ასწავლიდეს კონკრეტული დავალების შესრულებას, შესაბამისად, შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა ლექტორმა განსხვავებულად ასწავლა ხოლო გამომცდელმა | 1. საკითხი ჩაითვალა საყურადღებოდ ფაკულტეტის მიერ და განხორციელდა გარკვეული რეაგირებები, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით, კერძოდ, საჭიროდ ჩაითვალა სწავლების და შესაბამისად შემდეგ შეფასების პროცესის სტანდარტიზება, ამისათვის შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს რეგულარულ შეხვედრებს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან, გამომცდელებთან, შეხვედრების ფარგლებში ხდება სხვადასხვა სტანდარტიზებული სასწავლო მასალის, მათ შორის, პრეზენტაციების, ვიდეო რგოლების და ა.შ. გაზიარება, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან | მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განსხვავებულად ითხოვა დავალების შესრულება.<br>2. გამოითქვა საწინააღმდეგო სურვილი იმის შესახებ, რომ ლექტორი არ იყოს გამომცდელი, რადგან იმ შემთხვევაში, როცა ლექტორია გამომცდელი უფრო სუბიექტურია შეფასება იმ სტუდენტის მისამართით ვისაც ასწავლიდა სასწავლო პროცესში. კომენტარი დაფიქსირდა ამასთანავე ზოგადად გამომცდელების დამოკიდებულებასთან და მათ მიერ მშვიდი საგამოცდო გარემოს შექმნის საკითხი.<br>3. ერთ-ერთი სტუდენტის კომენტარი ეხებოდა სადგურებზე დავალების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოების, მულაჟების გამართულობისა და განახლების საკითხს.<br>4. ერთ-ერთი გამომცდელის მიერ დაფიქსირდა რეკომენდაცია, სურვილი შეფასების | გარკვეული პროცედურების ჩატარების სტანდარტულად სწავლებასა და შეფასებას.<br>2. გამოთქმულ მოსაზრებასა და სურვილთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განხორციელდა ცვლილება ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის საქმიანობის წესში. წესს დაემატა შემდეგი ჩანაწერი: ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მონაწილე გამომცდელი არის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, მაგრამ არა იმ კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელშიც ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. გამომცდელები წინასწარ გაივლიან გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს. ამდენად, ცვლილების თანახმად ოსკის გამოცდის ჩაბარება ხდება მხოლოდ ისეთ გამომცდელებთან, ვინც არ იყო კონკრეტულად იმ სასწავლო კურსის განმახორციელებელი რაშიც ტარდება ოსკის გამოცდა. შეიქმნა გამომცდელების ჯგუფი. მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის წევრები ჩაიბარებენ ოსკის გამოცდას, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი და ტენდენციურობა. მოხდა მათი სათანადო ტრეინინგებით უზრუნველყოფა. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ შეიქმნა ოსკის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ოსკის საგამოცდო ფურცლების რევიზიაზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის გამოცდების ობიექტურად შეფასების ხარისხს.<br>3. თითოეულ სადგურზე დავალებების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოები და აღჭურვილობა, მათი სათანადოდ გამართულობის საკითხი მუდმივად | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფურცლების (ჩექლისტების) მუდმივად დახვეწასთან დაკავშირებით.<br>5. შეფასების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტის სურვილი უკუკავშირის ინდივიდუალურად მიღების შესახებ. | მოწმდება სიმულაციური ცენტრის მიერ. მიღებული შეფაებების საფუძველზე მოხდა ტექნიკოსის გამოძახება, რომელმაც გადაამოწმა გარკვეული აპრატურის გამართულობა და რიგ შემთხვევებში (მაგ. წნევის აპარატების შემთხვევაში) საჭიროებისამებრ მოხდა მათი შეკეთება.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე აკადემიურ წელს მოხდა მულაჟების განახლება, შეკვეთის მიღება და ყველა მწყობრიდან გამოსული მულაჟი შეცვლილია ახლით.<br>დამატებით აღვნიშნავთ, რომ დაფიქსირებულ კომენტართან დაკავშირებით აუცილებლად მოხდება ყურადღების გამახვილება და როგორც ყოველთვის გამოცდამდე გადამოწმდება ხელსაწყოების გამართულობის საკითხი, რათა გამოცდაზე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ ყველა საჭირო და გამართული აღჭურვილობით.<br>4. რადგანაც გამომცდელის მიერ არ კონკრეტდება შეფასების ფურცლების რა მიმართულებით დახვეწას გულისმობს გამომცდელი, ვერ მოხდა კომენტრთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული მიმართულებით რეაგირება, თუმცა აღსანიშნავია, მოხდა თითოეული სტუდენტისთვის ინდივიდუალური ელექტრონული ფორმის შექმნა, რომელიც ოსკის გამოცდის დაწყებამდე ზიარდება თითოეულ გამომცდელთან გუგლის დრაივზე. სტუდენტის შეფასების ინდივიდუალური ელექტრონული ფორმა მოიცავს ინფორმაციას თითოეულ სადგურზე შესასრულებელი დავალებების შესახებ და აძლევს გამომცდელს საშუალებას შეაფასოს სტუდენტი სადგურზე მიმდინარე დავალებების შესრულებისთანავე. აღსანიშნავია, რომ ერთი სტუდენტისთვის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გაზიარებულ ფორმაში მუშაობა ხდება თითოეული გამომცდელის მიერ, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოცდის დასრულებისთანავე ცნობილია სტუდენტის შეფასება, როგორც თითოეულ სადგურზე ასევე, მთლიანად გამოცდაში. შესაძლებელია მიღებული შეფასების დაუყოვნებლივ გაზიარება საგამოცდო ცენტრისთვის, რომელიც ასახავს სტუდენტის შეფასებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში იმავე საგნის თეორიულ ნაწილში სტუდენტის მიერ მიღებულ შეფასებასთან ერთად. ზემოაღნიშნული მიდგომა ამარტივებს როგორც ოსკის საგამოცდო პროცესის მართვის საკითხს გამომცდელებისთვის, ასევე, ამარტივებს და აჩქარებს სტუდენტის მიერ თითოეულ სადგურზე მიღებული შეფასებებებს დაფიქსირებასა და ჯამური შეფასების გამოთვლას.<br>5. გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა მხრიდან დაფისქირებული სურვილი და ოსკის გამოცდის დასრულების შემდეგ, სტუდენტებთან უკუკავშირი გაიცემა ზოგადად და არ განიხილება კონკრეტული სტუდენტის შეცდომები ჯგუფში. | |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. სტუდენტთა კომენტარი ძირითადად უკავშირდებოდა გამოცდებს შორის მეტი შუალედის არსებობის საკითხს. მათი შეფასებით გამოცდები ტარდება ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში (1 კვირა), რაც მნიშვნელოვანად ართულებს | 1. მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებთან, ფაკულტეტის თანამშრომლებთან, რექტორთან, ვიცე-რექტორთან ხარისხის განვითარების მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. განხილვის შედეგად გადაწყდა შუალედური გამოცდებისთვის აკადემიური კალენდრით დადგენილი დროის გახანგრძლივება ერთი კვირიდან ორ კვირამდე, რაც სტუდენტებისთვის შეამსუბუქებს შუალედური გამოცდების კვირას და გაზრდის შაულედებს გამოცდებს შორის, | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მასალების დაძლევისა და საგამოცდოდ მომზადების საკითხს. 2. ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დაფიქსირდა ინფორმაციის გვიან მიღების საკითხი, თუმცა არ კონკრეტდება რა ტიპის ინფორმაციის გვიან მიღებაზეა საუბარი. შესაძლოა აღნიშნული უკავშირდებოდეს საგამოცდო თარიღების ცვლილების შესახებ დროულ ინფორმირებას, რადგანაც გამოკითხული სტუდენტების 21% ნაწილობრივ დაეთანხმა, ხოლო 15% არ დაეთანხმა დებულებას იმის შესახებ რომ ხდება მათი დროული ინფორმირება საგამოცდო თარიღების ცვლილებასთან დაკავშირებით. | მაქსიმალურად გამორიცხავს გამოცდების დამთხვევის შემთხვევებს. ცვლილება გათვალისწინება მოხდება 2022-2023 აკადემიური კალენდრის დაგეგმვის პროცესში. რაც შეეხება დასკვნით გამოცდებს, მათთვის უკვე განსაზღვრულია ორ კვირიანი პერიოდი, ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც საგამოცდო ცენტრი ბაზაში ცხრილის ატვირთვის დროს ხედავს საგნებს შორის დამთხვევის შემთხვევებს, რაზეც უკვე დაუყოვნებლივ ხდება რეაგირება და პრობლემის მოგვარება. 2. კომენტართან დაკავშირებულ საყრადღებო საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია, რომლის დროსაც საგამოცდო ცხრილის ცვლილების, კერძოდ კი, კონკრეტული სასწავლო კურსის გამოცდის თარიღის ბაზაში შეცვლის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, ყველა შესაბამის სტუდენტთან ბაზიდან ავტომატურად დაუყოვნებლივ იგზავნება აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია, როგორც ელ. ფოსტაზე, ისე, მობილურ ტელეფონებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით. | |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | 1. გამოცდის თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტთა ინფორმირების საკითხი. დაფიქსირდა სურვილი იმის შესახებ, რომ გამოცდის | 1. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას აღნიშნულთან დაკავშირებით დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია, რომლის დროსაც საგამოცდო ცხრილის ცვლილების, კერძოდ კი, კონკრეტული სასწავლო კურსის გამოცდის თარიღის ბაზაში შეცვლის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, ყველა შესაბამის სტუდენტთან ბაზიდან | საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | თარიღის ცვლილების შემთხვევაში შეტყობინება მიიღონ სტუდენტებმა აღნიშნულთან დაკავშირებით, რათა არ იყოს საჭირო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ბაზაში თარიღების მუდმივად გადამოწმება.<br>2. გამოცდების დასრულების შემდეგ სრული უკუკავშირი დაშვებული შეცდომების და არა მხოლოდ მიღებული შეფასებების შესახებ. | ავტომატურად დაუყოვნებლივ იგზავნება აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია, როგორც ელ. ფოსტაზე, ისე, მობილურ ტელეფონებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით.<br>2. კომენტართან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესით დადგენილი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. უნდა ითქვას, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ უფლებასა და შესაძლებლობას და მომართვის შემთხვევაში ნახულობენ თავიანთ ნაშრომებსა და მიღებულ შეფასებებს, უკუკავშირებს.<br>გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დიდი მომართვიანობის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი აწყობს ცალკე აუდიტორიასაც, სადაც სტუდენტებს დადგენილი ვადების განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ ცენტრს და ისარგებლონ ნაშრომების ნახვის მათთვის მინიჭებული უფლებით.<br>სტუდენტის სურვილის შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და განხილვის პროცესს ესწრება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი.<br>აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ და ზოგადად საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ საგამოცდო ცენტრის მიერ სხვადასხვა გზითა და საშუალებების გამოყენებით: | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ა. საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ესწრება სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც განიხილავს საგამოცდო ცენტრის ფუნქციებს, აწვდის ინფორმაციას მათ საკონტაქტო ელ. ფოსტის შესახებ, განიხილავს საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებსა და დაკავშირებულ პროცედურებს.<br>ბ. სტუდენტებთან მუდმივად (შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდის წინ) იგზავნება წერილები ელ. ფოსტის საშუალებით საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებულ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, წერილში გამახვილებულია ყურადღება სტუდენტების ვალდებულებებსა და უფლებებზე, მათ შორის, ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე და დაკავშირებულ პროცედურებზე.<br>გ. საგამოცდო ფურცლებზე, პირველ გვერდზე დატანილია ინფორმაცია საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც უკავშირდება სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებს, გამოცდებზე ქცევის წესებს და ა.შ. გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი საკითხის საპასუხოდ საგამოცდო ცენტრის მიერ კვლავ გაიგზავნა წერილები სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტუდენტების მიერ საგამოცდო ნაშრომების ნახვისა და გასაჩივრების შესაძლებლობებზე. როგორც გასული მიმოწერისას, ისე ახლაც, წერილის მეშვეობით | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ყურადღება გამახვილდა ასევე საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხზე, გაიგზავნა შესაბამისი ბმულიც: https://eu.edu.ge/ge/legal-acts. ზემოაღნიშნული მიმართულებით მუდმივად გაგრძელდება ცენტრის მიერ მუშაობა. | |
| დასკვნითი გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | - | - | - |
| დასკვნითი გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | სტუდენტის მიერ დაასახელდა სასწავლო კურსები, სადაც მისი შეფასებით საგამოცდო საკითხები არ შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარსს, კერძოდ: შესავალი საერთაშორისო სამართალში და შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | ზემოაღნიშნულ კომენტართან დაკავშირებით განხორციელდა კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთბების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან. ხელმძღვანელის შეფასებით საგამოცდო საკითხები ნამდვილად შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს, თუმცა დაიდენტიფიცირდა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებში საგამოცდო საკითხები არ შეესაბამებოდა სილაბუსით გათალისწინებულ დავალებებს, რასთან დაკავშირებითაც განხორციელდა რეაგირება, კერძოდ, მოხდა ლექტორებთან კომუნიკაცია, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით. მათ მიეცათ რეკომენდაცია, რომ საგამოცდო საკითხების შედგენისას იხელმძღვანელონ სილაბუსით. ლექტორებმა დაადასტურეს თანამშრომლობის მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | - | - | - |
| დასკვნითი გამოცდებით | 2021-2022 აკ. წლის | - | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | შემოდგომის სემესტრი | | | |
| დასკვნითი გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი | სტუდენტის კომენტარი უკავშირდებოდა კომპიუტერული უნარების სასწავლო კურსში დახურული ტიპის კითხვების გარდა კომპიუტერთან შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების საჭიროებას, აღნიშნულ სასწავლო კურსში მიღებული ცოდნის უკეთ შეფასების მიზნით: „კომპიუტერულ უნარებში გამოცდა ჩატარდა ეგრეთწოდებული ტესტებით (კითხვები მრავალ არჩევითი პასუხებით). ჩემი აზრით აღნიშნული შეფასებით შეუძლებელია სტუდენტის ცოდნის შეფასება, უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო ისეთი დავალებები, რომლებიც მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობას“. | სასწავლო კურსი „კომპიუტერული უნარები“ განახლებული სახით შემუშავდა გასულ, 2020-2021 აკადემიურ წელს, ტურიზმის ახალი საბაკალავრო პროგრამის შემუშავების დროს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში. სასწავლო კურსი დასკვნით გამოცდაზე დახურულ კითხვებთან ერთად მოიაზრებს პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც, რომელიც სტუდენტის მიერ სრულდება კომპიუტერთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტების მიერ გამომუშავებული პრაქტიკული უნარების უკეთ შეფასება. აღნიშნული მიდგომა სასწავლო კურსის „კომპიუტერული უნარები“ ფარგლებში გავრცელდა ფაკულტეტზე არსებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | - | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შუალედური გამოცდებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი | სტუდენტის მიერ დაფიქსირდა სურვილი მოხდეს იმის განხილვა თუ რამდენად საკმარისია საგამოცდო დრო შემდეგ სასწავლო კურსებში: ფსიქოლოგიის ისტორია, ფსიქოლოგიის საფუძვლები და სტატისტიკა: „ყველაფერი იყო გამართული. უბრალოდ ზოგ საგანში დრო იყო ცოტა არასაკმარისი. განსაკუთრებით იმ საგნებში სადაც თემებია დასაწერი და გამოანგარიშებაა საჭირო, მაგალითად, ფსიქოლოგიის ისტორია, საფუძვლები, და სტატისტიკა. სხვა მხრივ ყველაფერი იყო კარგი, ტექნიკურ ხარვეზებსაც ჩემთან არ ჰქონია ადგილი“. | სტუდენტის მიერ დაფიქსირებული კომენტარის საპასუხოდ მოხდა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, რის შედეგადაც დაიგეგმა აღნიშნული სასწავლო კურსების ლექტორებთან ერთად საკითხის განხილვა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ერთ-ერთი სასწავლო კურსის „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შემთხვევაში განხორციელდა სათანადო რეაგირება, კერძოდ, შეიცვალა საგამოცდო დავალებები, რასაც რეალურად უკავშირდებოდა საგამოცდო დროის გახანგრძლივების სურვილი. უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ სასწავლო კურსში, მიცემული დაველებებისა და საგამოცდო დროის ხანგრძლივობის შეფასების შედეგად შემცირდა შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე თეორიული საკითხების რაოდენობა ორიდან ერთამდე და ნაცვლად დაემატა მოკლე ღია კითხვები, რაც იძლევა თეორიული ცოდნის შეფასების იგივე შესაძლებლობას და ამასთანავე მოითხოვს ნაკლებ დროს ამომწურავი პასუხის გასაცემად, შუალედური და დასკვნითი გამოცდები აღნიშნულ სასწავლო კურსში ამასთანავე ითვალისწინებს დახურული ტიპის შეკითხვებსაც. აღსანიშნავია, რომ ცვლილება შეეხო დასახელებული სასწავლო კურსის ორივე ნაწილს: „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“ და „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2“.<br>რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ორ სხვა სასწავლო კურსს, მათი განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგამოცდო დროის ხანგრძლივობის ან/და გამოცდის ფორმატის შეცვლა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად და საჭიროდ. | სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | კვლევის შედეგად, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები:<br>1. ადამიანური რესურსების სიმწირე;<br>2. შეფასების სისტემაში ცვლილებების საჭიროება;<br>3. თანამშრომლების შეხვედრების ნაკლებობა არაფორმალურ გარემოში; გასვლითი ღონისძიება-ექსკურსიების მოწყობა. ორგანიზაციის მხრიდან ლოიალობა;<br>4. ანაზღაურების საკითხის გადახედვა;<br>5. ზრუნვა პროფესიული განვითარების კუთხით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შეთავაზება. | 1. უწყვეტად მიმდინარეობს კადრების შერჩევის პროცესი. ფინანსურ სამსახურში დაემატა 1 ახალი თანამშრომელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში დაემატა 1 ახალი თანამშრომელი; უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახურში დაემატა 1 ახალი თანამშრომელი; მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტთა მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით დაემატა დეკანის მოადგილის 4 პოზიცია (ამჟამად მედიცინის ფაკულტეტზე დეკანის მოადგილის თანამდებობას იკავებს 7 ადამიანი), ასევე გაიზარდა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების რაოდენობა.<br>2. გადაიხედა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემა და შევიდა ცვლილებები შეფასების წესში, კერძოდ, დაიხვეწა შეფასების კითხვარი, პერსონალის კომპეტენციების შეფასება სამდონიანის ნაცვლად გახდა ოთხდონიანი, რაც უფრო ზუსტი შეფასებების შესაძლებლობას იძლევა, ასევე, შეიცვალა შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებიც. შემდეგი სამუშაო პერიოდის შეფასება განხორციელდება განახლებული შეფასების სისტემით;<br>3. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი შეფერხება იყო წინა აკადემიურ წელს, პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ღონისძიებები განახლდა მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად. მოეწყო გასვლითი ღონისძიება-ექსკურსია ბორჯომში. ჩატარდა კორპორატიული ღონისძიება უნივერსიტეტის დაფინანსებით;<br>4. დაიდენტიფიცირდა პირი, რომელსაც ჰქონდა ანაზღაურების გადახედვის საკითხთან დაკავშირებული სურვილი დაფიქსირებული, გადაიხედა და შეფასდა მისი საქმიანობა, მოხდა მასთან კომუნიკაცია და მოხდა მისი | ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ანაზღაურების მატება.<br>5. გაგრძელდა თანამშრომლების გადამზადება ინგლისურ ენაში 4 თვიანი კურსის ფარგლებში. შედგა B1.1 და B1.2 ჯგუფები და დარეგისტრირდა 12 თანამშრომელი. 2023 წლის იანვრის თვეში მოხდა კომუნიკაციის მართვაში მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციის და უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციაში ჩართული პერსონალის გადამზადება. ტრენინგი „კომუნიკაციის სტანდარტები, რთული კომუნიკაციის მართვა“ ჩატარდა ორ ჯგუფად, გადამზადდა 28 თანამშრომელი. რაც შეეხება სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების თანამშრომლებს, 2023 წელს დაგეგმილია მათი გადამზადებაც.~ | |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესების სურვილი | მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში მოხდა ქსელების განახლება და გაიზარდა სიჩქარე, რის შემდეგაც, პრობლემებით აღარ მოუმართავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციულ კორპუსში ასევე მოხდა აპარატურის შეცვლა რაც ასევე გამოიწვევს აღნიშნულ კორპუსში ინტერნეტის სიჩქარის მომატებას.<br>დაგეგმილია Wi-Fi აპარატების შეცვლა და დამატება. | ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | ადმინისტრაციული პერონსლის გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საკითხები: კვების ობიექტით უზრუნველყოფა, წყლის დისპანსერის განთავსება | წინა აკადემიური წლის (2020-2021 აკადმეიური წლის) გამოკითხვის შედეგების თანახმად გამოვლინდა თანამშრომელთა სურვილი, რაც უკავშირდებოდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე „სნექის“ აპარატის დადგმას. დაფიქსირებული სურვილის საპასუხოდ, უნივერსიტეტის შენობაში დაიდგა აღნიშნული აპარატი, რომლის საშუალებით თანამშრომლებს შეეძლებათ ასევე წყლის შეძენაც. | შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაგანტვირთვის სივრცის მოწყობა | რაც შეეხება განტვირთვის სივრცის მოწყობას, მოხდა მსგავსი სივრცის მოწყობა უნივერსიტეტის ეზოში, ამ ეტაპზე, მოცემული ფართი და დატვირთვა, არ იძლევა აღნიშნული სურვილების მეტად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. | |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის პროცესში გამოვლენილო საყურადღებო საკითხები:<br>1. ყველა გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს ურთიერთშეთხმებ ის პრონციპს, ყველა რგოლს მუდმივად მიეწოდოს სიახლეების შესახებ ინფორმაცია.<br>2. ანაზღაურების მატების საკითხი. | 1. აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ 2022 წლის იანვრის თვიდან უნივერსიტეტში დაიგეგმა ყოველკვირეული შეხვედრების ფორმატი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში ხდება სიახლეების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ასევე სამსახურები წარადგენენ მოკლე ანგარიშს კვირის მანძილზე განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.<br>2. კონკრეტული პოზიციების მიხედვით განხორციელდა შრომის ანაზღაურების მატება, რაც დაკავშირებული იყო სამუშაოს დატვირთვის გაზრდასთან (საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი/ ბიბლიოთეკის სპეციალისტი/ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი). | უნივერსიტეტის რექტორი |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | - | - | - |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაცი | 2021-2022 აკადემიური წელი | ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა | რადგან გამოკითხვის შედეგებში არ არის დაფიქსირებული კონკრეტულად თუ რა მხრივ ისურვებდა პერსონალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული | სასწავლო პროცესის ადმინიტრირების |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | | სასწავლო ბაზისთვის ფუნქციების დამატების სურვილი. | ბაზის გაუმჯობესებასა და დახვეწას, რთულია რეაგირება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან სასწავლო ბაზას დაემატა მნიშვნელოვანი მოდულები და მოხდა მისი მრავალმხრივ განვითარება და გაუმჯობესება კერძოდ:<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა ფინანსური მოდული, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას შეამოწმოს თავისი ფინანსური მდგომარეობა თვეების მიხედვით, სტუდენტს ერთ გვერდზე უჩანს სწავლის საფასური, მიმდინარე სემესტრში აღებული კრედიტების რაოდენობა, ერთი კრედიტის ღირებულება, სწავლის საფასური მიმდინარე სემეტრში აღებული კრედიტების მიხედვით, კონკრეტული დროისთვის არსებული ფინანსური ბალანსი (დადებითი თუ უარყოფითი), იმავე გვერდზე მონიშნული აქვს მის მიერ მოპოვებული სახელმწიფო გრანტის ოდენობა (არსებობის შემთხვევაში), ან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ფასდათმობა თუ შეღავათი. აღნიშნულმა მოდულმა ფინანსურ სამსახურს მისცა შესაძლებლობა სასწავლო ბაზიდან ჩამოტვირთოს ინფორმაცია სტუდენტების მიერ კონკრეტულ სემეტრში აღებული კრედიტების რაოდენობის, წლიური სწავლის საფასურის, ვალუტის და ფასდათმობის, გრანტის თუ შეღავათის შესახებ (აკადემიური კალენდრის გათვალისწინებით), დაამუშაოს ბუღალტრულად (შესაბამისი სტანდარტების დაცვით) და სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით ისევ სასწავლო ბაზაში შეიტანოს ინფორმაცია კონკრეტული სტუდენტისთვის, რაც სტუდენტს აესახება ინდივუდუალურად თავის ფინანსურ გვერდზე.<br>• სასწავლო პროცესის მართვის | სამსახურის უფროსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ელექტრონულ სისტემაში მოხდა eflow სისტემის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ბაზაში სტუდენტის გვერდზე განთავსდა ქვემოდული ,,განცხადებები", სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მის მიერ სასურველი განცხადების ფორმის შევსების და eflow -ს სისტემაში ონლაინ რეჟმში გადაგზავნის შემდგომ ნახოს განცხადების მოძრაობის დინამიკა და შედეგი (დადებითი თუ უარყოფითი რეზოლუცია). ასევე, საქმის წარმოების წესში ასახული ვადების შესაბამისად, სასწავლო ბაზაში მიიღოს შესაბამისი პასუხი წერილობით.<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტს შეუძლია ელექტრონულ ფორმატში ჩამოტვირთოს და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას და ინფორმაციის გაცნობის და დადასტურების ფურცელს.<br>• სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში პირად გვერდზე სტუდენტს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ესახება აკადემიური კალენდარი. ასევე, სტუდენტისთვის პირად გვერდზე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშების რეკვიზიტები.<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მოხდა Moodle-ის პრატფორმის ინტეგრირება. Moodle-ის მეშვეობით შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში, ლექტორები თავიანთი სტუდენტებისთვის განათავსებენ სასწავლო მასალებს, სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს, დავალებებს და ა.შ. Moodle-ის სისტემა, ასევე გამოიყენება, როგორც ერთგვარი საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტსა და ლექტორს შორის. ასევე, საკონსულტაციო საათების განრიგი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ელექტრონულად ხელმისაწვდომია Moodle-ის მთავარ გვერდზე.<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა ინტეგრირებულ პაროგრამებზე კურაციების ცხრილის ატვირთვის და განაწილების გვერდი ინტეგრირებული მოდულების მიხედვით, სადაც დღეების მიხედვითაა გაწერილი თითოეული ქვესაგნის ჩატარების აუდიტორია, დღე და საათი.<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები ევროპის უნივერსიტეტში სარგებლობენ დაზღვევით. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა სადაზღვევო მოდული, რომლის (მენეჯერის მხრიდან) შევსების შემთხვევაში სტუდენტს უჩანს დაზღვევის დაწყების და ვადის გასვლის თარიღები, როდესაც დაზღვევის დასრულებამდე რჩება თვეზე ნაკლები, ბაზა ატყობინებს სტუდენტს ამის შესახებ დარჩენილი დღეების მთვლელის საშუალებით. რაც უადვილებს სტუდენტებს სადაზღვევო პაკეტის დროულად გაგრძელების ან განახლების პროცესს.<br>• ლექტორების გვერდზე სასწავლო ბაზას დაემატა კონკრეტულ ლექტორთან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სერვისი. ასევე სასწავლო ბაზიდან სტუდენტებთან სმს-ების გარდა შესაძლებებლი გახდა ინფორმაციის მეილებზე გაგზავნა.<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნით, სასწავლო ბაზას დაემატა ე.წ. „მესიჯ–ბოქსის“ სერვისი, რაც გულისხმობს სასწავლო ბაზაში სტუდენტებთან და ლექტორებთან მოკლე ინფორმაციის გაზიარებას იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მათი გამოკითხვის შედეგად | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ.<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ლექტორის გვერდზე დაემატა უწყისში, სტუდენტის გვართან „მაუსის" მიტანისას სტუდენტის სურათის გამოჩენის ფუნქცია, ლექტორის მიერ სტუდენტის იდენტიფიცირების მიზნით.<br>• მიმდინარეობს სასწავლო ბაზაში საგამოცდო მოდულის ჩაშენება, რაც გამოცდების ელექტრონულად წარმართის შესაძლებლობას შექმნის. | |
| ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა | 2021-2022 აკადემიური წელი | ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ გამოკითხვის შედეგად დაბალი ქულით შეფასდა ფინანსების სამსახურთან კომუნიკაცია: გამოკითხულთა 2.13%-მა აღნიშნული სამსახური შეაფასა 1 ქულით, 8.51%-მა 2 ქულით, ხოლო 2.13%-მა 3 ქულით. | გამოკითხვის შედეგების მიხედვით არ იკვეთება დაბალი შეფასების მიზეზები, თუმცა სამსახურს დაბალი ქულით შეფასების მიზეზად მიგვაჩნია ელ. ფოსტაზე დაგვიანებული პასუხები. აღნიშნული ხშირად განპირობებული იყო კადრების სიმცირით, შესაბამისად, საკითხის განხილვისა და შეფასების შედეგად მოხდა თანამშრომლის დამატება. | ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი |

შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მომავალშიც დაგეგმილია რეაგირებების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადებიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021-2022 აკადემიურ წელს განოხრიცლებეული შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების აბსოლუტურ უმრავლესობაზე განხორციელებულია სათანადო რეაგირებები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ, რაც იკითხება კიდეც ზემოთ მოცემულ ცხრილში. არის რამდენიმე დაგეგმილი აქტივობა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს გარკვეულ დროს და მათი შესრულების ვადად განსაზღვრულია ძირითადად 2023-2024 აკადემიური წელი (დეტალებისთვის იხ. დანართი #22 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში 2021-2022 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი). აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგრძელებს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას.

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები

**დანართი #1** - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები.

**დანართი #2** - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

**დანართი #3** - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

**დანართი #4** - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

**დანართი #5** - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარების ანგარიშები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #6** - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში.

**დანართი #7** - სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #8** - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

**დანართი #9** - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #10** - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #11** - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

**დანართი #12** - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #13** - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #14** - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ.

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

**დანართი #15** - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #16** - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ.

**დანართი #17** - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინერეობის ანგარიშები.

**დანართი #18** - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიშები პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღინისძიებების შესახებ.

**დანართი #19** - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

**დანართი #20** - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი.

**დანართი #21** - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები.

**დანართი #22** - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი.